სს საქართველოს სათბურის კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 5

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

1 სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ და მისი საქმიანობა 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო 6
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 6
4 სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არსებითი შეფასებები და მოსაზრებები 13
5 ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება 14
6 ახალი სააღრიცხვო განცხადებები 15
7 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 18
8 ძირითადი საშუალებები 18
9 აქტივები გამოყენების უფლების ფორმით და საიჯარო ვალდებულებები 20
10 მარაგები 21
11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 21
12 სხვა საგადასახადო მოთხოვნები 22
13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 22
14 სააქციო კაპიტალი 22
15 ნასესხები სახსრები 23
16 საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება 23
17 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 24
18 ანალიზი შემოსავლების კატეგორიების მიხედვით 24
19 სხვა ხარჯები 24
20 გაუთვალისწინებელი პირობითი გარემოებები და წარმოქმნილი ვალდებულებები 25
21 კაპიტალის მართვა 25
22 ფინანსური რისკის მართვა 25
23 რეალური ღირებულების გამჟღავნება 28
24 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ 29
25 სააღრიცხვო პოლიტიკა 2019 წლის 1 იანვრამდე 30

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სს საქართველოს სათბურის კორპორაციის აქციონერებსა და მენეჯმენტს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს სს საქართველოს სათბურის კორპორაციის (შემდგომში - „კომპანია) საფინანსო მდგომარეობას, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

რა შევამოწმეთ

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალისა და სხვა მთლიანი შემოსავლის შესახებ ანგარიში იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში;
- კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში;
- ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა;

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ამ სტანდარტების ფარგლებში არის შემდგომ აღწერილი ამ ანგარიშის ნაწილში - აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები არის საკმარისი და შესაბამისი ჩვენი მოსაზრებისთვის საფუძვლიანობისთვის.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ დამოუკიდებელნი კომპანიისგან, ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიული ბუღალტრებისთვის ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA Code) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები IESBA Code შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებითი ინფორმაციის მოწოდებაზე. დამატებითი ინფორმაცია მოიცავს მენეჯმენტის ანგარიშს (მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორულ ანგარიშს). ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს მენეჯმენტის ანგარიშს. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავეცნოთ მენეჯმენტის ანგარიშს და, ამასთან, განვიხილოთ, თუ არსებობს არსებითი შეუსაბამობა მენეჯმენტის ანგარიშსა, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის დროს ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას შორის, ანდა ხომ არ არის მონაცემები არსებითად დამახინჯებული. თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მენეჯმენტის ანგარიშში არსებითი ცდომილებაა, ჩვენ ვალდებულნი ვართ შევატყობინოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს გასაზიარებელი.

გარდა ამისა, საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ჩვენ ვალდებულნი ვართ გამოვხატოთ მოსაზრება, თუ შეესაბამება მენეჯმენტის ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ წესებს, და განვიხილოთ, თუ მოიცავს მენეჯმენტის ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენი აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით:

- ინფორმაცია, მოყვანილი საფინანსო წლის მენეჯმენტის ანგარიშში, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშები, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშებს;
- მენეჯმენტის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

მენეჯმენტისა და იმ პირების პასუხისმგებლობა, რომლებიც დაკავშირებულია ხელმძღვანელობასთან ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერ წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე ისეთ შიდა კონტროლზე, როგორიც, მენეჯმენტის აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელსაც არ გააჩნია არსებითი უსწორობა, თაღლითობისა და შეცდომის გამო.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის ისეთი უნარების შეფასებაზე, როგორიცაა გათვალისწინებული საქმიანობის უწყვეტი გაგრძელება, საჭიროებისამებრ, მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებული საკიტხების გამჟღავნება და საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლების გამოყენება, თუკი მენეჯმენტს არა აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ანდა არ გააჩნია სხვა რეალისტური ალტერნატივა, გარდა ლიკვიდაციისა.

მართვაში მონაწილე პირებს ეკისრება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესზე ზედამხედველობა.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზნებია გონივრულად დარწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგებას არ გააჩნია არსებითი უსწორობა, თაღლითობისა თუ შეცდომის გამო, და აუდიტორის ანგარიშის გამოცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული დარწმუნება წარმოადგენს დარწმუნების მაღალ დონეს, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით უსწორობას, მისი არსებობისას, უსწორობა შეიძლება წარმოიქმნას თაღლითობისა თუ შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი ცალკე თუ ერთობლივად შეძლება მიჩნეულ იქნას როგორც გავლენის მქონე მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიიღება ამ ფინანსურ ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიულ მსჯელობას და გაგვაჩნია პროფესიული სკეპტიციზმი აუდიტის დროს. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსური ანგარიშგების არსებითი დამახინჯების რისკების განსაზღვრასა და შეფასებას, იმისდა მიუხედავად, თუ არის ეს გამოწვეული თაღლითობით თუ შეცდომით, შევიმუშავებთ და ვახორციელებთ ამ რისკების საპასუხო პროცედურებს და ვღებულობთ აუდიტის ისეთ მტკიცებულებებს, რომელიც არის საკმარისი და შესაბამისი, რათა შექმნას საფუძველი ჩვენი მოსაზრებისთვის. თაღლითობით გამოწვეული რისკი, რომელიც არ იქნა განსაზღვრული, არის უფრო მაღალი, ვიდრე შეცდომით გამოწვეული, ვინაიდან თაღლითობა შეიძლება შეიცავდეს გარიგებას, ფალსიფიკაციას, განზრახულ გამოტოვებას, დამახინჯებასა ანდა შიდა კონტროლის ბლოკირებას.
- აუდიტისთვის საჭირო შიდა კონტროლის შესახებ ცოდნის მიღება არსებული გარემოებების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების შემუშავების მიზნით და არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობისა და დასაბუთებულობის, ასევე მენეჯმენტის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების შეფასება.
- საბუღალტრო აღრიცხვის უწყვეტობის პრინციპის მენეჯმენტის მიერ გამოყენების თაობაზე დასკვნა და ასევე, მიღებული აუდიტორული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, იმის თაობაზე,

თუ არის არსებითი გაურკვევლობა იმ მოვლენათა და პირობების მიმართ, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული ეჭვები კომპანიის უნარის მხრივ განაგრძოს საქმიანობა. თუკი ჩვენ გადავწყვეტთ, რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, ჩვენი აუდიტორულ ანგარიშში უნდა მივაქციოთ ყურადღება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის გამჟღავნებას ანდა, თუკი ასეთი გამჟღავნება არაადეკვატურია, შევცვალოთ ჩვენი აზრი. ჩვენის დასკვნები ეფუძნება აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტორული ანგარიშის თარიღებამდე. თუმცა მომდევნო მოვლენებსა თუ პირობებს შეუძლია გამოიწვიოს კომპანიის მიერ საქმიანობის შეწყვეტა.

- ფინანსური ანგარიშების მთლიანი პრეზენტაციის, სტრუქტურისა და შინაარსის შეფასება, გამჟღავნებების ჩათვლით, და თუ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშები ძირითად ტრანზაქციებსა და მოვლენებს ისეთი გზით, რომ უზრუნველყოფილი იყოს კეთილსინდისიერი წარდგენა.

ჩვენს მიერ დამყარებულია კომუნიკაცია მათთან, ვისაც აკისრია პასუხისმგებლობა მართვაზე, მათ შორის აუდიტის დაგეგმილ მოცულობასა და ვადებზე და აუდიტის მნიშვნელოვან შედეგებზე, შიდა კონტროლში ნებისმიერი ხარვეზების ჩათვლით, რომელსაც ჩვენ გამოვავლენთ ჩვენი აუდიტის დროს.

PricewaterhouseCoopers Georgia LLC-ის სახელითა და დავალებით (რეგ.# SARAS-F-775813)
ნინო ქადაგიშვილი (რეგ.# SARAS-A-506913)

2020 წლის 29 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ხელმოწერილია

ათასი ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	11,344	38,180
აქტივები გამოყენების უფლების ფორმით	5,9	157	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,501	**38,180**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	1,568	1,431
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	2,696	2,770
სხვა საგადასახადო მოთხოვნები	12	668	479
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	318	527
სულ მიმდინარე აქტივები		**5,250**	**5,207**
სულ აქტივები		16,751	**43,387**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	55,753	53,041
დაგროვილი დეფიციტი		(50,581)	(24,137)
სულ საკუთარი კაპიტალი		**5,172**	**28,904**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	15,16	6,373	10,051
საიჯარო ვალდებულებები	5,9,16	39	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**6,412**	**10,051**
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	15,16	3,681	3,303
საიჯარო ვალდებულებები	5,9,16	135	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	1,351	1,129
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**5,167**	**4,432**
სულ ვალდებულებები		**11,579**	**14,483**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**16,751**	**43,387**

დამტკიცებულია გამოცემისთვის და ხელმოწერილია 2020 წლის 29 სექტემბერს.

ხელმოწერილია	*ხელმოწერილია*
შოთა ჯაფარიძე	მაია წიკლაური
გენერალური დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

გვერდებზე 5-დან 28-მდე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ათასი ლარი	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	18	**15,878**	**10,806**
სხვა შემოსავალი		79	114
ცვლილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარაგებში	10	17	(34)
თანამშრომელთა გასამრჯელოს ხარჯები		(3,246)	(2,782)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8,9	(5,251)	(4,328)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	8	(22,286)	-
სხვა ხარჯები	19	(10,342)	(8,132)
საოპერაციო ზარალი		**(25,151)**	**(4,356)**
საპროცენტო ხარჯი	16	(1,294)	(1,450)
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა		1	1,103
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		**(26,444)**	**(4,703)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		**(26,444)**	**(4,703)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		**(26,444)**	**(4,703)**

გვერდებზე 5-დან 28-მდე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ათასი ლარი	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ საკუთარი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვრისთვის	**43,795**	**(19,434)**	**24,361**
წლის ზარალი	-	(4,703)	(4,703)
სულ წლის სრული ზარალი	-	(4,703)	(4,703)
გამოშვებული აქციები (შენიშვნა 13)	9,246	-	9,246
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**53,041**	**(24,137)**	**28,904**
წლის ზარალი	-	(26,444)	(26,444)
სულ წლის სრული ზარალი	-	(26,444)	(26,444)
გამოშვებული აქციები (შენიშვნა 13)	2,712	-	2,712
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**55,753**	**(50,581)**	**5,172**

ათასი ლარი	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		(26,444)	(4,703)
კორექტირება შემდეგისთვის:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა და გაუფასურება	8,9	27,537	4,328
საპროცენტო ხარჯი	16	1,294	1,450
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა		(1)	(1,103)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**2,386**	**(28)**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)		74	(1,295)
მარაგების ზრდა/(შემცირება)		(137)	230
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		222	585
სხვა საგადასახადო მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)		(189)	2,073
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები		**(30)**	**1,593**
გადახდილი პროცენტი		(1,291)	(1,715)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან		**1,065**	**(150)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	8	(773)	(6,673)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	8	111	148
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		**(662)**	**(6,525)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების დაფარვა	16	(3,303)	(18,784)
შემოსავალი ნასესხები სახსრებიდან	16	-	15,550
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	16	(35)	
ჩვეულებრივი აქციების გამოშვებიდან შემოსავალი	14	2,712	9,246
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული)/ საფინანსო საქმიანობიდან		**(626)**	**6,012**
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებსა და მათი ეკვივალენტებზე		14	43
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	13	**527**	**1,147**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	13	**318**	**527**

გვერდებზე 5-დან 29-მდე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სს „საქართველოს სათბურის კორპორაციისთვის“ (შემდგომში - „კომპანია“), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად, წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ (“კომპანია”) დაფუძნებულია 2014 წლის 3 აპრილს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, დაფუძნებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და დარეგისტრირებულს თბილისის საგადასახადო ინსპექციაში საიდენტიფიკაციო ნომრით: 404469865.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ აქციების უშუალო მფლობელები შემდეგია:

აქციონერები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
Greenhouse Holding LLC	98.36%	98.29%
Agroshare B.V.	1.64%	1.71%
სულ	**100%**	**100%**

კომპანიის სათავო მმართველი კომპანია სანგარიშო პერიოდის ბოლოს არის GCF LP (დარეგისტრირებული კაიმანის კუნძულებზე).

Greenhouse Holding LLC, რომელიც წარმოადგენს კომპანიის უშუალო მშობელ კომპანიას, აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც არის საჯარო და ხელმისაწვდომი.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ფლობს და ოპერირებს რთულ, მაღალინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სასათბურე ობიექტს, რომელიც მდებარეობს 12 ჰექტარზე („სათბური“) და შეუძლია გამოზარდოს ყოველწლიურად 7,100 ტონაზე მეტი პროდუქცია. კომპანია აწარმოებს და ყიდის მაღალხარისხოვან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს, პომიდორსა და კიტრს. შპს „ქართული აგროსახლი“ (საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო) არის სს „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუტორი.

კომპანია მოელის, რომ სათბური შეავსებს საქართველოში არსებულ გარღვევას ბოსტნეულის ადგილობრივ წარმოებასა და მოხმარებას შორის და გარკვეულ წილად შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტულ პროდუქციაზე.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის დარეგისტრირებული მისამართი არის მ. კოსტავას ქუჩა, 37/39, 0179, თბილისი, საქართველო. საქმიანობის ადგილია გარდაბანი, საქართველო (თბილისიდან 50 კმ-ში).

ანგარიშგების ვალუტა. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოსთვის დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაცია და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადახადო კანონმდებლობა განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებებს. საქართველოში არის შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ზომებზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად. აგრარული სექტორი გაცხადებულია როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტი და მისი სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება, ისევე როგორც ინსტიტუციური დახმარება არის არსებითი. მიუხედავად ამ ძალისხმევისა, ბოსტნეულის უმეტესი ჯგუფების წარმოება მცირდება ბოლო წლების მანძილზე, მაშინ როდესაც იმავე პროდუქტების იმპორტი იზრდება. ეს ქმნის გამოწვევას და ასევე შესაძლებლობას კომპანიისთვის შესთავაზოს მაღალმოთხოვნადი ბოსტნეული პროდუქტები (განსაკუთრებით არასეზონურ პერიოდში) და ჩაანაცვლოს იმპორტი.

მენეჯმენტს არ შეუძლია ყველა იმ მოვლენის განჭვრეტა, რომელთაც შეუძლია გავლენის მოხდენა საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, მათი გავლენისა კომპანიის მომავალ საფინანსო მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ახორციელებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობისთვის და კომპანიის საქმიანობის განვითარებისთვის.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, თავდაპირველი ღირებულების პრინციპის საფუძველზე. მოცემული ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა მოყვანილია ქვემოთ. იმ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების გარდა, რომლებიც გამომდინარეობს 2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული ფასს 16-ის, იჯარა, მიღებიდან, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, გამოყენებული 2018 წლის 31 დეკემბრამდე იჯარისთვის, წარმოდგენილია შენიშვნაში 25.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მენეჯმენტისგან მოითხოვება, გამოიტანოს საკუთარი დასკვნა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ის სფეროები, რომლებიც მოითხოვს დასკვნებისა თუ სირთულის უფრო მაღალ ხარისხს, ან სფეროები, სადაც დათქმები და შეფასებები არის მნიშნელოვანი, გამჟღავნებულია შენიშვნაში 4.

უცხოურ ვალუტაში გადაყვანა. საწარმოს სამუშაო ვალუტა არის იმ პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ოპერირებს კომპანია. კომპანიის სამუშაო ვალუტა და მისი წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ტრანზაქციები და ნაშთები უცხოურ ვალუტაში. მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის საფუძველზე, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის. ტრანზაქციების დროს ვალუტის საკურსო სხვაობიდან და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაყვანისას ყოველი საწარმოს ფუნქციონალურ ვალუტაში, სებ-ის წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, მიღებული შემოსავალი და ზარალი აღიარებულია მოგებასა ან ზარალში როგორც საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსი, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო 1 აშშ დოლარი (“USD”) = 2.8677 ლარი და 1 ევრო (“EUR”) = 3.2095 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერს: USD 1 = GEL 2.6766 და EUR 1= 3.0701). ამჟამად, ქართული ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები (ქონება, საწარმო და აღჭურვილობა). ძირითადი საშუალებები მითითებულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, თუკი ეს აუცილებელია. მიწა შეფასებულია თვითღირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალებისა და პირდაპირი სამუშაო ძალის თვითღირებულებას, ნებისმიერ სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის მუშა მდგომარეობაში მოყვანასთან მათი განზრახული გამოყენებისთვის, საგნების დემონტაჟისა და მოცილების და მათი მდებარეობის ადგილის აღდგენის დანახარჯებს და ნასესხები სახსრების კაპიტალიზებულ დანახარჯებს.

გამომდინარე დანახარჯები ჩართულია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივის სახით, როგორც

შესაბამისია, მხოლოდ როდესაც არსებობს შესაძლებლობა, რომ კომპანია მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ასოცირებულს ამ ერთეულთან, და ამ ერთეულის დანახარჯები შეიძლება იყოს შეფასებული სანდოდ. მცირე შეკეთების დანახარჯები და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურება მიეკუთვნება ხარჯებს მათი წარმოქმნისას. ძირითადი ნაწილებისა თუ ქონების კომპონენტების გამოცვლის თვითღირებულება, და აღჭურვილობის ელემენტები არის კაპიტალიზებული, ხოლო ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

გაყიდვიდან მოგება-ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია წლის მოგებასა ან ზარალში.

ცვეთა. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას. ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულების ცვეთა გამოთვლილია წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი თვითღირებულების გადანაწილებით მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო მარგი გამოყენების პერიოდის ფარგლებში:

	მარგი გამოყენება, წლები
შენობა-ნაგებობები	6-დან 10-მდე
საწარმო და აღჭურვილობა	5-დან 10-მდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც ამჟამად კომპანია მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, რასაც გამოკლებულია გაყიდვის სავარაუდო დანახარჯები, თუკი აქტივი უკვე ამორტიზირებულია და ისეთ მდგომარეობაშია, რომელიც მოსალოდნელია მისი მარგი გამოყენების ბოლოსთვის. აქტივის ნარჩენი ღირებულება და მარგი გამოყენება გადაიხედება და იქნება დაზუსტებული, თუ საჭიროა, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივები გამოყენების უფლების ფორმით. კომპანია გასცემს ქონებას იჯარაში. კონტრაქტები შეიძლება შეიცავდეს როგორც იჯარასთან დაკავშირებულ კომპონენტებს, ისე კომპონენტებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული იჯარასთან. თუმცა იჯარის ყველა ხელშეკრულებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, მან გადაწყვიტა არ დაყოს იჯარის და არა-იჯარის კომპონენტები, ამის მაგივრად აღრიცხავს მათ როგორც იჯარის ერთიან კომპონენტებს.
იჯარის შედეგად წარმოქმნილი აქტივების საწყისი შეფასება ხორციელდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.
აქტივები გამოყენების უფლების ფორმით შეფასებულია თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულებების საწყისი შეფასების თანხა,
- ნებისმიერი საიჯარო გადახდები, წარმოებული იჯარის დაწყების თარიღისთვის ან მანამდე, იჯარის წამახალისებელი გადახდების გამოკლებით,
- ნებისმიერი საწყისი პირდაპირი დანახარჯები, და
- დანახარჯები აქტივის აღდგენაზე საიჯარო ხელშეკრულებით მოთხოვილ პირობებამდე.

აქტივების გამოყენების უფლების ფორმით ცვეთა ჩვეულებრივ ხორციელდება წრფივი მეთოდით შემდეგიდან უმოკლესი მნიშვნელობის განმავლობაში: აქტივის მარგი გამოყენების ვადა ან იჯარის ვადა წრფივი მეთოდის საფუძველზე. ყველა საიჯარო ხელშეკრულებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, იჯარის ვადა უფრო მოკლეა, ვიდრე აქტივის მარგი გამოყენების ვადა, ამიტომ გამოიყენება ცვეთა წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე. იჯარის ვადები შემდეგია:

	მარგი გამოყენება, წლები
შენობა-ნაგებობები	5

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ცვეთას დაქვემდებარებული აქტივები გადაისინჯება მათი გაუფასურების მხრივ, როდესაც მოვლენებისა თუ გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მიერ ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს ორი მნიშვნელობიდან - აქტივის რეალური ღირებულება გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით და გამოყენების ღირებულება, უმეტესს. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, ხდება აქტივების დაჯგუფება ყველაზე დაბალ დონეებზე, რომელთათვის არსებობს ძირითადად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების (გუდვილი გარდა) გაუფასურებამდე ხდება გადახედვა შესაძლო ანულირების მხრივ ყოველი სანგარიშო თარიღის ბოლოსთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების საკვანძო პირობები. რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც იქნებოდა მიღებული აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი ჩვეულებრივი გარიგების ფარგლებში ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეთა შორის შეფასების თარიღისთვის. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენს აქტიური ბაზარზე არსებული ფასი. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც გარიგებები აქტივით თუ ვალდებულებით ხორციელდება საკმარისი სიხშირითა და მოცულობით იმისთვის, რომ უზრუნველყოს ფასებზე ინფორმაცია მუდმივ საფუძველზე.

აქტიურ ბაზარზე ვაჭრობაში ჩართული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება არის შეფასებული როგორც ინდივიდუალური აქტივისა თუ ვალდებულების კოტირებული ფასისა და საწარმოს მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტთა გარკვეული რაოდენობის ნამრავლი. ეს ხდება იმ შემთხვევაშიც, როცა ბაზარზე დაფიქსირებული ნორმალური დღიური სავაჭრო მოცულობა არ არის საკმარისი მფლობელობაში არსებული რაოდენობის ასათვისებლად, და ცალკეული ტრანზაქციის ფარგლებში პოზიციის გაყიდვაზე შეკვეთების განთავსებას შეუძლია გავლენის მოხდენა კოტირებულ ფასზე.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები თუ ტრანზაქციის მიმდინარე ხანგრძლივობაზე დაფუძნებული მოდელები, ან ინვესტირების ფინანსური მონაცემების განხილვა გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომელთათვის ინფორმაცია ფასებზე გარე ბაზრებზე არ არის ხელმისაწვდომი.

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი ხორციელდება რეალური ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით შემდეგნაირად: (i) პირველი დონე არის კოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) შეფასება აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებსა თუ ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასების ტექნიკა ყველა არსებითი ამოსავალი მონაცემებით, რომლებიც დაკვირვებულია აქტივსა თუ ვალდებულებისთვის, პირდაპირ (როგორც ფასი) ან ირიბად (ფასიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონე წარმოადენს შეფასებას, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან დაუკვირვებელ ამოსავალ მონაცემებს).

გარიგების დანახარჯები არის ზრდადი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტის შეძენასთან, გამოშვებასა თუ გაყიდვასთან. დამატებითი დანახარჯები ისეთია, რომლებიც არ იქნებოდა გაწეული, თუ ტრანზაქცია არ შედგებოდა. ტრანზაქციის დანახარჯები მოიცავს საკომისიოს და მოსაკრებელს, რომელიც გადაიხდევინება აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც გამოდიან გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებსა და დილერებისთვის, ასევე მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, გადაცემის გადასახადებსა და ბაჟს. ტრანზაქციის დანახარჯები არ მოიცავს დავალიანების პრემიას თუ დისკონტს, დაფინანსებაზე დანახარჯებს ან შიდა ადმინისტარციულ თუ შენახვის ხარჯებს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იქნა აღიარებული საწყისი აღიარებისას, გამოკლებული ნებისმიერი ძირითადი დაფარვები, დამატებული დარიცხული პროცენტები, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის - ნებისმიერი ანარიცხების გამოკლებით შეფასებული საკრედიტო ზარალისთვის (“ECL”). დარიცხული პროცენტები მოიცავს ტრანზაქციით დანახარჯების ამორტიზაციას, რომლებიც იყო გადადებული საწყისი აღიარებისას, და დასაფარი თანხის ნებისმიერ პრემიას თუ დისკონტს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, დარიცხული კუპონისა და ამორტიზებული დისკონტის ან პრემიის (წარმოქმნისას გადადებული მოსაკრებლის ჩათვლით, თუ არსებობს) ჩათვლით, არ არის წარმოდგენილი ცალ-ცალკე და ჩართულია შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის პროცენტული შემოსავლებისა თუ პროცენტული ხარჯების შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდებისა თუ შემოსავლების (მომავალი საკრედიტო ზარალის გარდა) დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების მოსალოდნელი ვადის მანძილზე ან უფრო მოკლე პერიოდით, თუ ეს შესაბამისია, ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთები ახდენს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირებას პროცენტების გადაფასების მომდევნო თარიღისთვის, გარდა პრემიისა თუ დისკონტისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს მცურავი განაკვეთის მიხედვით, რომელიც მითითებულია ინსტრუმენტში, ან სხვა ცვლადებისა, რომლებიც არ უბრუნდება საბაზრო განაკვეთებს. ასეთი პრემიებისა თუ დისკონტების ამორტიზაცია ხდება ინსტრუმენტების მოქმედების მთელი მოსალოდნელი პერიოდის მანძილზე. დღევანდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს იმ ყველა მოსაკრებელს, რომლებიც გადახდილი თუ მიღებულია ხელშეკრულების მხარეთა შორის და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ინსტრუმენტები - საწყისი აღიარება. ყველა ფინანსური ინსტრუმენტი აისახება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირებულია ტრანზაქციის დანახარჯებით. რეალური ღირებულება საწყისი აღიარებისას საუკეთესოდ დასტურდება ტრანზაქციის ფასით. საწყისი აღიარებისას შემოსულობა ან დანაკარგი ჩაიწერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს რეალურ ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის სხვაობა, რაზეც მეტყველებს მსგავსი ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციები, ან შეფასების მეთოდით, რომლის ამოსავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ მონაცემებს დაკვირვებადი ბაზრებიდან. საწყისი აღიარების შემდეგ, ხდება ELC ანარიცხის აღიარება ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, რაც გამოიხატება დაუყოვნებლივ სააღრიცხვო ზარალში.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და მომდევნო შეფასება - შეფასების კატეგორიები. კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას შემდეგი შეფასების კატეგორიებით: ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებასა ან ზარალში ასახვით (“FVTPL”), რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით (FVOCI) და ამორტიზირებული ღირებულებით (AC).

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და მომდევნო შეფასება - ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს იმას, თუ როგორ მართავს კომპანია აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოქმნის მიზნით - იმისდა მიუხედავად, თუ კომპანია მიზნად ისახავს: (i) მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას აქტივებისაგან („ფლობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვებისთვის“) ან (ii) შეგროვებას როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ისევე ფულადი ნაკადებისა, რომლებიც წარმოიქმნება აქტივების გაყიდვის შედეგად („ფლობს, რომ შეაგროვოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და გაყიდოს“), ან თუ (i) და (ii)-დან არცერთი არ გამოიყენება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც „სხვა“ ბიზნეს მოდელის ნაწილი და ხდება შეფასება FVTPL-ით.

ბიზნეს მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) იმ ქმედებების ყველა შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე, რომელსაც კომპანია ახორციელებს შეფასების თარიღისთვის არსებული პორტფელისთვის დადგენილი მიზნის მისაღწევად. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისას გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანსა და შემადგენლობას, შესაბამისი აქტივებიდან ფულადი ნაკადების წინა შეგროვების გამოცდილებას, იმას, თუ როგორ ხდება რისკის შეფასება და მართვა, ასევე აქტივების ეფექტურობის შეფასება და მენეჯერების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება. იმ შემთხვევებში, როდესაც ბიზნეს მოდელი გამოიხატება აქტივების ფლობაში ფულადი სახსრების სახელშეკრულებო ნაკადების შეგროვებისთვის ან ფულადი სახსრების სახელშეკრულებო ნაკადების ფლობასა და გაყიდვაში, კომპანია აფასებს, თუ წარმოადგენს ფულადი სახსრების ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტების გადახდას („SPPI“).

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელის მთლიანად ცვლილების დროს. რეკლასიფიკაციას აქვს პროსპექტული ეფექტი და ტარდება იმ პირველი საანგარიშო წლის დაწყებიდან, რომელიც მოსდევს ბიზნეს მოდელის ცვლილებას. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესადარისი პერიოდის განმავლობაში და არ ჩაუტარებია რაიმე რეკლასიფიცირება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის ანარიცხი ECL-სთვის. კომპანიას აქვს ფინანსური აქტივების ორი ტიპი, რომლებიც ექვემდებარება ECL (შეფასებული საკრედიტო ზარალი) მოდელს - სავაჭრო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

კომპანია მიმართავს ფასს 9-ის ისეთ გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც გამოიყენება შეფასებული ზარალის ანარიცხის მოქმედების მთლიანი ვადის მანძილზე ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. ECL შეფასებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური შეფასების მიდგომა.

შენიშვნაში 21 წარმოდგენილია ინფორმაცია ამოსავალი მონაცემების, დათქმებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, რომლებიც გამოიყენება შეფასებული საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასებებისას, მათ შორის იმის განმარტება, თუ როგორც ახდენს კომპანია საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვას ECL მოდელებში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება, სრულად თუ ნაწილობრივ, როდესაც კომპანიამ ამოწურა ყველა პრაქტიკული ძალისხმევა აღდგენის მხრივ და გადაწყვიტა, რომ არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგეს აღიარების შეწყვეტის მოვლენას. აღდგენის გონივრული მოლოდინების არარსებობის ინდიკატორები მოიცავს, მათ შორის მევალის უუნარობას მონაწილეობა მიიღოს კომპანიის დაფარვების გეგმაში და უუნარობას განახორციელოს სახელშეკრულებო გადახდები 360 დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში. კომპანიას შეუძლია ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ მიეკუთვნება იძულებით აღსრულებას, როდესაც კომპანიას სურს, დაიბრუნოს კონტრაქტით გათვალისწინებული თანხები, თუმცა არ არსებობს გონივრული მოლოდინები დაფარვის მხრივ.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია თუ სხვაგვარად ამოწურულია აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები, ან (ბ) კომპანიამ გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები და მიმართა კვალიფიციურ საგადასახადო გატარებას, ამასთან, (i) ასევე გადასცა აქტივების ფლობასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკი და სარგებელი, ან (ii) არ გადასცა და არ შეინარჩუნა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ არ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლი ნარჩუნდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდოს აქტივი მთლიანობაში გარე მესამე მხარისთვის, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებადი ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებები წყდება, როდესაც ისინი დაფარულია (ე.ი. როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება დაფარულია, გაუქმებულია ან ამოწურულია).

იმ ვალდებულებების ცვლილება, რომელთა დაფარვა არ ხდება, აღირიცხება როგორც შეფასების ცვლილება კუმულატიური დაგროვების მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი მოგებისა თუ ზარალის აღიარებით მოგებასა ან ზარალში, გარდა შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულების სხვაობის ეკონომიკური არსი არის დაკავშირებული მესაკუთრეებთან კაპიტალის ტრანზაქციასთან.

ჩასათვლელი ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ჩათვლას, და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხის ასახვას აქვს ადგილი მხოლოდ, თუ არსებობს სამართლებრივად აღიარებული უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე და არსებობს ნეტო-საფუძველზე ანგარიშსწორებისა ან აქტივების რეალიზებისა და ვალდებულების ერთდროული დაფარვის განზრახვა. ჩათვლის ასეთი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და (ბ) უნდა ჰქონდეს იურიდიული ძალა შემდეგ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი საქმიანობის დროს, (ii) დარღვევის დროს და (iii) გადახდისუუნარობისა და გაკოტრების დროს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს სალაროში და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს დაფარვის სამი თვისა ან ნაკლები პირველადი ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ვინაიდან: (i) მოწმდება, ხომ არ არის ისინი ჩართული

სახელშეკრულებო პირობებში, ისე, რომ ეს ფუნქცია გამოიყენებოდეს იმ შემთხვევაშიც, თუ კანონმდებლობის შესაბამისად მათი ფლობა ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვებისთვის, და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) ისინი არ არის განკუთვნილი FVTPL-სთვის. უშუალოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქციები, როგორიცაა გირავნობის კანონმდებლობა ზოგიერთ ქვეყანაში, არ ახდენს გავლენას SPPI-ის შემოწმებაზე, თუ არ იქნა ჩართული საკონტრაქტო პირობებში, ასე რომ ეს ფუნქცია იქნება გამოყენებული კანონმდებლობის შემდგომში ცვლილების შემთხვევაშიც. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთებზე ECL იყო უმნიშვნელო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით და შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ თავის ვალდებულებებს და მათი საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, დაერიცხება ტრანზაქციის ნეტო-დანახარჯები და არის შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განკვეთის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები. იჯარასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულების საწყისი შეფასება ხორციელდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის რიგ საიჯარო ხელშეკრულებაში ჩართულია გაგრელებისა და შეწყვეტის ოფციები. ეს ცნებები გამოიყენება მაქსიმალური საოპერაციო მოქნილობისთვის კომპანიის საქმიანობაში გამოყენებადი აქტივებისთვის მართვის თვალსაზრისით. გაგრელებისა და შეწყვეტის ოფციების უმეტესობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მიერ და არა შესაბამისი მეიჯარის მიერ. გაგრელების ვარიანტები (ან შეწყვეტის ოფციის შემდგომი პერიოდი) ჩაითვლება იჯარის ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმის ვარაუდის გონივრული საფუძველი, რომ იჯარა იქნება გაგრძელებული (და არა შეწყვეტილი). საიჯარო გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს დასაზუთებულად განსაზღვრული გაგრძელების ოფციის შესაბამისად, ასევე ჩაირთვება ვალდებულებების შეფასებაში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საიჯარო გადახდების დისკონტირება ხდება საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთით. თუ შეუძლებელია ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა, რასაც ხოლმე ადგილი აქვს კომპანიის იჯარის შემთხვევაში, გამოიყენება კომპანიის დამატებით ნასესხები სახსრების მოზიდვის განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს იმ განაკვეთს, რომლის გადახდაც მოუწევს კომპანიას, რათა ისესხოს სახსრები, აუცილებელი აქტივის გამოყენების უფლების ფორმით ანალოგიური ღირებულების მქონე აქტივის მისაღებად ანალოგიურ ეკონომიკურ გარემოში, ანალოგიური ვადებით, გირაოთი და პირობებით.

საიჯარო გადახდები ნაწილდება ძირითად და ფინანსური დანახარჯებს შორის. ფინანსური დანახარჯები მიეკუთვნება მოგება-ზარალს იჯარის პერიოდის მანძილზე, ყოველი პერიოდისთვის მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის მისაღებად ვალდებულებების დარჩენილ პერიოდზე.

მუდმივი პერიოდული განაკვეთის განსაზღვრისთვის, კომპანია გამოიყენებს მესამე მხარის დაფინანსების ბოლო განაკვეთს, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ.

აღჭურვილობისა და სატრანსპორტო საშუალებების მოკლევადიან იჯარასთან, ასევე მცირე ღირებულების მქონე აქტივების იჯარასთან დაკავშირებული გადახდების აღიარება ხდება წრფივი პრინციპით მოგება-ზარალში დანახარჯების სახით. მოკლევადიანი იჯარა არის იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები პერიოდით.

საოპერაციო იჯარა. თუ კომპანია არის მოიჯარე იჯარის ხელშეკრულებაში, რომელიც არ გადასცემს არსებითად ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს მეიჯარეზე (მაგ., საოპერაციო იჯარა), საოპერაციო იჯარის საიჯარო გადახდების აღიარება ხდება წრფივი პრინციპით სხვა შემოსავლის სახით.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველი საგადასახო პოზიციების გადაფასება ხდება მენეჯმენტის მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის პოზიციებისთვის, რომლებიც, მენეჯმენტის აზრით, უფრო მოსალოდნელია, რომ არ გამოიწვევს დამატებითი გადასახედების დაკისრებას, თუ პოზიციები გახდება სადავო საგადასახადო ორგანოების მხრიდან. შეფასება ეფუძნება საგადასახდო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომელიც იქნა მიღებული ან მოქმედებდა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, ასევე ნებისმიერ ცნობილ სასამართლო თუ სხვა გადაწყვეტილებებს ასეთ საკითხებზე. ჯარიმების, პროცენტების და გადასახედების მხრივ ვალდებულებების, მოგების გარდა, აღიარება ხდება მენეჯმენტის მიერ იმ ხარჯების მაქსიმალური შეფასებით, რომლებიც აუცილებელია ვალდებულების დასაფარად საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციების კორექტირება აისახება მოგების გადასახადში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) ექვემდებარება გადახდას საგადასახდო ორგანოებისთვის, როდესაც საქონელი თუ მომსახურება მიეწოდება კლიენტებს. შემომავალი დღგ-ს ანაზღაურება, როგორც წესი, ხდება დარიცხული (გასავლის) დღგ-ს ხარჯზე, ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის ძირითადი წყარო ან შემოსავლები, კონკრეტულად ხილისა და ბოსტნეულის პროდუქტის რეალიზაცია, თავისუფალია დარიცხული დღგ-საგან, შემომავალი დღგ-ის დაბრუნების უფლების

შენარჩუნებით. გაყიდვასა და შეძენასთან დაკავშირებული დღგ აისახება ნეტო-საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და გაწერილია ცალ-ცალკე აქტივისა და ვალდებულების სახით. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს გაანგარიშება ნეტო-საფუძველზე. შემომავალი დღგ, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების შეძენასთან, გადავადებულია 5-დან 10 წლამდე ვადით იურიდიული პირებისთვის, რომელთა ბრუნვა აღემატება იმ მოცულობას, რომელიც ითვალისწინებს 20% დღგ-სგან გათავისუფლებას.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც მიღებულია ან შევიდა ძალაში საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ შეიტანა ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებმა (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდების გარდა) არ უნდა გადაიხადონ მოგების გადასახადი მოგებიდან, რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან, თუ ეს მოგება არ იქნება განაწილებული ან გადახდილი დივიდენდების სახით.

მოგების გადასახადი (15%) გადაიხდევინება მთლიანი ღირებულებით (ე.ი. წმინდა დივიდენდების მთლიანი თანხა მიიღება 5%-იანი გადასახადის გამოქვითვით, თუ გამოიყენება, და იყოფა 0.85-ზე), დივიდენდის გადახდისას, ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. დივიდენდები, გადახდილი რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის მოგებიდან, რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან, გათავისუფლებულია დაბეგვრისგან.

დივიდენდები შემოსავლებზე, რომლებიც დაგროვილია 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, ექვემდებარება მოგების გადასახადის გადახდას მთლიანი ღირებულებით, რაც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, გამოთვლილით როგორც კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დასაბეგრ მოგებაზე, ამავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებასთან შედარებით, გამრავლებული განაწილებას დაქვემდებარებულ დივიდენდზე. თუმცა საგადასახადო შეღავათის თანხა არ უნდა აღემატებოდეს ფაქტიური მოგების გადასახადს, მიმართულს დივიდენდების განაწილებაზე.

მოგების გადასახადი, წარმოქმნილი დივიდენდების განაწილების შედეგად, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯები იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები დეკლარირებულია, გადახდის ფაქტიური თარიღისა თუ იმ პერიოდის მიუხედავად, როდესაც გადაიხდევინება დივიდენდები.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილებასთან ერთად, გადასახადი მაინც გადაიხდევინება იმ ხარჯებსა თუ სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივებისა თუ მომსახურის უფასო მიწოდებასთან, ასევე წარმომადგენლობით დანახარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა ავანსი, გადახდილი იურიდიული პირებისთვის, რომლებიც დარეგისტრირებულია შეღავათიანი საგადასახო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში, და სხვა კონკრეტული გარიგებები ასეთ ორგანიზაციებთან, ასევე სესხები, გაცემული ფიზიკურ პირებსა თუ არარეზიდენტებზე, დაუყოვნებლივ ექვემდებარება დაბეგვრას. ასეთი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახდო შეღავათების გამოკლებით იმ აქტივებსა თუ მომსახურებასთან მიმართებაში, რომლებიც მიღებულია იმ ავანსების სანაცვლოდ, რომლებიც გადახდილია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული ორგანიზაციებისთვის ან ფიზიკური პირებისთვის თუ არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხების დაფარვისას, აღირიცხება გადასახადების გრაფაში, გარდა მოგებისა საოპერაციო დანახარჯების ფარგლებში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება. მოსავლის აღების შემდეგ, პომიდორი და კიტრი შეიტანება გასაყიდად განკუთვნილ სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში და საწყისი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით გაყიდვის შეფასებული დანახარჯების გამოკლებით მოსავლის აღების დროს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან რეალური ამონაგების საწყისი აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშში და სხვა სრულ შემოსავალში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარაგების ცვლილებების ფარგლებში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალური ღირებულება მოსავლის აღებისას განისაზღვრება საბაზრო ფასების საფუძველზე ბოლო ტრანზაქციებით და კლასიფიცირდება რეალური ღირებულების იერარქიის მე-2 დონეზე. მოსავლის აღებისას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის ღირებულება განისაზღვრება ფაქტიურად გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აისახება უმცირესი თვითღირებულებით და რეალიზაციის წმინდა ღირებულებით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალოშეწონილ საფუძველზე. რეალიზაციის წმინდა ღირებულება არის გაყიდვის სავარაუდო ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, დასრულების შეფასებული დანახარჯებისა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება, რომელიც გადაიცემა ბიოლოგიური აქტივებიდან, წარმოადგენს მის რეალურ ღირებულებას მოსავლის აღებისას გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როცა მოსალოდნელია, რომ საქონელი და მომსახურება, დაკავშირებული წინასწარ გადახდასთან, იქნება მიღებული ერთი წლის შემდეგ ან როდესაც წინასწარი გადახდა მიეკუთვნება აქტივს, რომელიც თავად იქნება კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი საწყისი აღიარებისას. აქტივების შესაძენად წინასწარი გადახდა გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი აქტივზე და არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიედინებოდეს კომპანიაში. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, თუ საქონელი ან მომსახურება დაკავშირებულია წინასწარ გადახდასთან, არის მიღებული. თუ არ არსებობს მითითება, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგებასა ან ზარალში.

სააქციო კაპიტალი. სააქციო კაპიტალი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით. საზოგადოების წესდებაში ცვლილებები (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) ხორციელდება მხოლოდ საზოგადოების აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი. დამატებითი დანახარჯები, უშუალოდ დაკავშირებული ახალი აქციებს გამოშვებასთან, ნაჩვენებია საკუთარ კაპიტალში როგორც გაქვითვა, გადასახადის გამოკლებით, ამონაგებიდან. რეალური ღირებულების ნებისმიერი გადამეტება გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე აისახება როგორც სააქციო პრემია საკუთარ კაპიტალში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის დროს. ამონაგების აღიარება ხდება ტრანზაქციის ფასში. ტრანზაქციის ფასი არის უფლება იმ დასაფარ თანხაზე, რომლის მიღებასაც კომპანია ელოდება დაპირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე კლიენტისთვის კონტროლის გადაცემის სანაცვლოდ, მესამე პირების სახელით შეგროვებული თანხების გარდა.

საქონლის გაყიდვები. საქონლის გაყიდვების აღიარება ხდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ე.ი. როდესაც საქონელი მიწოდებულია მომხმარებლისთვის, და მომხმარებელს აქვს მოქმედების სრული თავისუფლება ამ საქონელთან მიმართებაში, და არ არსებობს ვალდებულებები, რომლებსაც შეუძლია გავლენის მოხდება მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხორციელდება, როდესაც საქონელი მიღებულ იქნა მყიდველის მიერ კომპანიის საწყობიდან, დაძველებისა და დანაკარგის რისკები გადაცემულ იქნა მომხმარებლისთვის, ან მომხმარებელმა მიიღო საქონელი კონტრაქტის შესაბამისად, ამ მიღების პირობებმა დაკარგა ძალა, ან კომპანიას გააჩნია იმის ობიექტური მტკიცებულებები, რომ მისაღებად ყველა კრიტერიუმები იქნა დაცული.

დაფინანსების არცერთი ელემენტი არ მიიჩნევა არსებულად, ვინაიდან გაყიდვები ხორციელდება კრედიტის 45-დღიანი ვადით, რაც შეესაბამება საბაზრო პრაქტიკას.

მოთხოვნების აღიარება ხდება, როცა საქონელი მიწოდებულია, ვინაიდან ეს არის დროის ის მომენტი, როდესაც ანაზღაურება არის უპირობო, ვინაიდან გადახდის ვადის დადგომამდე საჭიროა მხოლოდ დრო.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თანამშრომელთა გასამრჯელო. ხელფასი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი (მაგალითად, სამედიცინო მომსახურება და ტრანსპორტირება) დაირიცხება იმ წელს, როდესაც შესაბამისი მომსახურება გაწეულ იქნება კომპანიის თანამშრომლებისთვის. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება საპენსიო უზრუნველყოფისა თუ ანალოგიური გასამრჯელოს გადახდის მხრივ.

საფინანსო ანგარიშგების ცვლილება გამოცემის შემდეგ. საფინანსო ანგარიშგების ნებისმიერი ცვლილება მისი გამოცემის შემდეგ მოითხოვს კომპანიის იმ მენეჯმენტის დასტურს, რომელმაც დაამტკიცა მოცემული საფინანსო ანგარიშგება გამოსაცემად.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არსებითი შეფასებები და მოსაზრებები

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და დათქმებს, რაც ახდენს გავლენას თანხებზე, რომლებიც აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო საფინანსო წლის მანძილზე. შეფასებები და მოსაზრებები მუდმივად ფასდება და დაფუძნებულია მენეჯმენტის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინის ჩათვლით, რომლებიც მიიჩნევა გონივრულად ამ გარემოებებში. მენეჯმენტი ასევე გამოთქვამს გარკვეულ მოსაზრებებს, გარდა იმისა, რაც დაკავშირებულია შეფასებასთან, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მოსაზრებები, რომელთაც გააჩნია ყველაზე დიდი გავლენა თანხებზე ფინანსურ ანგარიშგებაში, და შეფასებები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის მანძილზე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირება, მოიცავს:

ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიამ განიცადა 25,752 ათასი ლარის წმინდა ზარალი იმ წელს, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (2018 წელს: 4,703 ათასი ლარი). კომპანიის ოპერაციები და ფინანსური ლიკვიდობა დამოკიდებულია კომპანიის მფლობელისაგან დახმარების გაგრძელებაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ასეთი დახმარება მისცემს კომპანიას შესაძლებლობას განაგრძოს საქმიანობა ოპერაციების არსებითი შეკვეცის გარეშე ახლო მომავალში, იხილეთ შენიშვნა 24. ასევე, კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საოპერაციო შედეგების გაუმჯობესების გეგმები: კომპანია გეგმავს შეამციროს ელექტროენერგიის დანახარჯები ელექტროენერგიისა და გაზის ჩვეულებრივი მიმწოდებლების ალტერნატული მიმწოდებლებით ჩანაცვლებით. 2020 წლის სექტემბრის მდგომარეობით, პროექტი არის აქტიურ ფაზაში და იქნება დასრულებული ოქტომბრის ბოლოს; კომპანიამ შეცვალა დათესილი ფართობების წილები: 1 ჰა-თი შემცირდა პომიდვრისა და გაიზარდა კიტრის ფართობი. კიტრის ნათესის მოსავლიანობა 1 კვ.მ-ზე უფრო მაღალია, და ამონაგები გაიზრდება. შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ასახული აქტივების ოდენობის აღდგენადობასა და კლასიფიკაციასთან დაკავშირებით რაიმე ისეთ კორექტირებას, რომელიც, შესაძლოა, იქნებოდა საჭირო, თუ კომპანია ვერ შეძლებდა საქმიანობის გაგრძელებას ფუნქციონირებადი საწარმოს სახით.

დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის დროს კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება იმის განსაზღვრით, თუ არის ტრანზაქციები შეფასებული საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, სადაც არ არის აქტიური ბაზარი ასეთი ოპერაციებისთვის. მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს ოპერაციათა ანალოგიური სახეობების ფასწარმოქმნა არამეკავშირე მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებულ მხარეთა ბალანსების პირობები გამჟღავნებულია შენიშვნაში 7.

გამოყენების უფლების ფორმით არსებული აქტივების ცვეთა. იჯარის ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი ითვალისწინებს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც წარმოქმნის ეკონომიკურ სტიმულს გაგრძელების ოფციის განხორციელებისთვის. გაგრძელების ოფციები ჩართულია იჯარის ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული ვარაუდის საფუძველი, რომ იჯარა იქნება გაგრძელებული (ან არ იქნება შეწყვეტილი).

გაგრძელებისა და შეწყვეტის ოფციები. იჯარის გაგრძელებისა და შეწყვეტის ოფციები ჩართულია ოფისის იჯარის ხელშეკრულებაში. აღნიშნული გამოიყენება კომპანიის საქმიანობაში გამოყენებადი აქტივების მართვის თვალსაზრისით მაქსიმალური საოპერაციო მოქნილობისთვის.

იჯარის ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი ითვალისწინებს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც წარმოქმნის ეკონომიკურ სტიმულს გაგრძელების ოფციის განხორციელებისთვის. გაგრძელების ოფციები ჩართულია იჯარის ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული ვარაუდის საფუძველი, რომ იჯარა იქნება გაგრძელებული.

ძირითადი საშუალებების მარგი გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების (ქონების, წარმოების და აღჭურვილობის) მარგი გამოყენების შეფასება არის მსჯელობის საგანი, რომელიც ეფუძნება ანალოგიური აქტივების ასახვის გამოცდილებას. აქტივებში ასახული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ძირითადად მიიღება გამოყენების გზით. თუმცა სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური თუ კომერციული დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში ასახული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი აფასებს მარგი გამოყენების დარჩენილ ვადას აქტივების მიმდინარე ტექნიკური პირობებისა და იმ სააღრიცხვო პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც, როგორც მოსალოდნელია, მიიღება სარგებელი კომპანიისთვის. განიხილება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მომსახურების პროგრამაზე; (გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც წარმოიქნება ბაზრის პირობების ცვლილების გამო.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არსებითი შეფასებები და მოსაზრებები (გაგრძელება)

თუ მარგი გამოყენების სავარაუდო ვადა 10%-ით განსხვავდება მენეჯმენტის შეფასებებისაგან, ცვეთაზე გავლენა წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს, უნდა იყოს გაზრდილი/შემცირებული 525 ათასი ლარით (2018 წელს: 433 ათასი ლარი).

დისკონტირების განაკვეთები, გამოყენებული საიჯარო ვალდებულებების განსაზღვრისთვის. კომპანია გამოიყენებს ნასესხები სახსრების განაკვეთს, რომელიც ეფუძნება საბაზრო განაკვეთს, დისკონტირების განაკვეთის დაანგარიშების საფუძვლის სახით იმის გამო, რომ შეუძლებელია მარტივად განისაზღვროს იჯარით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი. დისკონტირების განაკვეთის 10%-ით გაზრდა თუ შემცირება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის გამოიწვევს საიჯარო ვალდებულებების გაზრდასა ან შემცირებას 2 ათასი ლარით (2019 წლის 1 იანვარი: 4 ათასი ლარი).

5 ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 16, იჯარა (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). კომპანიამ გადაწყვიტა, რომ გამოიყენებს სტანდარტს მისი აუცილებელი გამოყენების თარიღიდან - 2019 წლის 1 იანვარი, გამარტივებული მეთოდის გამოყნებით, შესადარისი მონაცემების გადათვლის გარეშე და სტანდარტით დაშვებული გამარტივების გამოყენებით. ქონების იჯარისთვის აქტივები გამოყენების უფლების ფორმით ფასდება გადათვლისას ისეთნაირად, თითქოს ეს ახალი წესები 2019 წლის იანვრიდან. ყველა დანარჩენი აქტივი გამოყენების უფლების ფორმით შეფასებულია, მიღებისას, საიჯარო ვალდებულებების თანხით.

ფასს 16 პირველად გამოყენებისას, კომპანია გამოიყენებდა სტანდარტით დაშვებულ შემდეგ პრაქტიკულ ხერხებს:

- წინა შეფასებებზე დაყრდნობა, თუ იყო იჯარა წაგებიანი, გაუფასურების გადახედვის ალტერნატივის სახით – 2019 წლის 1 იანვრისთვის ადგილი არ ჰქონია წაგებიან კონტრაქტებს,
- რეტროსპექტიული ანალიზის გამოყენება იჯარის ვადის განსაზღვრისას, თუ ხელშეკრულება შეიცვას იჯარის გაგრძელებისა ან შეწყვეტის ოფციებს.

კომპანიამ ასევე გადაწყვეტა, არ ჩაატაროს იმის განმეორებით შეფასება, თუ წარმოადგენს ხელშეკრულება საიჯარო ხელშეკრულებას საწყისი გამოყენების თარიღისთვის. ამის მაგივრად გადასვლის თარიღებამდე დადებული ხელშეკრულებებისთვის კომპანია ეყრდნობა თავის შეფასებას, განხორციელებულს ასს 17-ის, „იჯარა“, და ფასიკ 4-ის, „შეთანხმებაში იჯარის პირობების არსებობის განსაზღვრა“ გამოყენებით.

ნასესხები სახსრების მოზიდვისთვის ნაზარდი საშუალო შეწონილი განაკვეთი, რომელსაც კომპანია გამოიყენებს 2019 წლის 1 იანვრისთვის არსებული საიჯარო ვალდებულებებისადმი, შეადგენდა 7.70%-ს აშშ დოლარში დენომინირებული ვალდებულებებისთვის.

საოპერაციო იჯარის ვალდებულებების შეჯერება, გამჟღავნებული შენიშვნაში 16, აღიარებული ვალდებულებებისთვის, წარმოებს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	**31 დეკემბერი 2018 / 1 იანვარი 2019**
სულ მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები საოპერაციო იჯარაზე ვადამდელი შეწყვეტის უფლების გარეშე* 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	236
- დისკონტირების ეფექტი დღევანდელ ღირებულებაზე	40
სულ იჯარის ვალდებულები აღიარებული 2019 წლის 1 იანვრისთვის	**196**
მათ შორის:	
მოკლევადიანი იჯარის ვალდებულებები	33
გრძელვადიანი იჯარის ვალდებულებები	163

5 ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება შეეხო 2019 წლის 1 იანვრისთვის ფინანსური მდგომარების შესახებ ანგარიშგების შემდეგ მუხლებს:

ათასი ლარი	**შენიშვნები**	**ფასს 16-ის მიღების გავლენა**
აქტივის გამოყენების უფლების ფორმით ზრდა	**5,9**	***196***
საიჯარო ვალდებულებების ზრდა	**5,9,16**	**196**

შემდეგი გადასინჯული სტანდარტები შევიდა ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ არ ახდენს კომპანიაზე რაიმე არსებით გავლენას:

- ფასიკ 23 „გაურკვევლობა მოგების გადასახადის დაბეგვრის მხრივ“ (გამოცემულია 2018 წლის 7 ივნისს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ).
- ნეგატიური კომპენსაციის ვადამდელი დაფარვის თავისებურებები - ფასს 9-ის ცვლილებები (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ).
- „ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში გრძელვადიანი წილები“ ასს 28-ის შესწორებები (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ).
- ფასს ყოველწლიური გაუჯობესება 2015-2017 წლების ციკლისთვის - ფასს 3, ფასს 11, ასს 12 და ასს 23-ის ცვლილებები (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ).
- „გეგმის ცვლილება, შეკვეცა თუ დაფარვა“ ასს 19-ის ცვლილებები (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ).

6 ახალი სააღრიცხვო განცხადებები

გამოცემულ იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც აუცილებელია 2020 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებსაც კომპანია არ გამოიყენებდა ვადამდე ადრე.

აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოსა შორის – ფასს 10 და ასს 28-ის ცვლილებები (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება საერთაშორის სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ განსაზღვრული თარიღისთვის ან ამ თარიღის შემდგომ). ეს ცვლილებები აღმოფხვრას ინვესტორსა და მისი ასოცირებული კომპანიასა თუ ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვისა თუ შეტანის მხრივ ფასს 10 და ასს 28-ის მოთხოვნებს შორის წინააღმდეგობას. ცვლილებების ძირითადი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ სრული ამონაგებისა ან ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ოპერაცია გავლენას ახდენს ბიზნესზე. ნაწილობრივი ამონაგებისა ან ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ოპერაცია დაკავშირებული იმ აქტივებთან, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, მაშინაც კი, თუ ეს აქტივები მიეკუთვნება შვილობილ კომპანიას. კომპანია არ მოელის ცვლილებების რაიმე გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 „სადაზღვევო კონტრაქტები“ (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდგომ). ფასს 17 ანაცვლებს ფასს 4-ს, რომელიც ანიჭებდა კომპანიას უფლებას დაზღვევის ხელშეკრულებების აღრიცხვას არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებისთვის რთული იყო ანალოგიური სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შედარება. ფასს 17 წარმოადგენს ერთიან პრინციპზე დაფუძნებულ სტანდარტს ყველა სახის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის, მათ შორის გადაზღვევის კონტრაქტებისა, რომლებიც გააჩნია მზღვეველს. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებათა ჯგუფის აღიარებასა და შეფასებას შემდეგნაირად: (i) მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება რისკის გათვალისწინებით (შესრულებული ფულადი ნაკადები), რაც მოიცავს მთელ არსებულ ინფორმაციას ფულადი ნაკადების გადახდის შესახებ ისეთნაირად, რომ შეესაბამებოდეს დაკვირვებულ საბაზრო ინფორმაციას; დამატებული (თუ ეს მნიშვნელობა არის ვალდებულება) ან გამოკლებული (თუ ეს მნიშვნელობა არის აქტივი); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას კონტრაქტების ჯგუფში (საკონტრაქტო მომსახურების მარჟა). მზღვეველი აღიარებს მოგებას დაზღვევის ხელშეკრულებათა ჯგუფიდან იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ის ახორციელებს სადაზღვევო დაფარვას და თავისუფლდება რისკისგან. თუ კონტრაქტების ჯგუფი არის ან ხდება ზარალიანი, კომპანიამ უნდა აღიაროს ზარალი დაუყოვნებლივ. კომპანია არ მოელის ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური ჩარჩოს ცვლილებები (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგომ). გადასინჯული კონცეპტუალური ჩარჩო მოიცავს შეფასების ახალ თავს; ფინანსური შედეგების ანგარიშების სახელმძღვანელოს; გაუმჯობესებულ განსაზღვრებსა და რეკომენდაციებს, კერძოდ, ვალდებულებების განსაზღვრას, ასევე ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში განმარტებებს, როგორიცაა მენეჯმენტის როლი, წინდახედულობა და შეფასების გაურკვევლობა ფინანსურ ანგარიშგებაში.

6 ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

ბიზნესის განსაზღვრა - ფასს 3-ის ცვლილებები (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და შედის ძალაში შენაძენებისთვის იმ წლიური საანგარიშო პერიოდის დაწყებიდან, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრიდან და ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებებში გადასინჯულია ბიზნესის განსაზღვრა. ბიზნესს უნდა ჰქონდეს ამოსავალი მონაცემები და არსებითი პროცესი, რომელთაც ერთობლივად შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი შედეგების შექმნის უნარში. ახალი სახელმძღვანელო უზრუნველყოფს შეფასების საფუძველს, თუ როდის არსებობს ამოსავალი მონაცემები და არსებითი პროცესი, მათ შორის ადრეულ სტადიაზე მყოფი კომპანიებისთვის, რომლებმაც არ წარმოქმნა ამოსავალი მონაცემები. თუ არ არსებობს ამოსავალი მონაცემები, ბიზნესის სახით კლასიფიკაციისთვის პირებს ესაჭიროება ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. ტერმინის „ამოსავალი მონაცემები“ განსაზღვრა ვიწროვდება, რათა მოხდეს კონცენტრირება მომხმარებლებისთვის მიწოდებულ საქონელსა და მომსახურებაზე, რომლებსაც მოაქვს საინვესტიციო შემოსავალი და სხვა შემოსავალი, და ის გამორიცხავს შემოსავლებს უფრო დაბალი დანახარჯების ფორმით ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე აღარ არის საჭირო იმის შეფასება, თუ შეუძლია ბაზრის მონაწილეებს ჩაანაცვლონ არარსებული ელემენტები ან მოახდინონ შეძენილი საქმიანობის სახეობების და აქტივების ინტეგრირება. სუბიექტს შეუძლია გამოიყენოს „კონცენტრაციის ტესტი“. შეძენილი აქტივები არ წარმოადგენს ბიზნესს, თუ შეძენილი მთლიანი აქტივების მთლიანი რეალური ღირებულება კონცენტრირებულია ერთ აქტივში (ან ანალოგიური აქტივების ჯგუფში). კომპანია არ მოელის ცვლილებების რაიმე გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

არსებითობის განსაზღვრა - ასს 1 და ასს 8-ის ცვლილებები (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და შედის ძალაში იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებები განმარტავს არსებითობის განსაზღვრასა და მისი გამოყენების წესს განსაზღვრის სახელმძღვანელოში ჩართვით, რაც მანამდე იყო მითითებული ფასს-ის სხვა ადგილას. გარდა ამისა, განსაზღვრის განმარტებები გაუმჯობესებულია. და ბოლოს, ცვლილებები უზრუნველყოფს არსებითობის შესაბამისობას ფასს-ის ყველა სტანდარტში. ინფორმაცია არის არსებითი, თუ მისი გამოტოვებას, დამახინჯებასა თუ დაფარვას შეუძლია გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ღებულობენ ფინანსური ანგარიშგების პირველადი მომხმარებლები ამ ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტულ ანგარიშვალდებულ ერთეულზე. კომპანია არ მოელის ცვლილების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საბაზისო საპროცენტო განაკვეთების რეფორმა - ფასს 9, ასს 39 და ფასს 7-ის ცვლილებები (გამოცემულია 2019 წლის 26 სექტემბერში და შედის ძალაში წლიური პერიოდისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებები გამოწვეულია საბაზისო საპროცენტო განკვეთების ცვლილებებით, როგორიცაა LIBOR და სხვა ბანკთაშორისი განაკვეთები („IBOR“). ცვლილებები წარმოადგენს ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებისაგან დროებით გათავისუფლებას ჰეჯირების იმ ურთიერთობებისთვის, რომელთაც უშუალოდ ეხება IBOR რეფორმა. ფულადი ნაკადების ჰეჯირების აღრიცხვა, ფასს 9 და ასს 39 შესაბამისად, მოითხოვს, რომ მომავალი ჰეჯირებადი ფულადი ნაკადები იყოს „დიდწილად შესაძლებელი“. თუ ეს ფულადი ნაკადები დამოკიდებულია IBOR-ზე, ცვლილებებით გათვალისწინებული გათავისუფლება მოითხოვს, რომ კომპანიამ დაუშვას, რომ საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ეფუძნება ჰეჯირებული ფულადი ნაკადები, არ შეიცვლება რეფორმის შედეგად. ასს 39 და ფასს 9 მოითხოვს პერსპექტიულ შეფასებას ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მოსალოდნელია, რომ ფულადი ნაკადები IBOR და IBOR ჩანაცვლების განაკვეთებით მთლიანობაში იქნება ეკვივალენტური, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს ნებისმიერი არაეფექტურობა, ასე შეიძლება არ მოხდეს რეფორმის დროის მიახლოებისას. ცვლილებების თანახმად, კომპანიას შეუძლია დაუშვას, რომ საბაზისო საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ეფუძნება ფულადი ნაკადები ჰეჯირებულ ობიექტზე, ჰეჯირების ინსტრუმენტი თუ ჰეჯირების რისკი, არ შეიცვლება IBOR რეფორმის შედეგად. IBOR-ის რეფორმამ შეიძლება ასევე გამოიწვიოს ის, რომ ჰეჯირება გასცდება 80-125%-ის დიაპაზონს, რომელიც მოითხოვება რეტროსპექტული ტესტით ასს 39 თანახმად. თუმცა ასს 39-ში შეტანილ იქნა ცვლილება, რომელიც გულისხმობს რეტროსპექტული ეფექტურობის ტესტთან მიმართებაში გამონაკლისს, ისე რომ ჰეჯირება არ წყდება IBOR-თან დაკავშირებული გაურკვევლობას პერიოდის განმავლობაში მხოლოდ იმიტომ, რომ რეტროსპექტული ეფექტურობა სცდება ამ დიაპაზონის ფარგლებს. ამავე დროს, ჰეჯირების აღრიცხვის სხვა მოთხოვნები, პერსპექტიული შეფასების ჩათვლით, კვლავინდებურად შესასრულებელია. ჰეჯირების ზოგიერთ შემთხვევებში ჰეჯირებული ობიექტი ან ჰეჯირების რისკი წარმოადგენს IBOR რისკის კომპონენტს, რომელიც არ არის დათქმული ხელშეკრულებაში. ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენებისთვის ფასს 9 და ასს 39 მოითხოვს, რომ აღნიშნული რისკის კომპონენტი იყოს ცალკე იდენტიფიცირებული და ექვემდებარებოდეს სანდო შეფასებას. ცვლილებების თანახმად, რისკის კომპონენტი უნდა იყოს ცალკე იდენტიფიცირებადი მხოლოდ საწყისი ჰეჯირების დროს და არა მუდმივ საფუძველზე. მაკროჰეჯირების კონტექსტში, როდესაც კომპანია ხშირად აღადგენს ჰეჯირების ურთიერთობას, შეღავათი გამოიყენება იმ მომენტიდან, როცა ჰეჯირებული ობიექტი თავიდანვე განსაზღვრულ იქნა ამ ჰეჯირების ურთიერთობების ფარგლებში. ჰეჯირების ნებისმიერი არაეფექტურობა კვლავინდებურად იქნება ასახული, აას 39 და ფასს 9-ის თანახმად, მოგება-ზარალში. ცვლილებები ადგენს გამომწვევ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავს, თუ როდის წყდება შეღავათი, რაც მოიცავს გაურკვევლობას, რომელიც წარმოიქმნება, თუ საბაზისო საპროცენტო განაკვეთების რეფორმა აღარ ტარდება. ცვლილებები მოითხოვს, რომ კომპანიებმა წარუდგინონ ინვესტორებს დამატებითი ინფორმაცია მათი ჰეჯირების იმ ურთიერობების შესახებ, რომელზედაც უშუალო გავლენას ახდენს მოცემული გაურკვევლობა, ჰეჯირების იმ ინსტრუმენტების ნომინალური თანხის ჩათვლით, რომელთა მიმართებაში გამოიყენება შეღავათები, ნებისმიერი არსებითი დაშვება თუ მოსაზრება შეღავათების გამოყენებისას და ინფორმაციის ხარისხობრივი გამჟღავნება იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა IBOR რეფორმამ კომპანიაზე და როგორ მართავს ის გარდამავალ პროცესს. კომპანია არ მოელის ცვლილებების რაიმე გავლენას მის საფინანსო საქმიანობაზე.

6 ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ზემოთ, მოსალოდნელია, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოხდენს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიან – ასს 1-ის ცვლილებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ). ეს

ცვლილებები, მოქმედების ვიწრო სფეროთი, აზუსტებს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი იმ უფლებებიდან გამომდინარე, რომლებიც არსებობს საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები არის გრძელვადიანი, თუ კომპანიას აქვს არსებითი უფლება საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის გადადოს დაფარვა, როგორც მინიმუმ, თორმეტი თვით. სახელმძღვანელო აღარ მოითხოვს, რომ ასეთი უფლება იყოს უპირობა. მენეჯმენტის მოლოდინი იმის თაობაზე, თუ გამოიყენებს მომავალში დაფარვის გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია იცავს ყველა შესაბამის პირობას საანგარიშო წლის ბოლოსთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი, თუ პირობა ირღვევა საანგარიშო თარისთვის ან უფრო ადრე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ პირობის დათმობა მიღებულია კრედიტორისგან საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, თუ სესხის პირობა ირღვევა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. გარდა ამისა, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციისადმი მოთხოვნების დაზუსტებას, რომლის დაფარვაც კომპანიას შეუძლება მისი კაპიტალში კონვერტირებით. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება როგორც ვალდებულებების დაფარვა ფულადი სახსრებით, ეკონომიკურ სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით ან კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. არსებობს გამონაკლისი ისეთი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება იყოს კონვერტირუბული კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერტაციის ოფცია კლასიფიცირდება როგორც წილობრივი ინსტრუმენტი, რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკეული კომპონენტის სახით.

შემოსავლები სავარაუდო გამოყენებამდე, წაგებიანი ხელშეკრულება - კონტრაქტის შესრულების ღირებულება, კონცეპტუალურ ჩარჩოზე მითითება - ასს 16-ის, ასს 37-სა და ფასს 3-ის ვიწრო სფეროს ცვლილებები და 2018-2020 წლების ფასს-ების გაუმჯობესებები - ფასს 1-ის, ფასს 9-ის, ფასს 16-სა და ასს 41-ის ცვლილებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და შედის ძალაში 2022 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ასს 16-ის ცვლილება უკრძალავს კომპანიას გაქვითოს ძირითადი საშუალებების მუხლის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავლები, მიღებული ამ ობიექტების გაყიდვიდან მაშინ, როცა კომპანიას აპირებს გამოიყენოს ეს აქტივი დანიშნულებისამებრ. ასეთი ობიექტების გაყიდვიდან შემოსავლის, მათ წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებთან ერთად, აღიარება ახლა ხდება მოგებასა ან ზარალში. კომპანია გამოიყენებს ასს 2-ს ამ ობიექტების ღირებულების შეფასებისთვის. ღირებულება არ უნდა მოიცავდეს შემოწმებული აქტივის ცვეთას, ვინაიდან იგი არ არის მზად დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. ასს 16-ის ცვლილება ასევე განმარტავს, რომ კომპანია „ამოწმებს, თუ ფუნქციონირებს აქტივი სათანადოდ“, როდესაც აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ მახასიათებლებს. აქტივის ფინანსურ მაჩვენებლებს არ აქვს კავშირი ამ შეფასებასთან. შესაბამისად, აქტივი შეიძლება ფუნქციონირებდეს მენეჯმენტის განზრახვის შესაბამისად და ექვემდებარება ცვეთას მანამდე, სანამ მიაღწევს საოპერაციო საქმიანობის იმ დონეს, რომელსაც მოელის მენეჯმენტი.

ასს 37-ის ცვლილება განმარტავს ტერმინს „კონტრაქტის შესრულების დანახარჯები“ მნიშვნელობას. ცვლილება განმარტავს, რომ კონტრაქტის შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ასეთი კონტრაქტის შესრულების დამატებით დანახარჯებს და იმ სხვა დანახარჯების მიკუთვნებას, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია შესრულებასთან. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ წაგებიან ხელშეკრულებაზე ცალკე ანარიცხის შექმნამდე კომპანია აღიარებს გაუფასურების ნებისმიერ ზარალს, რომელიც წარმოიქმნა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით და არა იმ აქტივებთან, რომლებიც განკუთვნილია ამ ხელშეკრულებისთვის.

ფასს 3-ში შეტანილია ცვლილება 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოზე მითითებისთვის იმის განსაზღვრის მიზნით, თუ რა წარმოქმნის აქტივსა თუ ვალდებულებას ბიზნესის გაერთიანებისას. ცვლილების შეტანამდე ფასს 3-ში იყო მითითება 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოზე. გარდა ამისა, ფასს 3-ში დამატებულია ახალი გამონაკლისი ვალდებულებებსა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისი მიუთითებს, რომ ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების გარკვეული ტიპებისთვის კომპანიამ, რომელიც გამოიყენებს ფასს 3-ს, უნდა მიმართოს ასს 37-ს ან ფასიკ 21-ს და არა 2018 წლის კონცეპტუალურ ჩარჩოს. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, კომპანიას მოუწევდა აღიარებინა ისეთი გარკვეული ვალდებულებები ბიზნესის გაერთიანების დროს, რომელთაც არ აღიარებდა ასს 37-ის თანახმად. შესაბამისად, უშუალოდ შეძენის შემდეგ კომპანიას უნდა შეეწყვეტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და აღიარებინა ამონაგები, რომელიც არ ასახავდა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე განმარტებულია, რომ მყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც ეს განსაზღვრულია ფასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

ფასს 9-ის ცვლილება ეხება იმას, თუ რომელი საზღაური უნდა ჩაირთოს 10%-ში შემოწმების დროს ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. დანახარჯები თუ საზღაური შეიძლება იყოს ანაზღაურებული მესამე მხარებისთვის თუ კრედიტორისთვის. ცვლილების თანახმად, მესამე მხარებისთვის გადახდილი დანახარჯები თუ საზღაური არ იქნება ჩართული 10%-ში შემოწმების დროს.

საილუსტრაციო მაგალითში 13, რომელიც თანდართულია ფასს 16-ს, შეტანილია ცვლილებები, იმ ილუსტრაციის მოცილების მიზნით, რომელიც ასახავს მეიჯარის გადახდებს საჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ცვლილების შეტანის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ აღმოფხვრილ იქნას საიჯარო შეღავათების მხრივ ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობა.

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

ფასს 1-ით დასაშვებია გამონაკლისი იმ შემთხვევაში, თუ შვილობილი კომპანია გამოიყენებს ფასს-ს უფრო გვიან, ვიდრე მისი მშობელი კომპანია. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით, რომელიც იქნებოდა ჩართული მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან გამომდინარე, თუ არ იქნა შეტანილი კორექტივები კონსოლიდაციის პროცედურაში და ბიზნესის ისეთი გაერთიანების გავლენის მშობელ კომპანიაზე ასახვაში, როდესაც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1-ში შეტანილ იქნა ცვლილება, რათა კომპანიებს, რომლებიც გამოიყენებენ ფასს 1-ის ამ გამონაკლისს, შეეძლოთ ასევე შეაფასონ

დაგროვილი საკურსო სხვაობები, მშობელი კომპანიის მიერ დაფიქსირებული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღზე დაყრდნობით. ფასს 1-ის ცვლილება ავრცელებს აღნიშნულ გამონაკლისს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე, რათა შეუმციროს დანახარჯები იმ კომპანიებს, რომლებიც პირველად გამოიყენებენ ფასს-ს. აღნიშნული ცვლილება ასევე იქნება გამოყენებული ასოცირებული კომპანიებისა და ერთობილი საწარმოების მიმართ, რომლებიც ასევე ისარგებლებენ ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით.

გაუქმებულ იქნა მოთხოვნა კომპანიებისთვის გაქვითონ ფულადი ნაკადი დაბეგვრისას რეალური ღირებულების შეფასების დროს ასს 41-ის თანახმად. ეს ცვლილება განკუთვნილია დაბეგვრის შემდეგ ფულადი ნაკადების დისკონტირების მხრივ სტანდარტის მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანისთვის.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელია, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები არსებითად არ მოახდენს გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საიჯარო შეღავათები, დაკავშირებული COVID-19-თან - ფასს 16-ის ცვლილებები (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და შედის ძალაში 2020 წლის 1 ივნისიდან ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები მოიჯარეებს (და არა მეიჯარეებს) ანიჭებს შეღავათს იმის შეფასებისგან არასავალდებულო გათავისუფლების სახით, თუ წარმოადგენს საიჯარო შეღავათი COVID-19-თან დაკავშირებით საიჯარო ხელშეკრულების მოდიფიკაციას. მოიჯარეებს შეუძლიათ, შეარჩიონ საიჯარო შეღავათის აღრიცხვა ისეთნაირად, თითქოს იგი არ წარმოადგენს იჯარის მოდიფიკაციას. ბევრ შემთხვევაში ეს იწვევს შეღავათის აღრიცხვას ცვლადი საიჯარო გადახდის სახით. ეს პრაქტიკული ხერხი გამოყენებადია მხოლოდ საიჯარო შეღავათებისთვის, რომლებიც წარმოიქმნება როგორც COVID-19-ის პანდემის პირდაპირი შედეგი და მხოლოდ ყველა შემდეგი პირობის დაცვისას: საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს ისეთი იჯარის ანაზღაურების გადახედვას, რომელიც არსებითად შესაბამისი ან ნაკლებია, ვიდრე უშუალოდ ცვლილებამდე არსებული საიჯარო ანაზღაურება; საიჯარო გადახდების ნებისმიერ შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ გადახდებზე, რომლებიც ექვემდებარება გადახდას არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივნისისა, და არ არსებობს რაიმე არსებითი ცვლილება იჯარის სხვა პირობებში. თუ მოიჯარე გადაწყვეტს გამოიყენოს ეს პრაქტიკული ხერხი იჯარასთან დაკავშირებით, მან უნდა გამოიყენოს ეს პრაქტიკული ხერხი თანმიმდევრულად ანალოგიური მახასიათებლების მქონე ყველა საიჯარო ხელშეკრულების მიმართ და ანალოგიურ გარემოებებში. ცვლილება უნდა გამოიყენებოდეს რეტროსპექტულად ასს 8-ის თანახმად, მაგრამ მოიჯარე არ არის ვალდებული გადათვალოს წინა პერიოდის მონაცემები ან გაამჟღავნოს ინფორმაცია ასს 8-ის 28(f) პუნქტის შესაბამისად.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელია, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები არსებითად არ მოახდენს გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, მიიჩნევა დაკავშირებულად, თუ მხარეები იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შეუძლია მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერაციული გადაწვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება უნდა იყოს მიმართული ურთიერთობების არსსა და არა სამართლებრივ ფორმაზე.

2019 წლის განმავლობაში მოწეული პომიდვრებისა და კიტრის გაყიდვებმა ერთობლივ კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოში (შპს „ქართული აგროსახლი“) შეადგინა 15,710 ათასი (2018 წელი: 10,797 ათასი).

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, დაუფარავი ნაშთები მხარეთა შორის მოიცავდა იმ პირის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიისგან (შპს „ქართული აგროსახლი“), რაც შეადგენდა 2,628 ათასს (2018 წელი: 2,580 ათასი) და გადასახდელია გაყიდვის თარიღიდან ორი თვის განმავლობაში.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებული მხარეების დაუფარავი ნაშთები მოიცავს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიის (შპს „GeoArgo“) საიჯარო ვალდებულებს 174 ათასი ლარის ოდენობით, რომელთა ვადა იწურება 2023 წელს. საპროცენტო ხარჯებმა, რომლებიც აღიარებულია წლის განმავლობაში საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებით, შეადგინა 15 ათასი ლარი.

საკვანძო მენეჯმენტის კომპენსაცია. საკვანძო მენეჯმენტი მოიცავს კომპანიის დირექტორს, წარმოების ხელმძღვანელს და მთავარ აგრონომს. იმ ხელფასებმა და მოკლევადიანია პრემიებმა საკვანძო მენეჯმენტისთვის, რომლებიც ჩართულია სრულ შემოსავალში, შეადგინა 285 ათასი ლარი (2018 წელი: 246 ათასი ლარი). მოკლევადიანი ბონუსები გადახდას ექვემდებარება იმ პერიოდის დასრულების შემდეგ, როდესაც მენეჯმენტის მიერ გაწეულია შესაბამისი მომსახურება, თორმეტი თვის განმავლობაში,

8 ძირითადი საშუალებები

ცვლილებები ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში არის შემდეგი:

ათასი ლარი	მიწა	შენობები და სათბურები	საწარმო და აღჭურვილობა	CIP*	სულ
თვითღირებულება 2018 წლის 1 იანვრისთვის	2,521	29,991	4,602	5,718	42,832
დაგროვილი ცვეთა	-	(5,758)	(1,091)	-	(6,849)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვრისთვის	**2,521**	**24,233**	**3,511**	**5,718**	**35,983**
ნამატები	-	-	-	6,673	6,673
ტრანსფერები	-	9,337	1,919	(11,256)	-
გაყიდვები	-	-	-	(148)	(148)
ცვეთის დარიცხვა	-	(3,695)	(633)	-	(4,328)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	**2,521**	**29,875**	**4,797**	**987**	**38,180**
თვითღირებულება 31 დეკემბერი 2018	2,521	39,328	6,521	987	49,357
დაგროვილი ცვეთა	-	(9,453)	(1,724)	-	(11,177)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	**2,521**	**29,875**	**4,797**	**987**	**38,180**
ნამატები	-	-	-	773	773
ტრანსფერები	-	146	481	(627)	-
გაყიდვები	-	(14)	-	(97)	(111)
ცვეთის დარიცხვა	-	(4,456)	(756)	-	(5,212)
გაუფასურების დარიცხვა მოგებასა ან ზარალში	(1,701)	(17,418)	(2,378)	(789)	(22,286)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	**820**	**8,133**	**2,144**	**247**	**11,344**
თვითღირებულება 31 დეკემბერი 2019	2,521	39,460	7,002	1,036	50,019
დაგროვილი ცვეთა	(1,701)	(31,327)	(4,858)	(789)	(38,675)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	**820**	**8,133**	**2,144**	**247**	**11,344**

(*) CIP - მიმდინარე მშენებლობა.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგი აქტივები: შენობები და სათბურები 6,437 ათასი ლარის ღირებულებით (2018 წელი: 26,409 ათასი ლარი), მიწა 820 ათასი ლარის ღირებულების (2018 წელს: 2,521 ათასი ლარი), საწარმო და აღჭურვილობა საბალანსო ღირებულებით 2,347 ათასი ლარი (2018 წელი: 5,029 ათასი ლარი) დაგირავებულია ბანკში როგორც ნასესხები სახსრების გირაო. იხ. შენიშვნა 15.

გაუფასურების გამომწვევი მოვლენები და გარემოებები. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მენეჯმენტმა გამოავლინა იმის ნიშნები, რომ კომპანიის აქტივები შეიძლება იყოს გაუფასურებული, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვა არ წარმოქმნის ფულად ნაკადებს, როგორც ამას თავდაპირველად მოელოდა კომპანიის მენეჯმენტი. კომპანიამ განსაზღვრა, რომ გაუფასურების ნიშნები არსებობდა. ოპერაციების ხასიათისა და ხელმისაწვდომი საბაზრო მონაცემების არარსებობის გამო, მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, დაიქირაოს გარე დამოუკიდებელი ექსპერტი შემფასებელი - EY Georgia LLC, ანაზღაურებადი თანხის განსაზღვრისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული. კომპანიის ძირითადი საშუალებები წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთ ერთეულს (CGU), რომლის მიზანიც არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა და გაყიდვა.

გაუფასურების შემოწმების მოდელი მოიცავს მკაფიო საპროგნოზო პერიოდს 2020-დან 2025 წლების ჩათვლით მენეჯმენტის მიერ მომზადებული ბოლო ბიზნესგეგმის საფუძველზე, რის შემდეგაც გამოითვლება საბოლოო ღირებულება (მე-3 დონის რეალური ღირებულება).

გამოყენების ღირებულება იყო რეალურ ღირებულებაზე ნაკლები, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, ამიტომ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (CGU) ანაზღაურებადი ღირებულება ეფუძნება რეალური ღირებულების გაანგარიშებას, გაყიდვის დანაკარგების გამოკლებით.

8. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

საბაზრო მიდგომა გამოიყენებოდა იმ შემთხვევებში, როდესაც აქტივებთან (მიწა, ტრანსპორტი და ა.შ.) დაკავშირებით პირდაპირ თუ ირიბად იყო ხელმისაწვდომი კოტირებული საბაზრო ფასები, სხვა ძირითადი საშუალებების ბაზარი საქართველოში არ არის აქტიური და არ უზრუნველყოფს საბაზრო მიდგომის გამოყენებისთვის მტკიცებულებებს მათი რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის. შესაბამისად, სხვა ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება ძირითადად განისაზღვრებოდა ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულებით. იმ შეფასებებში გონივრული ცვლილება, რომლებიც გამოიყენებოდა ანაზღაურებადი თანხის განსაზღვრისას, არ მოახდენს არსებით გავლენას კომპანიის ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საკვანძო მოსაზრებები, რომელთაც ეყრდნობოდა მენეჯმენტი რეალური ღირებულების, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, განსაზღვრისას, არის შემდეგი:

ყველა მატერიალური აქტივი დაყოფილია 3 ჯგუფად: არასაბაზრო აქტივები, რომელთა ღირებულება უდრის ნულს, ნარჩენი (სალიკვიდაციო) ფასის მქონე აქტივები და პოტენციურად საბაზრო აქტივები, რომელთა ღირებულება შეფასებულია როგორც ღირებულება მონტაჟის, დემონტაჟის, სატრანსპორტო დანახარჯებისა და ცვეთის გამოკლებით;

ნავარაუდებია, რომ დემონტაჟი შეადგენს დანადგარის ღირებულების 70%-ს და გამოკლებულია იმ ყველა აქტივის ღირებულებიდან, რომლებიც თხოულობს მონტაჟს. ნარჩენი ღირებულება შეფასებულია სათბურის კონსტრუქციებსა და მილებისთვის, რომლებიც შეიძლება გაიყიდოს მათი მასალების ღირებულებით: ფოლადი, ალუმინი ან შუშა;

სხვა აქტივებისთვის, რომელთაც არ აქვს ალტერნატიული გამოყენება (მათი ხასიათისა და თავისებურებების გათვალისწინებით) და, დიდი ალბათობით, არ შეიძლება გაიყიდოს დემონტაჟის შემდეგ, ღირებულება მიღებულია როგორც ნულის ტოლი. ასეთი აქტივების, რომელთაც მიეკუთვნება სპეციალიზებული სასათბურე აღჭურვილობა, სასათბურე კონსტრუქციების ნაწილები და რომლებიც არ ექვემდებარება უტილიზაციას, მონტაჟისა და მომსახურების დანახარჯები კაპიტალიზებულია მშენებლობის დროს.

გაუფასურების ზარალი. CGU-ს საბალანსო ღირებულება 33,630 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა როგორც უფრო მაღალი, ვიდრე მისი ანაზღაურებადი ღირებულება 11,344 ათასი ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში აღიარებულ იქნა გაუფასურება 22,286 ათასის ოდენობით.

9 აქტივები გამოყენების უფლების ფორმით და საიჯარო ვალდებულებები

კომპანია ქირაობს ოფისს. საიჯარო ხელშეკრულება ჩვეულებრივ იდება ფიქსირებული პერიოდებით, მაგრამ შეიძლება ჰქონდეს გაგრძელების ოფცია, როგორც აღწერილია ქვემოთ

ათასი ლარი	**შენობა-ნაგებობები**
საბალანსო ღირებულება 1 იანვარი 2019	**196**
ცვეთის ანარიცხი	39
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	**157**

2018 წლის 31 დეკემბრამდე ძირითადი საშუალებების ყველა საიჯარო ხელშეკრულება კლასიფიცირდებოდა როგორც საოპერაციო იჯარა. 2019 წლის 1 იანვრიდან ხდება იჯარის აღიარება როგორც აქტივი გამოყენების უფლების ფორმით და შესაბამისი ვალდებულებისა იმ თარიღიდან, როდესაც საიჯარო აქტივი ხდება ხელმისაწვდომი კომპანიის მიერ გამოყენებისთვის.

კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	**31 დეკემბერი 2019**	**1 იანვარი 2019**
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	39	33
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	135	163
სულ საიჯარო ვალდებულებები	**174**	**196**

საპროცენტო ხარჯი, ჩართული 2019 წლის საფინანსო დანახარჯებში, შეადგენდა 15 ათას ლარს. ფულადი სახსრების მთლიანმა გადინებამ იჯარაზე 2019 წელს შეადგინა 50 ათასი ლარი.

10 მარაგები

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნედლეული	1,431	1,285
მიმდინარე სამუშაოები	74	67
სასოფლო-სამეურნეო წარმოება	36	19
სხვა	27	60
სულ მარაგები 31 დეკემბრისთვის	**1,568**	**1,431**

კომპანიის ძირითად აქტივობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა და მომავალი გაყიდვები. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება ხდება 2-3-ჯერ წელიწადში კიტრისთვის და ერთხელ - პომიდვრისთვის, და საჭიროა, შესაბამისად, დაახლოებით 1-2 თვე და 2-3 თვე შემოსავლის მიღებამდე.

2019 წელს კომპანიამ მოიწია 7,137 ტონა პომიდვრისა და კიტრის მოსავალი (2018 წელი: 6,497 ტონა).
სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცვლილებები შემდეგია:

ათასი ლარი	2019	2018
სასოფლო-სამეურნეო წარმოება 1 იანვრისთვის	**19**	**53**
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალური ღირებულებიდან ამონაგები საწყისი აღიარებისას	14,995	10,848
გაყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება	(14,978)	(10,882)
სასოფლო-სამეურნეო წარმოება 31 დეკემბრისთვის	**36**	**19**

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	2,669	2,737
გამოკლებულ სხვა ფინანსური მოთხოვნები	119	119
გამოკლებული საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(119)	(119)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ფარგლებში	**2,669**	**2,737**
წინასწარი გადახდები მარაგების მიმწოდებლებისთვის	27	33
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 31 დეკემბრისთვის	**2,696**	**2,770**

საქონლის გაყიდვიდან მოთხოვნები მოიცავს 2,628 ათასი ლარის (2018 წელი: 2,580 ათასი ლარი) მოთხოვნებს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი იურიდიული პირისაგან (შენიშვნა 7), რომელიც არ არის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის არანაირი ფინანსური სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ იყო დენომინირებული აშშ დოლარში (2018 წლის 31 დეკემბერი: 119 ათასი ლარი).

კომპანია გამოიყენებს ფასს 9 გამარტივებულ მიდგომას საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომელიც გამოიყენება ფუნქციონერების მთელი პერიოდისთვის მთლიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. შეფასების ინდივიდუალური მიდგომა გამოიყენება შეფასებული საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასებისთვის, ვინაიდან კომპანიას ჰყავს ერთი მთავარი კლიენტი, შპს „საქართველოს აგროსახლი“, ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო

საანგარიშო წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა ცვლილება საკრედიტო ზარალის ანარიცხებში.

12 სხვა საგადასახადო მოთხოვნები

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
დღგ	4,914	3,708
ხელფასის დაბეგვრა	(2,260)	(1,628)
ქონების გადასახადი	(1,782)	(1,467)
სხვა გადასახადები	(204)	(134)
სულ სხვა საგადასახადო მოთხოვნები 31 დეკემბრისთვის	**668**	**479**

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ მიმართა საქართველოს შემოსავლების სამსახურს თხოვნით დაებრუნებინა დღგ, გადახდილი გაყიდულ საქონელსა და მომსახურებაზე, და წარმატებით დაიბრუნა 400 ათასი ლარის ოდენობის დღგ (2018 წელი: 2,500 ათასი ლარი).

13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაშთი საბანკო ანგარიშზე, მოთხოვნამდე		
- *დენომინირებული ლარში*	88	60
- *დენომინირებული აშშ დოლარში*	230	467
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრისთვის	**318**	**527**

საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთი 15 ათასი ლარის ოდენობით, განთავსებულია Fitch-ის "B-" რეიტინგის მქონე ბანკში (2018: 53 ათასი) და 303 ათასი ლარი განთავსებულია "BB-"-ზე დაბალი რეიტინგის მქონე ბანკში (2018 წელს: 474 ათასი).

14 სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
პერიოდის დასაწყისისთვის გამოშვებული, სრულად გადახდილი	22,810,516	19,219,489
აქციები გამოშვებული	940,000	3,591,027
გამოშვებული პერიოდის ბოლოსთვის, სრულად გადახდილი	**23,750,516**	**22,810,516**
ნებადართული აქციები - ნომინალი 1 აშშ დოლარი	**30,000,000**	**30,000,000**

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოუშვა 940,000 (2018 წელს: 3,591,027) ახალი აქცია Greenhouse Holding LLC-სა და Agroshare B.V.-სთვის 1 აქციის ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარი, სრული მოცულობით 940 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2018 წელი: 3,591 ათასი აშშ დოლარი), რაც 2,712 ათასი ლარის (2018 წელი: 9,246 ათასი ლარი) ეკვივალენტია. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, გამოშვებული კაპიტალი სრულად იქნა შეტანილი ფულადი ფორმით შესაბამისი აქციონერების მიერ.

კომპანიის სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია ლარში, აქციების გამოშვების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით. ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს აქვთ უფლება მიიღონ დივიდენდები, რომლებიც პერიოდულად გამოცხადებულია, და გააჩნიათ ერთი ხმა აქციაზე კომპანიის კრებებზე.

15 ნასესხები სახსრები

ათასი ლარი				31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ვადა	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	GEL	12.75%	2022	10,054	13,354
სულ ნასესხები სახსრები 31 დეკემბრისთვის				**10,054**	**13,354**

2018 წელს კომპანიამ მიიღო ახალი საბანკო სესხები ყველა დაუფარავი საკრედიტო ნაშთების დაფარვის მიზნით. ახალი საბანკო სესხები დენომინირებულია ლარში, ნომინალური საპროცენტო განაკვეთი არის კომერციული ბანკის ფიქსირებული განაკვეთი - 3.75% დამატებული 7.25% (საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ცვალებადი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი). წლის ბოლოსთვის, სებ-ის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9%-ს შეადგენდა.

16 საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებებისა და კომპანიის საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების ცვლილებების ანალიზი ყოველი წარმოდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები ასახულია როგორც დაფინანსება ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში:

	საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები		
ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები 2018 წლის 1 იანვრისთვის	17,913	-	**17,913**
ნამატი წლის განმავლობაში	15,550	-	**15,550**
გადახდები წლის განმავლობაში	(18,784)		**(18,784)**
პროცენტების დარიცხვა	1,450	-	**1,450**
პროცენტების გადახდა	(1,715)	-	**(1,715)**
საკურსო სხვაობის კორექტირება	(1,060)	-	**(1,060)**
საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**13,354**	-	**13,354**
ახალი სტანდარტების მიღება	-	196	**196**
საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**13,354**	**196**	**13,550**
ნამატი წლის განმავლობაში	-	-	-
გადახდები წლის განმავლობაში	(3,303)	(35)	**(3,338)**
პროცენტების დარიცხვა	1,279	15	**1,294**
პროცენტების გადახდა	(1,276)	(15)	**(1,291)**
საკურსო სხვაობის კორექტირება	-	13	**13**
საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**10,054**	**174**	**10,228**

17 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	**2019**	**2018**
შესყიდული კომუნალური მომსახურების ვალდებულებები	980	975
შესყიდული მარაგების ვალდებულებები	282	119
თანამშრომელთა გასამრჯელოს დარიცხული ხარჯები	89	35
31 დეკემბრისთვის	**1,351**	**1,129**

18 ანალიზი შემოსავლების კატეგორიების მიხედვით

კომპანიის შემოსავლები კლიენტების კონტრაქტებიდან შეადგენს 15,878 ათას ლარს წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (2018 წელი: 10,806 ათასი ლარი). კომპანიას აქვს ერთი მნიშნელოვანი შემოსავლის ნაკადი, რომლის აღიარება ხდება დროის კონკრეტულ მომენტში. ერთადერთ მსხვილ კლიენტს წარმოადგენს შპს „ქართული აგროსახლი“, საწარმო ერთობლივი კონტროლის ქვეშ.

შემოსავლები ანალოგიური პროდუქტებისა თუ მომსახურების თითოეული ჯგუფის მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი	**2019**	**2018**
კიტრის გაყიდვები	10,258	6,822
პომიდვრის გაყიდვები	5,323	3,950
სხვა	297	34
სულ შემოსავლები	**15,878**	**10,806**

19 სხვა ხარჯები

ათასი ლარი	**2019**	**2018**
კომუნალური მომსახურების ღირებულება	6,247	4,350
გამოყენებული თესლი და სხვა სახარჯი მასალები	2,485	2,354
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	396	463
შეკეთებისა და მომსახურების ხარჯები	189	182
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა მომსახურება	132	168
დაცვის მომსახურება	81	81
საწვავის დანახარჯები	31	39
დაზღვევის დანახარჯები	23	20
საკომუნიკაციო დანახარჯები	21	20
წარმომადგენლობითი დანახარჯები	13	11
ტრანსპორტირების დანახარჯები	6	5
საოპერაციო იჯარის დანახარჯები	-	49
სხვა	718	390
სულ სხვა ხარჯები	**10,342**	**8,132**

20 გაუთვალისწინებელი პირობითი გარემოებები და წარმოქმნილი ვალდებულებები

სასამართლო წარმოება. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში კომპანიის მიმართ შეიძლება წარდგენილ იქნას პრეტენზიები. საკუთარი შეფასებების საფუძველზე მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ პრეტენზიებთან მიმართებაში არ იქნება გაწეული რაიმე არსებითი ზარალი. 2019 წელს შპს „დონეცკის წყლის ინსტიტუტი“-მა, შპს „სტაგარ“-ის (საქართველოში დარეგისტრირებული ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებდა სათბურის მშენებლობას საწყის ეტაპზე), შეიტანა კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი 1,317 ათასი ლარის ოდენობის თანხაზე 2015 წლის 14 ივლისს შპს „სტაგარ“-სა და კომპანიას შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე კუთვნილი ანაზღაურების გადახდის მოთხოვნით. გარდა ამისა, შპს „სტაგარ“-მა მოითხოვა სათბურის განკარგვის უფლების შეჩერება. უფლების შეჩერების შესახებ სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა სასამართლოს მიერ. თავის მხრივ, 2019 წელს კომპანიამ შეიტანა სარჩელი 1,461 ათასი ლარის ოდენობით შპს „სტაგარ“-ის (დარეგისტრირებული საქართველოში) და მისი გარანტორის - Stagar LLC (დარეგისტრირებული უკრაინაში) წინააღმდეგ შპს „სტაგარ“-ის (დარეგისტრირებული საქართველოში) მიერ მომსახურების შეუსრულებლობას გამო გაწეული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით.

გაუთვალისწინებელი საგადასახადო პირობები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის ხშირი ცვლილება, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც არის არამკაფიო, ურთიერთსაწინააღმდეგო და ექვემდებარება ორმაგ ინტერპრეტაციას. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოებს არ შეუძლია რაიმე ვალდებულებების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა თუ საურავების მხრივ, თუ იმ წლის დასრულებიდან, როდესაც მოხდა დარღვევა, გასულია სამი წელი.

აღნიშნულ გარემოებებს შეუძლია შექმნას საგადასახადო რისკი საქართველოში, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ადეკვატურად უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებს, საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მისი ინტერპრეტირების საფუძველზე. თუმცა შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენა ამ ფინანსურ ანგარიშებზე, თუ ორგანოები იქნება წარმატებული მათი ინტერპრეტაციის აღსრულებაში, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

დაზღვევა. საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია არის განვითარებად ეტაპზე და ჯერ არ არის ზოგადად ხელმისაწვდომი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა, რომელიც ჩვეულებრივია მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. კომპანიას არ გააჩნია მისი საკუთრებისა თუ საქმიანობის უწყვეტობის დაზღვევით სრული დაფარვა, თუმცა ახორციელებს პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს მისი ქონებისა და აღჭურვილობის მთლიანი რისკის სადაზღვევო დაფარვას დაზიანების შემთხვევაში. კომპანიის მიერ ადეკვატური სადაზღვევო დაფარვის მოპოვებამდე, არსებობს გარვეული აქტივების დაზიანებისა თუ დაკარგვის რისკი, რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ოპერაციებსა და საფინანსო მდგომარეობაზე.

გარემოსდაცვითი საკითხები. გარემოსდაცვითი რეგულაციები საქართველოში ვითარდება, და სახელმწიფო ორგანოების სამართლებრივი პოზიცია მუდმივად განიცდის ცვლილებას. კომპანია პერიოდულად აფასებს მის ვალდებულებს გარემოსდაცვითი რეგულაციების ფარგლებში. როგორც კი ვალდებულებები განსაზღვრულია, ხდება მათი დაუყოვნებლივ აღიარება. შეუძლებელია იმ პოტენციური ვალდებულების, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულაციების, სამოქალაქო სასამართლო პროცესისა თუ კანონმდებლობის შედეგად, შეფასება, მაგრამ ეს შეიძლება იყოს არსებითი. არსებული სააღსრულებო კლიმატის ფარგლებში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებებს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსდაცვითი ზიანის გამო.

21 კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას მდგომარეობის იმაში, რომ დაიცვას კომპანიის უნარი განაგრძოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს სახით, რათა უზრუნველყოს მოგება მესაკუთრისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, ასევე შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალის ღირებულების შემცირებისთვის. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა თუ კორექტირებისთვის კომპანიას შეუძლია მოახდინოს მესაკუთრისთვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, მესაკუთრისთვის კაპიტალის დაბრუნება ან აქტივების გაყიდვა ვალის შესამცირებლად. კაპიტალის ოდენობა, რომელსაც მართავდა კომპანია, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენდა 5,172 ათას ლარის (2018 წელი: 28,904 ათასი ლარი).

22 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ფარგლებში რისკის მართვა ხორციელდება საფინანსო რისკების, საოპერაციო რისკებისა და სამართლებრივი რისკების მხრივ. საფინანსო რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა ფასის რისკს), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდობის რისკს. საფინანსო რისკის მართვის ფუნქციის მთავარი მიზნებია რისკის ფარგლების დადგენა და იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ზემოქმედება რჩება ამ ფარგლებში. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციები მიმართულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმიზაციის მიზნით.

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს, რაც არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთმა მხარემ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსურ ზარალი მეორე მხარისთვის, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარება წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქტების გაყიდვის შედეგად საკრედიტო პირობებით, ასევე კონტრაქგენტებთან სხვა ტრანზაქციების დროს, რომელთა შედეგად წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალური დაქვემდებარება აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში შემდეგნაირად:

ათასი ლარი	**31 დეკემბერი 2019**	**31 დეკემბერი 2018**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 11)		
- საქონლის გაყიდვიდან მოთხოვნები	2,669	2,737
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 13)		
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	318	527
სულ საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარება 31 დეკემბრისთვის	**2,987**	**3,264**

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია კომპანია არ განიცდის საკრედიტო რისკის კონცენტრაციას, ვინაიდან მთავარი არსებითი კლიენტი არის შპს „ქართული აგროსახლი“, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ანგარიშების 100% განთავსებულია მხოლოდ 2 ბანკში.

შეფასებული საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. ვინაიდან კომპანიის ერთადერთი მსხვილი კლიენტი არის ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო, ECL-ის შეფასება ხდება ინდივიდუალურად, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, პირვანდელი გადახდებისა და ოპერირების სექტორის გათვალისწინებით.

საბაზრო რისკი. კომპანია განიცდის საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან გამომდინარე (ა) უცხოური ვალუტის, (ბ) საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების და (გ) აქციების მხრივ, რომელთაგანაც ყველა ექვემდებარება ბაზარზე საერთო და სპეციფიკურ რისკებს. მენეჯმენტი აწესებს შეზღუდვებს რისკის ღირებულებაზე, რომელიც შეიძლება იყოს გაწეული, რაც კონტროლდება ყოველდღიურად. თუმცა ამ მიდგომის გამოყენება არ აფერხებს დანაკარგებს ამ ზღვრების ფარგლებში ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების დროს.

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან მიმართებაში მენეჯმენტი აწესებს ზღვრებს რისკის დონეზე ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. პოზიციები კონტროლდება. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარება საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის:

	31 დეკემბერი 2019			**31 დეკემბერი 2018**		
ათასი ლარი	**ფულადი ფინანსური აქტივები**	**ფულადი ფინანსური ვალდებულებები**	**წმინდა საბალანსო პოზიცია**	**ფულადი ფინანსური აქტივები**	**ფულადი ფინანსური ვალდებულებები**	**წმინდა საბალანსო პოზიცია**
GEL	2,757	(11,299)	(8,542)	2,678	(14,437)	(11,759)
USD	230	(174)	56	586	-	586
EUR	-	(17)	(17)	-	(11)	(11)
სულ 31 დეკემბრისთვის	**2,987**	**(11,490)**	**(8,503)**	**3,264**	**(14,448)**	**(11,184)**

მომდევნო ცხრილში მოყვანილია მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებისადმი, რომელიც გამოიყენება საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებაში, ყველა ცვლადები რჩება მუდმივი:

ათასი ლარი	**31 დეკემბერი 2019**	**31 დეკემბერი 2018**

აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	6	59
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	(6)	(59)

ზემოქმედება გამოითვლება მხოლოდ ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც გამოხატულია ვალუტებში, განსხვავებული კომპანიის სამუშაო ვალუტისაგან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია განიცდის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების უფრო მაღალი დონეების რყევების შედეგების ზემოქმედებას მისი ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია საპროცენტო განაკვეთების რისკების ზემოქმედების მონაცემები. ცხრილში მოყვანილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მთლიანი თანხები საბალანსო ღირებულებით, კლასიფიცირებული ადრე გადათვლილი საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთით ან დაფარვის ვადიანობის თარიღებით.

ათასი ლარი	**მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები**	**1-დან 6 თვემდე**	**6-დან 12 თვემდე**	**1 წელზე მეტი**	**5 წელზე მეტი**	**უპროცენტო შენატანი**	**სულ**
31 დეკემბერი 2019							
სულ ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	2,987	2,987
სულ ფინანსური ვალდებულებები	(293)	(1,515)	(1,909)	(6,511)	-	(1,262)	(11,490)
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის გეპი 31 დეკემბერი 2019	(293)	(1,515)	(1,909)	(6,511)	-	**1,725**	**(8,503)**
31 დეკემბერი 2018							
სულ ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	3,264	3,264
სულ ფინანსური ვალდებულებები	(263)	(1,076)	(1,965)	(10,050)	-	(1,094)	(14,448)
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის გეპი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**(263)**	**(1,076)**	**(1,965)**	**(10,050)**	**-**	**2,170**	**(11,184)**

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად ამოწმებს არსებულ ფულადი სახსრების რესურსებს. ლიკვიდობის რისკი იმართება კომპანიის მენეჯმენტის მიერ. მენეჯმენტი აკონტროლოს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ მცურავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დაფინანსების სტაბილური ბაზა, რომელიც, პირველ რიგში, შედგება ნასესხები სახსრებიდან და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ლიკვიდური პორტფელი, ფულადი სახსრები, შეიძლება იყოს რეალიზებული 1 დღის ვადაში, ლიკვიდობისადმი გაუთვალისწინებელი მოთხოვნების შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათი სახელშეკრულებო დარჩენილი დაფარვის ვადებით. თანხები, გამჟღავნებული ვადიანობის ცხრილებში, წარმოადგენს სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები გასხვავდება იმ თანხისგან, რომელიც ჩართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ვინიდან მდგომარეობის ანგარიშგება ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. როდესაც გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებიც არსებობს საანგარიშო პერიოდის ბოლოს. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაითვლება სანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არსებული გაცვლითი კურსით.

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	მოთხოვნით და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	399	795	3,558	7,033	-	11,785
საიჯარო ვალდებულებები	4	8	38	152	-	202
სავაჭრო ვალდებულებები	1,262	-	-	-	-	1,262
სულ მომავალი გადახდები, მათ შორის ძირი თანხისა და პროცენტების გადახდები	**1,665**	**803**	**3,596**	**7,185**		**13,249**

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის არის შემდეგი:

ათასი ლარი	მოთხოვნით და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	385	377	3,816	11,512		16,090
სავაჭრო ვალდებულებები	1,094	-	-	-	-	1,094
სულ მომავალი გადახდები, მათ შორის ძირი თანხისა და პროცენტების გადახდები	**1,479**	**377**	**3,816**	**11,512**	**-**	**17,184**

ფინანსური რისკების მართვის სტრატეგიები აგრარული აქტივობებისთვის. კომპანია განიცდის რისკებს, რომლებიც წარმოიქნება ეკოლოგიური და კლიმატური ცვლილებისა და ნედლეულზე ფასების ცვლილებების გამო. სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია დაცულია მავნებლებსა და მწერებისაგან. ტარდება რეგულარული კონსულტაციები გამოცდილ აგრონომებთან. არახელსაყრელი პირობების ზემოქმედება დაყვანილია მინიმუმამდე გამოზრდისთვის ხელოვნური განათების მონტაჟით.

კომპანია არ მოელის, რომ მის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასები მნიშვნელოვნად შემცირდება ახლო მომავალში და, შესაბამისად, არ დაუდია დერივატიული და სხვა კონტრაქტები ფასების შემცირების რისკის მართვისთვის.

23 რეალური ღირებულების გამჟღავნება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი ხორციელდება რეალური ღირებულების იერარქიის დონეზე შემდეგნაირად: (i) შეფასების პირველი დონე კოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებსა და ვალდებულებისთვის, (ii) შეფასების მეორე დონე - შეფასების მეთოდები ყველა ამოსავალი მონაცემების მქონე აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, დაკვირვებადი პირდაპირ (როგორც ფასები) ან ირიბად (ფასებიდან გამომდინარე) და (iii) შეფასები მესამე დონე - შეფასები, რომლებიც არ არის დაფუძნებული დაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე (ე.ი. დაუკვირვებადი ამოსავალი მონაცემების. მენეჯმენტი გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციის დროს რეალური ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ რეალური ღირებულების შეფასება მოითხოვს დაკვირვებად ამოსავალი მონაცემებს, რაც ითხოვს მნიშვნელოვან კორექტირებას, ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. ამოსავალი მონაცემების შეფასების მნიშვნელობა ფასდება რეალური ღირებულების მთლიანობაში შეფასებით.

აქტივები და ვალდებულები, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, მაგრამ რომელთათვის გამჟღავნებულია რეალური ღირებულება. რეალური ღირებულება, შეფასებული რეალური ღირებულების იერარქიის დონით და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით, შემდეგია:

	31 დეკემბერი 2019				31 დეკემბერი 2018			
ათასი ლარი	დონე 1 რეალური ღირებულება	დონე 2 რეალური ღირებულება	დონე 3 რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	დონე 1 რეალური ღირებ.	დონე 2 რეალური ღირებ.	დონე 3 რეალური ღირებ.	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
სხვა ფინანსური აქტივები								

- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	2,669	2,669	-	-	2,737	2,737
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	318	-	318	-	527	-	527
სულ აქტივები	**-**	**318**	**2,669**	**2,987**	**-**	**527**	**2,737**	**3,264**
ვალდებულებები ნასესხები სახსრები								
- საბანკო სესხები	-	-	10,054	10,054	-	-	13,354	13,354
	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა ფინ. ვალდ.								
- სავაჭრო ვალდებულებები	-	-	1,262	1,262	-	-	1,094	1,094
სულ ვალდებულებები	-	-	**11,316**	**11,316**	-	-	**14,448**	**14,448**

23 რეალური ღირებულების გამჟღავნება (გაგრძელება)

რეალური ღირებულება რეალური ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეებზე ფასდებოდა ფულადი სახსრების ნაკადების დისკონტირების მეთოდით. იმ მცურავი განაკვეთების მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასებულია როგორც მათი საბალანსო ღირებულების თანაბარი. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასებულია შეფასებული მომავალი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, იქნება მიღებული დისკონტირებულად მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, ანალოგიური საკრედიტო რისკებითა და დარჩენილი დაფარვის ვადებით.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის ფინანსური აქტივების შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება ნაღდი ფულის მომავალ ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია დისკონტირებულად მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის მსგავსი რისკითა და დარჩენილი ვადიანობით. დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზირებული ღირებულით ასახული ვალდებულებები. იმ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება დაფარვის დადგენილი ვადით, რომელთათვის საბაზრო ფასი არ არსებობს, იქნა შეფასებული ფულადი სახსრების მოსალოდნელი ნაკადებით, დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის ანალოგიური საკრედიტო რისკითა და დარჩენილი ვადიანობით. სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და სხვა ფინანსური ვალდებულებების მიახლოებითი რეალური ღირებულებები დამოკიდებულია მათ მოკლევადიან დაფარვის ვადაზე.

24 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

2020 წელს კომპანიამ გამოუშვა 750 ათასი ახალი აქცია Greenhouse Holding LLC და Agroshare B.V.-სთვის ერთი აქციის ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარი, საერთო ღირებულებით 750 ათასი აშშ, რაც 2,259 ათასი ლარის ეკვივალენტურია და სრულად იქნა შეტანილი ფულადი სახსრების სახით შესაბამისი აქციონერების მიერ 2020 წლის სექტემბრისათვის.

COVID-19. 2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან პირველად დაფიქსირდა შეტყობინებები COVID-19-ის (კორონავირუსი) შესახებ. წლის ბოლოსთვის სიტუაცია მდგომარეობდა იმაში, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისთვის შეტყობინებულ იქნა უცნობი ვირუსის შეზღუდული რაოდენობის შემთხვევების შესახებ. 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა მთელ მსოფლიოში, ხოლო მისი ნეგატიური ზემოქმედება გაძლიერდა. მენეჯმენტი მიიჩნევს ამ აფეთქებას როგორც არაკორექტირებად მოვლენას სააღრიცხვო თარიღის შემდგომ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის მომენტისთვის სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, დღევანდელ დღეს კომპანიის გაყიდვებსა თუ მიწოდების ჯაჭვზე არსებითი ზემოქმედება არ არის დაკვირვებული. კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის მნიშვნელოვან ზემოქმედებას. ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან გათვალისწინებულია ყველა პროფილაქტიკური ზომა და რეკომენდაცია, დამტკიცებული დაავადებათა კონტროლის ცენტრისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომენტისთვის საგანგებო მდგომარეობა გაუქმებულ იქნა, და განახლდა ნორმალური ფუნქციონირება. თუმცა

მენეჯმენტი განაგრძობს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და გადადგამს ყველა შესაძლო ნაბიჯს ნებისმიერ შედეგების შემსუბუქებისთვის.

25 სააღრიცხვო პოლიტიკა 2019 წლის 1 იანვრამდე

ის სააღრიცხვო პოლიტიკა, გამოყენებადი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ შესადარის პერიოდთან მიმართებაში, რომელშიც შეტანილ იქნა ცვლილებები ფასს 16-ის, იჯარა, შესაბამისად, წარმოდგენილია ქვემოთ.

საოპერაციო იჯარა. თუ კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც არ გადასცემს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს მეიჯარისგან კომპანიაზე, იჯარის საერთო გადახდები აღირიცხება წლის მოგება-ზარალში თანაბრად იჯარის ვადის მანძილზე. იჯარის ვადა არის ვადამდელი შეწყვეტის უფლების გარეშე პერიოდი, რომელზედაც მოიჯარემ დადო აქტივის იჯარის ხელშეკრულება ნებისმიერ დამატებითი პირობებით, რომლითაც მოიჯარეს შეუძლია გააგრძელოს აქტივის იჯარა შემდგომი გადახდით თუ მის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყების ვადისთვის არსებობს გონივრული რწმენა, რომ მოიჯარე შეასრულებს ამ ოფციას.

მმართველობის ანგარიშგება – საქმიანობის მიმოხილვა

1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, მწარმოებლურობა და მდგომარეობა

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ (“კომპანია”) დაფუძნებულია 2014 წლის 3 აპრილს საქართველოში. პროექტი იყო ერთ-ერთი ინიციატივა საქართველოს თანაინვესტირების ფონდისა („GCF“), რომელიც უზრუნველყოფს ინვესტიციებს საქართველოს ეკონომიკის სწრაფად მზარდ სექტორებში.

GCF დაფუძნებულია 2013 წელს საინვესტიციო საზოგადოებაში საქართველოში არსებული საინვესტიციო შესაძლებლობისადმი მზარდი ინტერესის საპასუხოდ. ამის შემდეგ, GCF უზრუნველყოფს თანაინვესტირებისთვის საქართველოს განვითარებად ინდუსტრიებსა და სექტორებთან წვდომის უნიკალურ შესაძლებლობას.

კომპანიას გააჩნია 5-წლიანი გამოცდილება და წარმოადგენს აგრარულ სექტორში ლიდერ კომპანიას. კომპანია აწარმოებს და ყიდის პრემიალური და მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, კიტრსა და პომიდორს. კომპანია ფლობს და ოპერირებს რთულ, მაღალინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სათბურის ობიექტს, რომელიც მდებარეობს 12 ჰექტარზე (სათბური), აღჭურვილია ხელოვნური განათებით და შეუძლია გამოზარდოს წლიურად 7,100 ტონაზე მეტი პროდუქცია. ხელოვნური განათება იძლევა მაღალხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას ზამთრის სეზონზე და არახელსაყრელი ამინდის პირობებში, რადგან სათბური ნაკლებად დამოკიდებულია მზის შუქზე. შედეგად, პროდუქციის ხარისხი და მოსავლიანობა ერთ კვადრატულ მეტრზე გაიზარდა და ხარჯები იქნა ოპტიმიზირებული.
პროდუქცია იყიდება ადგილობრივ ბაზრებზე, ჰიპერმარკეტებისა და სუპერმარკეტების ქსელებში, ექსპორტი ხორციელდება რუსეთის ფედერაციაში.

თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 232-ს, მათ შორის 170 ქალი, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2018 წელს : 228, მათ შორის 170 ქალი).

2. კომპანიის მომავალი განვითარების გეგმები

კომპანიის პროდუქციის ძირითად სახეობებს წარმოადგენს კიტრი და პომიდორი, რომლებიც წარმოდგენილია დიდი არჩევანით ყოველი სეზონისთვის. ჩვენ მუდმივად ვატარებთ ახალი ჯიშების ტესტირებას და 2020-2021 წლების სეზონი არ არის გამონაკლისი. გადაწყვეტილია, წიწაკის ახალი ჯიშების ტესტირების გაგრძელება. მაღალხარისხოვანი სხვადასხვა ტიპის ბოსტნეულის შეთავაზებით, კომპანია ჩაანაცვლებს იმპორტულ პროდუქტებს, რაც მას მომხმარებლებისთვის უფრო მიმზიდველს გახდის.
კომპანია აპირებს Horeca ბიზნესში შესვლას და ამ მიმართულებით დგამს პირველ ნაბიჯებს.
კომპანიამ წარმატებით დანერგა ISO 9001: 2015 (2018) და გაიარა Global GAP (2019 წელი) სერტიფიკაცია.

3. კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევები და საპროექტო სამუშაოები

2019 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევასა თუ საპროექტო აქტივობებში.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები. სათბური მდებარეობს გარდაბანში (თბილისიდან 50 კმ-ში), ხოლო მმართველობითი გუნდის ნაწილი განთავსებულია თბილისის ოფისში.

5. საკვანძო ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

კომპანიის საკვანძო ფინანსური ინდიკატორები შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	**2019**	**2018**
შემოსავლები	15,878	10,806
წმინდა ზარალი	(26,444)	(4,703)
EBITDA*	2,387	1,283

შენიშვნა: EBITDA - მოგება პროცენტების, გადასახადების, ამორტიზაციისა და ცვეთის გადახდამდე*

ძირითადი ცვლილებების განმარტება:

შემოსავალი - ზრდა შემოსავალში იქნა მიღწეული ხელოვნური განათების მონტაჟისა და გამოყენების შედეგად.

წმინდა ზარალი - წმინდა ზარალზე იმოქმედა შემოსავლების ზრდამ, ცვეთის ზრდამ, კომუნალური გადასახადების მატებამ და ხელოვნური განათების დროს ელექტროენერგიის უფრო მაღალმა მოხმარებამ.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის მენეჯმენტმა გამოავლინა იმის ნიშნები, რომ კომპანიის აქტივები შეიძლება გაუფასურდეს, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოება არ წარმოქმნის ისეთ ფულად ნაკადებს, როგორც ამას თავიდან მოელოდა კომპანიის მენეჯმენტი. კომპანიამ დაადგინა, რომ არსებობს გაუფასურების ნიშნები. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული CGU 33,630 ათასი ლარის ოდენობით იქნა განსაზღვრული როგორც უფრო მაღალი, ვიდრე მისი დასაფარი თანხა 11,344 ათასი ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში აღიარებულ იქნა გაუფასურების ანარიცხი 22,286 ათასი ლარის ოდენობით.

კომპანიის საკვანძო არაფინანსური ინდიკატორები შეჯამებულია შემდეგნაირად:

	2019	**2018**
კიტრის მოსავალი (კილოგრამი)	5,169,901	4,462,730
პომიდვრის მოსავალი (კილოგრამი)	1,966,821	2,033,951
პერსონალის რაოდენობა	232	228

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენების შესახებ

2019 წელს კომპანიას არ განუხორციელებია საკუთარი აქციების შეძენა.

7. დამატებითი განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილ მონაცემებზე

ჩვენი ბრენდი „პლანტა“ დაკავშირებულია მაღალხარისხიან პროდუქციასთან საქართველოში, რომელიც იზიდავს კლიენტებს და ზრდის ლოიალობას. სხვა ბრენდი „ქართული მოსავალი“ თავად ახდენს პოზიციონირებას ძირითადი ბრენდის სახით. მრავალი სარეკლამო კამპანია ტარდება სავაჭრო წერტილებში, სოციალურ ქსელებსა და სატელევიზიო შოუებში (როგორიცაა, მაგალითად, „მასტერშეფი“).

სათბურის უნიკალური მდებარეობა გვაძლებს უპირატესობას ენერგომოხმარებისა და დანახარჯების შემცირების მხრივ. გარდაბანი ერთ-ერთი ყველაზე მზიანი რეგიონია საქართველოში, რაც საჭიროა მცენარეების გამოზრდისთვის. ჩვენ გაგვაჩნია დამოუკიდებელი წყალმომარაგება.

პერსონალის მუდმივი სწავლება უზრუნველყოფს მათ უნიკალურობასა და გამოცდილებას. ისინი ადგილობრივი მაცხოვრებლები არიან და მათი დაკარგვის რისკი მინიმალურია, რადგან გარდაბანში არ არის სხვა მოქმედი მსგავსი ან ასეთი მაღალტექნოლოგიური ობიექტი.

8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და მათი მართვის მექანიზმები

გაყიდვები ხორციელდება საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიის მიერ - შპს „ქართული აგროსახლი“, რომელიც, „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ მსგავსად, არის GCF-ის ერთ-ერთი პროექტი. გადახდა ხორციელდება საქონლის გაყიდვის თარიღიდან ორი თვის განმავლობაში.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, სამეწარმეო მიზანი და პოლიტიკა ფინანსურ რისკთან დაკავშირებით

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები დაკავშირებულია შემდეგთან:

	რისკებისა და გაურკვევლობების განმარტება	მენეჯმენტის პასუხი
1	უფრო იაფი იმპორტული პროდუქციის მხრიდან კონკურენცია	უფრო გემრიელი, სურნელოვანი და მაღალხარისხიანი ბოსტნეულის წარმოება მომხმარებლების მოზიდვის მიზნით. ეფექტიანი ბრენდის სტრატეგიის განხორციელება.
2	ბაზრის გაჯერება	ექსპორტის გაზრდა უკვე არსებული რუსეთის ბაზრის გაფართოებით და ახალი ბაზრების მოძიებით. კომპანიამ წარმატებით დანერგა ISO 9001:2015 და Global GAP, რაც იქნება აქტივი ევროკავშირისა და სხვა ბაზრებზე შესვლისთვის.
3	პერსონალის მხრიდან ცოდნის და გამოცდილების ნაკლებობა	გამოცდილი მმართველობითი გუნდი, მუდმივი ტრენინგი და პროფესიონალების მოწვევა საზღვარგარეთიდან მასტერკლასების ჩასატარებლად.
4	მწერებსა და მღრღნელების გავრცელების პოტენციური საფრთხე	ბიოლოგიური დაცვის დანერგვა მღრღნელებსაც და მწერების წინააღმდეგ. მუდმივი კონსულტაცია მეწინავე გამოცდილ პროფესიულ აგრონომებთან საზღვარგარეთიდან.
5	არახელსაყრელი ამინდი, მზის შუქის არასაკმარისობა	რისკი შემცირებულია ხელოვნური განათების მონტაჟით და სათბურის ადგილმდებარეობის მეშვეობით.
6	საკრედიტო რისკი	კომპანია არ განიცდის საკრედიტო რისკის კონცენტრაციას, ვინაიდან ყველაზე მნიშვნელოვანი კლიენტი არის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი იურიდიული პირი. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, კომპანიას საბანკო მიმდინარე ანგარიშების 100% გააჩნია მხოლოდ ორ ბანკში.
7	სავალუტო რისკი	სავალუტო რისკის გათვალიწინებით, მენეჯმენტმა დააწესა ვალუტის ზემოქმედების დონის მხრივ და ზოგადი შეზღუდვები. ხორციელდება პოზიციების მონიტორინგი.

2019 წლის 29 სექტემბერი

ხელმოწერილია	ხელმოწერილი
შოთა ჯაფარიძე	მაია წიკლაური
გენერალური დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

თარგმანი სწორია:

სს საქართველოს სათბურის კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 5

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

1	სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ და მისი საქმიანობა	5
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	6
3	მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკა	6
4	საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას არსებითი შეფასებები და მოსაზრებები	13
5	ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება	14
6	ახალი საბუღალტრო განცხადებები	15
7	ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
8	ძირითადი საშუალებები	18
9	აქტივები გამოყენების უფლების ფორმით და საიჯარო ვალდებულებები	20
10	მარაგები	21
11	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
12	სხვა საგადასახადო მოთხოვნები	22
13	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	22
14	სააქციო კაპიტალი	22
15	ნასესხები სახსრები	23
16	საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება	23
17	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
18	ანალიზი შემოსავლების კატეგორიების მიხედვით	24
19	სხვა ხარჯები	24
20	გაუთვალისწინებელი პირობითი გარემოებები და წარმოქმნილი ვალდებულებები	25
21	კაპიტალის მართვა	25
22	ფინანსური რისკის მართვა	25
23	რეალური ღირებულების გამჟღავნება	28
24	მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	29
25	საბუღალტრო პოლიტიკა 2019 წლის 1 იანვრამდე	30

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სს საქართველოს სათბურის კორპორაციის აქციონერებსა და მენეჯმენტს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს სს საქართველოს სათბურის კორპორაციის (შემდგომში - „კომპანია) საფინანსო მდგომარეობას, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

რა შევამოწმეთ

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალისა და სხვა მთლიანი შემოსავლის შესახებ ანგარიში იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში;
- კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში;
- ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, მათ შორის საღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა;

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ამ სტანდარტების ფარგლებში არის შემდგომ აღწერილი ამ ანგარიშის ნაწილში - აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები არის საკმარისი და შესაბამისი ჩვენი მოსაზრებისთვის საფუძვლიანობისთვის.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ დამოუკიდებელნი კომპანიისგან, ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიული ბუღალტრებისთვის ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA Code) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები IESBA Code შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებითი ინფორმაციის მოწოდებაზე. დამატებითი ინფორმაცია მოიცავს მენეჯმენტის ანგარიშს (მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორულ ანგარიშს). ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს მენეჯმენტის ანგარიშს. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავეცნოთ მენეჯმენტის ანგარიშს და, ამასთან, განვიხილოთ, თუ არსებობს არსებითი შეუსაბამობა მენეჯმენტის ანგარიშსა, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის დროს ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას შორის, ანდა ხომ არ არის მონაცემები არსებითად დამახინჯებული. თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მენეჯმენტის ანგარიშში არსებითი ცდომილებაა, ჩვენ ვალდებულნი ვართ შევატყობინოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს გასაზიარებელი.

PricewaterhouseCoopers Georgia LLC
ქინგ დევიდ ბიზნეს ცენტრი, მე-7 სართული, მ. ალექსიძის ქ. 12, თბილისი 0171, საქართველო,
ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwe.com/ge

გარდა ამისა, საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ჩვენ ვალდებულნი ვართ გამოვხატოთ მოსაზრება, თუ შეესაბამება მენეჯმენტის ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ წესებს, და განვიხილოთ, თუ მოიცავს მენეჯმენტის ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენი აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით:

- ინფორმაცია, მოყვანილი საფინანსო წლის მენეჯმენტის ანგარიშში, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშები, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშებს;
- მენეჯმენტის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

მენეჯმენტისა და იმ პირების პასუხისმგებლობა, რომლებიც დაკავშირებულია ხელმძღვანელობასთან ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერ წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე ისეთ შიდა კონტროლზე, როგორიც, მენეჯმენტის აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელსაც არ გააჩნია არსებითი უსწორობა, თაღლითობისა და შეცდომის გამო.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის ისეთი უნარების შეფასებაზე, როგორიცაა გათვალისწინებული საქმიანობის უწყვეტი გაგრძელება, საჭიროებისამებრ, მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნება და საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლების გამოყენება, თუკი მენეჯმენტს არა აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ანდა არ გააჩნია სხვა რეალისტური ალტერნატივა, გარდა ლიკვიდაციისა.

მართვაში მონაწილე პირებს ეკისრება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესზე ზედამხედველობა.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზნებია გონივრულად დარწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგებას არ გააჩნია არსებითი უსწორობა, თაღლითობისა თუ შეცდომის გამო, და აუდიტორის ანგარიშის გამოცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული დარწმუნება წარმოადგენს დარწმუნების მაღალ დონეს, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩნებს არსებით უსწორობას, მისი არსებობისას, უსწორობა შეიძლება წარმოიქმნას თაღლითობისა თუ შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი ცალკე თუ ერთობლივად შეძლება მიჩნეულ იქნას როგორც გავლენის მქონე მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიიღება ამ ფინანსურ ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიულ მსჯელობას და გაგვაჩნია პროფესიული სკეპტიციზმი აუდიტის დროს. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსური ანგარიშგების არსებითი დამახინჯების რისკების განსაზღვრასა და შეფასებას, იმისდა მიუხედავად, თუ არის ეს გამოწვეული თაღლითობით თუ შეცდომით, შევიმუშავებთ და ვახორციელებთ ამ რისკების საპასუხო პროცედურებს და ვღებულობთ აუდიტის ისეთ მტკიცებულებებს, რომელიც არის საკმარისი და შესაბამისი, რათა შექმნას საფუძველი ჩვენი მოსაზრებისთვის. თაღლითობით გამოწვეული რისკი, რომელიც არ იქნა განსაზღვრული, არის უფრო მაღალი, ვიდრე შეცდომით გამოწვეული, ვინაიდან თაღლითობა შეიძლება შეიცავდეს გარიგებას, ფალსიფიკაციას, განზრახულ გამოტოვებას, დამახინჯებასა ანდა შიდა კონტროლის ბლოკირებას.
- აუდიტისთვის საჭირო შიდა კონტროლის შესახებ ცოდნის მიღება არსებული გარემოებების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების შემუშავების მიზნით და არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობისა და დასაბუთებულობის, ასევე მენეჯმენტის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების შეფასება.
- საბუღალტრო აღრიცხვის უწყვეტობის პრინციპის მენეჯმენტის მიერ გამოყენების თაობაზე დასკვნა და ასევე, მიღებული აუდიტორული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, იმის თაობაზე,

თუ არის არსებითი გაურკვევლობა იმ მოვლენათა და პირობების მიმართ, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული ეჭვები კომპანიის უნარის მხრივ განაგრძოს საქმიანობა. თუკი ჩვენ გადავწყვეტთ, რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, ჩვენი აუდიტორულ ანგარიშში უნდა მივაქციოთ ყურადღება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის გამჟღავნებას ანდა, თუკი ასეთი გამჟღავნება არაადეკვატურია, შევცვალოთ ჩვენი აზრი. ჩვენის დასკვნები ეფუძნება აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტორული ანგარიშის თარიღებამდე. თუმცა მომდევნო მოვლენებსა თუ პირობებს შეუძლია გამოიწვიოს კომპანიის მიერ საქმიანობის შეწყვეტა.

- ფინანსური ანგარიშების მთლიანი პრეზენტაციის, სტრუქტურისა და შინაარსის შეფასება, გამჟღავნებების ჩათვლით, და თუ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშები ძირითად ტრანზაქციებსა და მოვლენებს ისეთი გზით, რომ უზრუნველყოფილი იყოს კეთილსინდისიერი წარდგენა.

ჩვენს მიერ დამყარებულია კომუნიკაცია მათთან, ვისაც აკისრია პასუხისმგებლობა მართვაზე, მათ შორის აუდიტის დაგეგმილ მოცულობასა და ვადებზე და აუდიტის მნიშვნელოვან შედეგებზე, შიდა კონტროლში ნებისმიერი ხარვეზების ჩათვლით, რომელსაც ჩვენ გამოვავლენთ ჩვენი აუდიტის დროს.

PricewaterhouseCoopers Georgia LLC-ის სახელითა და დავალებით (რეგ.# SARAS-F-775813)
ნინო ქადაგიშვილი (რეგ.# SARAS-A-506913)

2020 წლის 29 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ხელმოწერილია

ათასი ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	11,344	38,180
აქტივები გამოყენების უფლების ფორმით	5,9	157	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**11,501**	**38,180**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	1,568	1,431
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	2,696	2,770
სხვა საგადასახადო მოთხოვნები	12	668	479
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	318	527
სულ მიმდინარე აქტივები		**5,250**	**5,207**
სულ აქტივები		**16,751**	**43,387**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	55,753	53,041
დაგროვილი დეფიციტი		(50,581)	(24,137)
სულ საკუთარი კაპიტალი		**5,172**	**28,904**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	15,16	6,373	10,051
საიჯარო ვალდებულებები	5,9,16	39	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**6,412**	**10,051**
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	15,16	3,681	3,303
საიჯარო ვალდებულებები	5,9,16	135	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	1,351	1,129
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**5,167**	**4,432**
სულ ვალდებულებები		**11,579**	**14,483**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**16,751**	**43,387**

დამტკიცებულია გამოცემისთვის და ხელმოწერილია 2020 წლის 29 სექტემბერს.

ხელმოწერილია
შოთა ჯაფარიძე
გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია
მაია წიკლაური
მთავარი ბუღალტერი

ათასი ლარი	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	18	15,878	10,806
სხვა შემოსავალი		79	114
ცვლილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარაგებში	10	17	(34)
თანამშრომელთა გასამრჯელოს ხარჯები		(3,246)	(2,782)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8,9	(5,251)	(4,328)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	8	(22,286)	-
სხვა ხარჯები	19	(10,342)	(8,132)
საოპერაციო ზარალი		**(25,151)**	**(4,356)**
საპროცენტო ხარჯი	16	(1,294)	(1,450)
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა		1	1,103
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		**(26,444)**	**(4,703)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		**(26,444)**	**(4,703)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		**(26,444)**	**(4,703)**

გვერდებზე 5-დან 28-მდე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ საკუთარი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვრისთვის	**43,795**	**(19,434)**	**24,361**
წლის ზარალი	-	(4,703)	(4,703)
სულ წლის სრული ზარალი	-	(4,703)	(4,703)
გამოშვებული აქციები (შენიშვნა 13)	9,246	-	9,246
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**53,041**	**(24,137)**	**28,904**
წლის ზარალი	-	(26,444)	(26,444)
სულ წლის სრული ზარალი	-	(26,444)	(26,444)
გამოშვებული აქციები (შენიშვნა 13)	2,712	-	2,712
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**55,753**	**(50,581)**	**5,172**

ათასი ლარი	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		(26,444)	(4,703)
კორექტირება შემდეგისთვის:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა და გაუფასურება	8,9	27,537	4,328
საპროცენტო ხარჯი	16	1,294	1,450
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა		(1)	(1,103)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**2,386**	**(28)**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)		74	(1,295)
მარაგების ზრდა/(შემცირება)		(137)	230
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		222	585
სხვა საგადასახადო მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)		(189)	2,073
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები		**(30)**	**1,593**
გადახდილი პროცენტი		(1,291)	(1,715)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან		**1,065**	**(150)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	8	(773)	(6,673)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	8	111	148
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		**(662)**	**(6,525)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების დაფარვა	16	(3,303)	(18,784)
შემოსავალი ნასესხები სახსრებიდან	16	-	15,550
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	16	(35)	
ჩვეულებრივი აქციების გამოშვებიდან შემოსავალი	14	2,712	9,246
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული)/ საფინანსო საქმიანობიდან		**(626)**	**6,012**
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებსა და მათი ეკვივალენტებზე		14	43
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	13	**527**	**1,147**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	13	**318**	**527**

გვერდებზე 5-დან 29-მდე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სს „საქართველოს სათბურის კორპორაციისთვის“ (შემდგომში - „კომპანია“), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად, წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ (“კომპანია”) დაფუძნებულია 2014 წლის 3 აპრილს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, დაფუძნებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და დარეგისტრირებულს თბილისის საგადასახადო ინსპექციაში საიდენტიფიკაციო ნომრით: 404469865.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ აქციების უშუალო მფლობელები შემდეგია:

აქციონერები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
Greenhouse Holding LLC	98.36%	98.29%
Agroshare B.V.	1.64%	1.71%
სულ	100%	100%

კომპანიის სათავო მმართველი კომპანია სანგარიშო პერიოდის ბოლოს არის GCF LP (დარეგისტრირებული კაიმანის კუნძულებზე).

Greenhouse Holding LLC, რომელიც წარმოადგენს კომპანიის უშუალო მშობელ კომპანიას, აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც არის საჯარო და ხელმისაწვდომი.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ფლობს და ოპერირებს რთულ, მაღალინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სასათბურე ობიექტს, რომელიც მდებარეობს 12 ჰექტარზე („სათბური“) და შეუძლია გამოზარდოს ყოველწლიურად 7,100 ტონაზე მეტი პროდუქცია. კომპანია აწარმოებს და ყიდის მაღალხარისხოვან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს, პომიდორსა და კიტრს. შპს „ქართული აგროსახლი“ (საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო) არის სს „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუტორი.

კომპანია მოელის, რომ სათბური შეავსებს საქართველოში არსებულ გარღვევას ბოსტნეულის ადგილობრივ წარმოებასა და მოხმარებას შორის და გარკვეულ წილად შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტულ პროდუქციაზე.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის დარეგისტრირებული მისამართი არის მ. კოსტავას ქუჩა, 37/39, 0179, თბილისი, საქართველო. საქმიანობის ადგილია გარდაბანი, საქართველო (თბილისიდან 50 კმ-ში).

ანგარიშგების ვალუტა. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოსთვის დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაცია და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადახადო კანონმდებლობა განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებებს. საქართველოში არის შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ზომებზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად. აგრარული სექტორი გაცხადებულია როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტი და მისი სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება, ისევე როგორც ინსტიტუციური დახმარება არის არსებითი. მიუხედავად ამ ძალისხმევისა, ბოსტნეულის უმეტესი ჯგუფების წარმოება მცირდება ბოლო წლების მანძილზე, მაშინ როდესაც იმავე პროდუქტების იმპორტი იზრდება. ეს ქმნის გამოწვევას და ასევე შესაძლებლობას კომპანიისთვის შესთავაზოს მაღალმოთხოვნადი ბოსტნეული პროდუქტები (განსაკუთრებით არასეზონურ პერიოდში) და ჩაანაცვლოს იმპორტი.

მენეჯმენტს არ შეუძლია ყველა იმ მოვლენის განჭვრეტა, რომელთაც შეუძლია გავლენის მოხდენა საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, მათი გავლენისა კომპანიის მომავალ საფინანსო მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ახორციელებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობისთვის და კომპანიის საქმიანობის განვითარებისთვის.

3 მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, თავდაპირველი ღირებულების პრინციპის საფუძველზე. მოცემული ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა მოყვანილია ქვემოთ. იმ საღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების გარდა, რომლებიც გამომდინარეობს 2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული ფასს 16-ის, იჯარა, მიღებიდან, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა, გამოყენებული 2018 წლის 31 დეკემბრამდე იჯარისთვის, წარმოდგენილია შენიშვნაში 25.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მენეჯმენტისგან მოითხოვება, გამოიტანოს საკუთარი დასკვნა კომპანიის საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ის სფეროები, რომლებიც მოითხოვს დასკვნებისა თუ სირთულის უფრო მაღალ ხარისხს, ან სფეროები, სადაც დათქმები და შეფასებები არის მნიშნელოვანი, გამჟღავნებულია შენიშვნაში 4.

უცხოურ ვალუტაში გადაყვანა. საწარმოს სამუშაო ვალუტა არის იმ პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ოპერირებს კომპანია. კომპანიის სამუშაო ვალუტა და მისი წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ტრანზაქციები და ნაშთები უცხოურ ვალუტაში. მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის საფუძველზე, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის. ტრანზაქციების დროს ვალუტის საკურსო სხვაობიდან და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაყვანისას ყოველი საწარმოს ფუნქციონალურ ვალუტაში, სებ-ის წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, მიღებული შემოსავალი და ზარალი აღიარებულია მოგებასა ან ზარალში როგორც საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსი, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო 1 აშშ დოლარი (“USD”) = 2.8677 ლარი და 1 ევრო (“EUR”) = 3.2095 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერს: USD 1 = GEL 2.6766 და EUR 1= 3.0701). ამჟამად, ქართული ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები (ქონება, საწარმო და აღჭურვილობა). ძირითადი საშუალებები მითითებულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, თუკი ეს აუცილებელია. მიწა შეფასებულია თვითღირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცვას დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალებისა და პირდაპირი სამუშაო ძალის თვითღირებულებას, ნებისმიერ სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის მუშა მდგომარეობაში მოყვანასთან მათი განზრახული გამოყენებისთვის, საგნების დემონტაჟისა და მოცილების და მათი მდებარეობის ადგილის აღდგენის დანახარჯებს და ნასესხები სახსრების კაპიტალიზებულ დანახარჯებს.

გამომდინარე დანახარჯები ჩართულია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივის სახით, როგორც

შესაბამისია, მხოლოდ როდესაც არსებობს შესაძლებლობა, რომ კომპანია მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ასოცირებულს ამ ერთეულთან, და ამ ერთეულის დანახარჯები შეიძლება იყოს შეფასებული სანდოდ. მცირე შეკეთების დანახარჯები და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურება მიეკუთვნება ხარჯებს მათი წარმოქმნისას. ძირითადი ნაწილებისა თუ ქონების კომპონენტების გამოცვლის თვითღირებულება, და აღჭურვილობის ელემენტები არის კაპიტალიზებული, ხოლო ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

გაყიდვიდან მოგება-ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია წლის მოგებასა ან ზარალში.

ცვეთა მიწა არ ექვემდებარება ცვეთას. ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულების ცვეთა გამოთვლილია წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი თვითღირებულების გადანაწილებით მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო მარგი გამოყენების პერიოდის ფარგლებში:

	მარგი გამოყენება, წლები
შენობა-ნაგებობები	6-დან 10-მდე
საწარმო და აღჭურვილობა	5-დან 10-მდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც ამჟამად კომპანია მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, რასაც გამოკლებულია გაყიდვის სავარაუდო დანახარჯები, თუკი აქტივი უკვე ამორტიზირებულია და ისეთ მდგომარეობაშია, რომელიც მოსალოდნელია მისი მარგი გამოყენების ბოლოსთვის. აქტივის ნარჩენი ღირებულება და მარგი გამოყენება გადაიხედება და იქნება დაზუსტებული, თუ საჭიროა, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

3 მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივები გამოყენების უფლების ფორმით კომპანია გასცემს ქონებას იჯარაში. კონტრაქტები შეიძლება შეიცავდეს როგორც იჯარასთან დაკავშირებულ კომპონენტებს, ისე კომპონენტებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული იჯარასთან. თუმცა იჯარის ყველა ხელშეკრულებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, მან გადაწყვიტა არ დაყოს იჯარის და არა-იჯარის კომპონენტები, ამის მაგივრად აღრიცხავს მათ როგორც იჯარის ერთიან კომპონენტებს.
იჯარის შედეგად წარმოქმნილი აქტივების საწყისი შეფასება ხორციელდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.
აქტივები გამოყენების უფლების ფორმით შეფასებულია თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულებების საწყისი შეფასების თანხა,
- ნებისმიერი საიჯარო გადახდები, წარმოებული იჯარის დაწყების თარიღისთვის ან მანამდე, იჯარის წამახალისებელი გადახდების გამოკლებით,
- ნებისმიერი საწყისი პირდაპირი დანახარჯები, და
- დანახარჯები აქტივის აღდგენაზე საიჯარო ხელშეკრულებით მოთხოვილ პირობებამდე.

აქტივების გამოყენების უფლების ფორმით ცვეთა ჩვეულებრივ ხორციელდება წრფივი მეთოდით შემდეგიდან უმოკლესი მნიშვნელობის განმავლობაში: აქტივის მარგი გამოყენების ვადა ან იჯარის ვადა წრფივი მეთოდის საფუძველზე. ყველა საიჯარო ხელშეკრულებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, იჯარის ვადა უფრო მოკლეა, ვიდრე აქტივის მარგი გამოყენების ვადა, ამიტომ გამოიყენება ცვეთა წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე. იჯარის ვადები შემდეგია:

	მარგი გამოყენება, წლები
შენობა-ნაგებობები	5

არაფინანსური აქტივების გაუფასურება ცვეთას დაქვემდებარებული აქტივები გადაისინჯება მათი გაუფასურების მხრივ, როდესაც მოვლენებისა თუ გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მიერ ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს ორი მნიშვნელობიდან - აქტივის რეალური ღირებულება გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით და გამოყენების ღირებულება, უმეტესს. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, ხდება აქტივების დაჯგუფება ყველაზე დაბალ დონეებზე, რომელთათვის არსებობს ძირითადად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების (გუდვილი გარდა) გაუფასურებამდე ხდება გადახედვა შესაძლო ანულირების მხრივ ყოველი სანგარიშო თარიღის ბოლოსთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების საკვანძო პირობები რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც იქნებოდა მიღებული აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი ჩვეულებრივი გარიგების ფარგლებში ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეთა შორის შეფასების თარიღისთვის. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენს აქტიური ბაზარზე არსებული ფასი. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც გარიგებები აქტივით თუ ვალდებულებით ხორციელდება საკმარისი სიხშირითა და მოცულობით იმისთვის, რომ უზრუნველყოს ფასებზე ინფორმაცია მუდმივ საფუძველზე.

აქტიურ ბაზარზე ვაჭრობაში ჩართული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება არის შეფასებული როგორც ინდივიდუალური აქტივისა თუ ვალდებულების კოტირებული ფასისა და საწარმოს მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტთა გარკვეული რაოდენობის ნამრავლი. ეს ხდება იმ შემთხვევაშიც, როცა ბაზარზე დაფიქსირებული ნორმალური დღიური სავაჭრო მოცულობა არ არის საკმარისი მფლობელობაში არსებული რაოდენობის ასათვისებლად, და ცალკეული ტრანზაქციის ფარგლებში პოზიციის გაყიდვაზე შეკვეთების განთავსებას შეუძლია გავლენის მოხდენა კოტირებულ ფასზე.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები თუ ტრანზაქციის მიმდინარე ხანგრძლივობაზე დაფუძნებული მოდელები, ან ინვესტირების ფინანსური მონაცემების განხილვა გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომელთათვის ინფორმაცია ფასებზე გარე ბაზრებზე არ არის ხელმისაწვდომი.

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი ხორციელდება რეალური ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით შემდეგნაირად: (i) პირველი დონე არის კოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) შეფასება აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებსა თუ ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასების ტექნიკა ყველა არსებითი ამოსავალი მონაცემებით, რომლებიც დაკვირვებულია აქტივსა თუ ვალდებულებისთვის, პირდაპირ (როგორც ფასი) ან ირიბად (ფასიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონე წარმოადენს შეფასებას, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან დაუკვირვებელ ამოსავალ მონაცემებს).

გარიგების დანახარჯები არის ზრდადი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტის შეძენასთან, გამოშვებასა თუ გაყიდვასთან. დამატებითი დანახარჯები ისეთია, რომლებიც არ იქნებოდა გაწეული, თუ ტრანზაქცია არ შედგებოდა. ტრანზაქციის დანახარჯები მოიცავს საკომისიოს და მოსაკრებელს, რომელიც გადაიხდევინება აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც გამოდიან გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებსა და დილერებისთვის, ასევე მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, გადაცემის გადასახადებსა და ბაჟს. ტრანზაქციის დანახარჯები არ მოიცავს დავალიანების პრემიას თუ დისკონტს, დაფინანსებაზე დანახარჯებს ან შიდა ადმინისტარციულ თუ შენახვის ხარჯებს.

3 მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იქნა აღიარებული საწყისი აღიარებისას, გამოკლებული ნებისმიერი ძირითადი დაფარვები, დამატებული დარიცხული პროცენტები, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის - ნებისმიერი ანარიცხების გამოკლებით შეფასებული საკრედიტო ზარალისთვის ("ECL"). დარიცხული პროცენტები მოიცავს ტრანზაქციით დანახარჯების ამორტიზაციას, რომლებიც იყო გადადებული საწყისი აღიარებისას, და დასაფარი თანხის ნებისმიერ პრემიას თუ დისკონტს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, დარიცხული კუპონისა და ამორტიზებული დისკონტის ან პრემიის (წარმოქმნისას გადადებული მოსაკრებლის ჩათვლით, თუ არსებობს) ჩათვლით, არ არის წარმოდგენილი ცალ-ცალკე და ჩართულია შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის პროცენტული შემოსავლებისა თუ პროცენტული ხარჯების შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდებისა თუ შემოსავლების (მომავალი საკრედიტო ზარალის გარდა) დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების მოსალოდნელი ვადის მანძილზე ან უფრო მოკლე პერიოდით, თუ ეს შესაბამისია, ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთები ახდენს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირებას პროცენტების გადაფასების მომდევნო თარიღისთვის, გარდა პრემიისა თუ დისკონტისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს მცურავი განაკვეთის მიხედვით, რომელიც მითითებულია ინსტრუმენტში, ან სხვა ცვლადებისა, რომლებიც არ უბრუნდება საბაზრო განაკვეთებს. ასეთი პრემიებისა თუ დისკონტების ამორტიზაცია ხდება ინსტრუმენტების მოქმედების მთელი მოსალოდნელი პერიოდის მანძილზე. დღევანდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს იმ ყველა მოსაკრებელს, რომლებიც გადახდილი თუ მიღებულია ხელშეკრულების მხარეთა შორის და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ინსტრუმენტები - საწყისი აღიარება ყველა ფინანსური ინსტრუმენტი აისახება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირებულია ტრანზაქციის დანახარჯებით. რეალური ღირებულება საწყისი აღიარებისას საუკეთესოდ დასტურდება ტრანზაქციის ფასით. საწყისი აღიარებისას შემოსულობა ან დანაკარგი ჩაიწერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს რეალურ ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის სხვაობა, რაზეც მეტყველებს მსგავსი ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციები, ან შეფასების მეთოდით, რომლის ამოსავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ მონაცემებს დაკვირვებადი ბაზრებიდან. საწყისი აღიარების შემდეგ, ხდება ELC ანარიცხის აღიარება ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, რაც გამოიხატება დაუყოვნებლივ სააღრიცხვო ზარალში.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და მომდევნო შეფასება - შეფასების კატეგორიები: კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას შემდეგი შეფასების კატეგორიებით: ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებასა ან ზარალში ასახვით ("FVTPL"), რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით (FVOCI) და ამორტიზირებული ღირებულებით (AC).

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და მომდევნო შეფასება - ბიზნეს მოდელი: ბიზნეს მოდელი ასახავს იმას, თუ როგორ მართავს კომპანია აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოქმნის მიზნით - იმისდა მიუხედავად, თუ კომპანია მიზნად ისახავს: (i) მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას აქტივებისაგან („ფლობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვებისთვის") ან (ii) შეგროვებას როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ისევე ფულადი ნაკადებისა, რომლებიც წარმოიქმნება აქტივების გაყიდვის შედეგად („ფლობს, რომ შეაგროვოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და გაყიდოს"), ან თუ (i) და (ii)-დან არცერთი არ გამოიყენება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც „სხვა" ბიზნეს მოდელის ნაწილი და ხდება შეფასება FVTPL-ით.

ბიზნეს მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) იმ ქმედებების ყველა შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე, რომელსაც კომპანია ახორციელებს შეფასების თარიღისთვის არსებული პორტფელისთვის დადგენილი მიზნის მისაღწევად. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისას გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანსა და შემადგენლობას, შესაბამისი აქტივებიდან ფულადი ნაკადების წინა შეგროვების გამოცდილებას, იმას, თუ როგორ ხდება რისკის შეფასება და მართვა, ასევე აქტივების ეფექტურობის შეფასება და მენეჯერების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება. იმ შემთხვევებში, როდესაც ბიზნეს მოდელი გამოიხატება აქტივების ფლობაში ფულადი სახსრების სახელშეკრულებო ნაკადების შეგროვებისთვის ან ფულადი სახსრების სახელშეკრულებო ნაკადების ფლობასა და გაყიდვაში, კომპანია აფასებს, თუ წარმოადგენს ფულადი სახსრების ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტების გადახდას („SPPI“).

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელის მთლიანად ცვლილების დროს. რეკლასიფიკაციას აქვს პროსპექტული ეფექტი და ტარდება იმ პირველი საანგარიშო წლის დაწყებიდან, რომელიც მოსდევს ბიზნეს მოდელის ცვლილებას. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესადარისი პერიოდის განმავლობაში და არ ჩაუტარებია რაიმე რეკლასიფიცირება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის ანარიცხი ECL-სთვის. კომპანიას აქვს ფინანსური აქტივების ორი ტიპი, რომლებიც ექვემდებარება ECL (შეფასებული საკრედიტო ზარალი) მოდელს - სავაჭრო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

კომპანია მიმართავს ფასს 9-ის ისეთ გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც გამოიყენება შეფასებული ზარალის ანარიცხის მოქმედების მთლიანი ვადის მანძილზე ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. ECL შეფასებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური შეფასების მიდგომა.

შენიშვნაში 21 წარმოდგენილია ინფორმაცია ამოსავალი მონაცემების, დათქმებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, რომლებიც გამოიყენება შეფასებული საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასებებისას, მათ შორის იმის განმარტება, თუ როგორც ახდენს კომპანია საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვას ECL მოდელებში.

3 მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება, სრულად თუ ნაწილობრივ, როდესაც კომპანიამ ამოწურა ყველა პრაქტიკული ძალისხმევა აღდგენის მხრივ და გადაწყვიტა, რომ არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგეს აღიარების შეწყვეტის მოვლენას. აღდგენის გონივრული მოლოდინების არარსებობის ინდიკატორები მოიცავს, მათ შორის მევალის უუნარობას მონაწილეობა მიიღოს კომპანიის დაფარვების გეგმაში და უუნარობას განახორციელოს სახელშეკრულებო გადახდები 360 დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში. კომპანიას შეუძლია ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ მიეკუთვნება იძულებით აღსრულებას, როდესაც კომპანიას სურს, დაიბრუნოს კონტრაქტით გათვალისწინებული თანხები, თუმცა არ არსებობს გონივრული მოლოდინები დაფარვის მხრივ.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია თუ სხვაგვარად ამოწურულია აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები, ან (ბ) კომპანიამ გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები და მიმართა კვალიფიციურ საგადასახადო გატარებას, ამასთან, (i) ასევე გადასცა აქტივების ფლობასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკი და სარგებელი, ან (ii) არ გადასცა და არ შეინარჩუნა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ არ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლი ნარჩუნდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდოს აქტივი მთლიანობაში გარე მესამე მხარისთვის, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებადი ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებები წყდება, როდესაც ისინი დაფარულია (ე.ი. როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება დაფარულია, გაუქმებულია ან ამოწურულია).

იმ ვალდებულებების ცვლილება, რომელთა დაფარვა არ ხდება, აღირიცხება როგორც შეფასების ცვლილება კუმულატიური დაგროვების მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი მოგებისა თუ ზარალის აღიარებით მოგებასა ან ზარალში, გარდა შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულების სხვაობის ეკონომიკური არსი არის დაკავშირებული მესაკუთრეებთან კაპიტალის ტრანზაქციასთან.

ჩასათვლელი ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ჩათვლას, და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხის ასახვას აქვს ადგილი მხოლოდ, თუ არსებობს სამართლებრივად აღიარებული უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე და არსებობს ნეტო-საფუძველზე ანგარიშსწორებისა ან აქტივების რეალიზებისა და ვალდებულების ერთდროული დაფარვის განზრახვა. ჩათვლის ასეთი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და (ბ) უნდა ჰქონდეს იურიდიული ძალა შემდეგ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი საქმიანობის დროს, (ii) დარღვევის დროს და (iii) გადახდისუუნარობისა და გაკოტრების დროს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს სალაროში და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს დაფარვის სამი თვისა ან ნაკლები პირველადი ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ვინაიდან: (i) მოწმდება, ხომ არ არის ისინი ჩართული

სახელშეკრულებო პირობებში, ისე, რომ ეს ფუნქცია გამოიყენებოდეს იმ შემთხვევაშიც, თუ კანონმდებლობის შესაბამისად მათი ფლობა ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვებისთვის, და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) ისინი არ არის განკუთვნილი FVTPL-სთვის. უშუალოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქციები, როგორიცაა გირავნობის კანონმდებლობა ზოგიერთ ქვეყანაში, არ ახდენს გავლენას SPPI-ის შემოწმებაზე, თუ არ იქნა ჩართული საკონტრაქტო პირობებში, ასე რომ ეს ფუნქცია იქნება გამოყენებული კანონმდებლობის შემდგომში ცვლილების შემთხვევაშიც. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთებზე ECL იყო უმნიშვნელო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები: სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით და შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები: სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ თავის ვალდებულებებს და მათი საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები: ნასესხები სახსრების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, დაერიცხება ტრანზაქციის ნეტო-დანახარჯები და არის შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განკვეთის გამოყენებით.

საოპარო ვალდებულებები: ოპარასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულების საწყისი შეფასება ხორციელდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის რიგ საოპარო ხელშეკრულებაში ჩართულია გაგრელებისა და შეწყვეტის ოფციები. ეს ცნებები გამოიყენება მაქსიმალური საოპერაციო მოქნილობისთვის კომპანიის საქმიანობაში გამოყენებადი აქტივებისთვის მართვის თვალსაზრისით. გაგრელებისა და შეწყვეტის ოფციების უმეტესობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მიერ და არა შესაბამისი მეოპარის მიერ. გაგრელების ვარიანტები (ან შეწყვეტის ოფციის შემდგომი პერიოდი) ჩაითვლება ოპარის ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმის ვარაუდის გონივრული საფუძველი, რომ ოპარა იქნება გაგრძელებული (და არა შეწყვეტილი). საოპარო გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს დასაბუთებულად განსაზღვრული გაგრძელების ოფციის შესაბამისად, ასევე ჩაირთვება ვალდებულებების შეფასებაში.

3 მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საოპარო გადახდების დისკონტირება ხდება საოპარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთით. თუ შეუძლებელია ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა, რასაც ხოლმე ადგილი აქვს კომპანიის ოპარის შემთხვევაში, გამოიყენება კომპანიის დამატებით ნასესხები სახსრების მოზიდვის განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს იმ განაკვეთს, რომლის გადახდაც მოუწევს კომპანიას, რათა ისესხოს სახსრები, აუცილებელი აქტივის გამოყენების უფლების ფორმით ანალოგიური ღირებულების მქონე აქტივის მისაღებად ანალოგიურ ეკონომიკურ გარემოში, ანალოგიური ვადებით, გირაოთი და პირობებით.

საოპარო გადახდები ნაწილდება ძირითად და ფინანსური დანახარჯებს შორის. ფინანსური დანახარჯები მიეკუთვნება მოგება-ზარალს ოპარის პერიოდის მანძილზე, ყოველი პერიოდისთვის მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის მისაღებად ვალდებულებების დარჩენილ პერიოდზე.

მუდმივი პერიოდული განაკვეთის განსაზღვრისთვის, კომპანია გამოიყენებს მესამე მხარის დაფინანსების ბოლო განაკვეთს, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ.

აღჭურვილობისა და სატრანსპორტო საშუალებების მოკლევადიან ოპარასთან, ასევე მცირე ღირებულების მქონე აქტივების ოპარასთან დაკავშირებული გადახდების აღიარება ხდება წრფივი პრინციპით მოგება-ზარალში დანახარჯების სახით. მოკლევადიანი ოპარა არის ოპარა 12-თვიანი ან ნაკლები პერიოდით.

საოპერაციო ოპარა: თუ კომპანია არის მოოპარე ოპარის ხელშეკრულებაში, რომელიც არ გადასცემს არსებითად ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს მეოპარეზე (მაგ., საოპერაციო ოპარა), საოპერაციო ოპარის საოპარო გადახდების აღიარება ხდება წრფივი პრინციპით სხვა შემოსავლის სახით.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები: კომპანიის გაურკვეველი საგადასახო პოზიციების გადაფასება ხდება მენეჯმენტის მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის პოზიციებისთვის, რომლებიც, მენეჯმენტის აზრით, უფრო მოსალოდნელია, რომ არ გამოიწვევს დამატებითი გადასახედების დაკისრებას, თუ პოზიციები გახდება სადავო საგადასახადო ორგანოების მხრიდან. შეფასება ეფუძნება საგადასახდო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომელიც იქნა მიღებული ან მოქმედებდა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, ასევე ნებისმიერ ცნობილ სასამართლო თუ სხვა გადაწყვეტილებებს ასეთ საკითხებზე. ჯარიმების, პროცენტების და გადასახედების მხრივ ვალდებულებების, მოგების გარდა, აღიარება ხდება მენეჯმენტის მიერ იმ ხარჯების მაქსიმალური შეფასებით, რომლებიც აუცილებელია ვალდებულების დასაფარად საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციების კორექტირება აისახება მოგების გადასახადში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი: გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) ექვემდებარება გადახდას საგადასახდო ორგანოებისთვის, როდესაც საქონელი თუ მომსახურება მიეწოდება კლიენტებს. შემომავალი დღგ-ს ანაზღაურება, როგორც წესი, ხდება დარიცხული (გასავლის) დღგ-ს ხარჯზე, ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის ძირითადი წყარო ან შემოსავლები, კონკრეტულად ხილისა და ბოსტნეულის პროდუქტის რეალიზაცია, თავისუფალია დარიცხული დღგ-საგან, შემომავალი დღგ-ის დაბრუნების უფლების

შენარჩუნებით. გაყიდვასა და შეძენასთან დაკავშირებული დღგ აისახება ნეტო-საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და გაწერილია ცალ-ცალკე აქტივისა და ვალდებულების სახით. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს გაანგარიშება ნეტო-საფუძველზე. შემომავალი დღგ, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების შეძენასთან, გადავადებულია 5-დან 10 წლამდე ვადით იურიდიული პირებისთვის, რომელთა ბრუნვა აღემატება იმ მოცულობას, რომელიც ითვალისწინებს 20% დღგ-სგან გათავისუფლებას.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც მიღებულია ან შევიდა ძალაში საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ შეიტანა ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებმა (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდების გარდა) არ უნდა გადაიხადონ მოგების გადასახადი მოგებიდან, რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან, თუ ეს მოგება არ იქნება განაწილებული ან გადახდილი დივიდენდების სახით.

მოგების გადასახადი (15%) გადაიხდევინება მთლიანი ღირებულებით (ე.ი. წმინდა დივიდენდების მთლიანი თანხა მიიღება 5%-იანი გადასახადის გამოქვითვით, თუ გამოიყენება, და იყოფა 0.85-ზე), დივიდენდის გადახდისას, ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. დივიდენდები, გადახდილი რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის მოგებიდან, რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან, გათავისუფლებულია დაბეგვრისგან.

დივიდენდები შემოსავლებზე, რომლებიც დაგროვილია 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, ექვემდებარება მოგების გადასახადის გადახდას მთლიანი ღირებულებით, რაც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, გამოთვლილით როგორც კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დასაბეგრ მოგებაზე, ამავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებასთან შედარებით, გამრავლებული განაწილებას დაქვემდებარებულ დივიდენდზე. თუმცა საგადასახადო შეღავათის თანხა არ უნდა აღემატებოდეს ფაქტიური მოგების გადასახადს, მიმართულს დივიდენდების განაწილებაზე.

მოგების გადასახადი, წარმოქმნილი დივიდენდების განაწილების შედეგად, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯები იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები დეკლარირებულია, გადახდის ფაქტიური თარიღისა თუ იმ პერიოდის მიუხედავად, როდესაც გადაიხდევინება დივიდენდები.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილებასთან ერთად, გადასახადი მაინც გადაიხდევინება იმ ხარჯებსა თუ სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივებისა თუ მომსახურის უფასო მიწოდებასთან, ასევე წარმომადგენლობით დანახარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა ავანსი, გადახდილი იურიდიული პირებისთვის, რომლებიც დარეგისტრირებულია შეღავათიანი საგადასახო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში, და სხვა კონკრეტული გარიგებები ასეთ ორგანიზაციებთან, ასევე სესხები, გაცემული ფიზიკურ პირებსა თუ არარეზიდენტებზე, დაუყოვნებლივ ექვემდებარება დაბეგვრას. ასეთი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახდო შეღავათების გამოკლებით იმ აქტივებსა თუ მომსახურებასთან მიმართებაში, რომლებიც მიღებულია იმ ავანსების სანაცვლოდ, რომლებიც გადახდილია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული ორგანიზაციებისთვის ან ფიზიკური პირებისთვის თუ არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხების დაფარვისას, აღირიცხება გადასახადების გრაფაში, გარდა მოგებისა საოპერაციო დანახარჯების ფარგლებში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება. მოსავლის აღების შემდეგ, პომიდორი და კიტრი შეიტანება გასაყიდად განკუთვნილ სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში და საწყისი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით გაყიდვის შეფასებული დანახარჯების გამოკლებით მოსავლის აღების დროს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან რეალური ამონაგების საწყისი აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშში და სხვა სრულ შემოსავალში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარაგების ცვლილებების ფარგლებში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალური ღირებულება მოსავლის აღებისას განისაზღვრება საბაზრო ფასების საფუძველზე ბოლო ტრანზაქციებით და კლასიფიცირდება რეალური ღირებულების იერარქიის მე-2 დონეზე. მოსავლის აღებისას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის ღირებულება განისაზღვრება ფაქტიურად გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები სასაქონლო-მატერიალური მარაგები აისახება უმცირესი თვითღირებულებით და რეალიზაციის წმინდა ღირებულებით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალოშეწონილ საფუძველზე. რეალიზაციის წმინდა ღირებულება არის გაყიდვის სავარაუდო ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, დასრულების შეფასებული დანახარჯებისა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება, რომელიც გადაიცემა ბიოლოგიური აქტივებიდან, წარმოადგენს მის რეალურ ღირებულებას მოსავლის აღებისას გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით.

წინასწარი გადახდები წინასწარი გადახდები აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როცა მოსალოდნელია, რომ საქონელი და მომსახურება, დაკავშირებული წინასწარ გადახდასთან, იქნება მიღებული ერთი წლის შემდეგ ან როდესაც წინასწარი გადახდა მიეკუთვნება აქტივს, რომელიც თავად იქნება კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი საწყისი აღიარებისას. აქტივების შესაძენად წინასწარი გადახდა გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი აქტივზე და არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიედინებოდეს კომპანიაში. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, თუ საქონელი ან მომსახურება დაკავშირებულია წინასწარ გადახდასთან, არის მიღებული. თუ არ არსებობს მითითება, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგებასა ან ზარალში.

სააქციო კაპიტალი სააქციო კაპიტალი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით. საზოგადოების წესდებაში ცვლილებები (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) ხორციელდება მხოლოდ საზოგადოების აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი. დამატებითი დანახარჯები, უშუალოდ დაკავშირებული ახალი აქციებს გამოშვებასთან, ნაჩვენებია საკუთარ კაპიტალში როგორც გაქვითვა, გადასახადის გამოკლებით, ამონაგებიდან. რეალური ღირებულების ნებისმიერი გადამეტება გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე აისახება როგორც სააქციო პრემია საკუთარ კაპიტალში.

ამონაგების აღიარება ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის დროს. ამონაგების აღიარება ხდება ტრანზაქციის ფასში. ტრანზაქციის ფასი არის უფლება იმ დასაფარ თანხაზე, რომლის მიღებასაც კომპანია ელოდება დაპირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე კლიენტისთვის კონტროლის გადაცემის სანაცვლოდ, მესამე პირების სახელით შეგროვებული თანხების გარდა.

საქონლის გაყიდვები საქონლის გაყიდვების აღიარება ხდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ე.ი. როდესაც საქონელი მიწოდებულია მომხმარებლისთვის, და მომხმარებელს აქვს მოქმედების სრული თავისუფლება ამ საქონელთან მიმართებაში, და არ არსებობს ვალდებულებები, რომლებსაც შეუძლია გავლენის მოხდება მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხორციელდება, როდესაც საქონელი მიღებულ იქნა მყიდველის მიერ კომპანიის საწყობიდან, დაძველებისა და დანაკარგის რისკები გადაცემულ იქნა მომხმარებლისთვის, ან მომხმარებელმა მიიღო საქონელი კონტრაქტის შესაბამისად, ამ მიღების პირობებმა დაკარგა ძალა, ან კომპანიას გააჩნია იმის ობიექტური მტკიცებულებები, რომ მისაღებად ყველა კრიტერიუმები იქნა დაცული.

დაფინანსების არცერთი ელემენტი არ მიიჩნევა არსებულად, ვინაიდან გაყიდვები ხორციელდება კრედიტის 45-დღიანი ვადით, რაც შეესაბამება საბაზრო პრაქტიკას.

მოთხოვნების აღიარება ხდება, როცა საქონელი მიწოდებულია, ვინაიდან ეს არის დროის ის მომენტი, როდესაც ანაზღაურება არის უპირობო, ვინაიდან გადახდის ვადის დადგომამდე საჭიროა მხოლოდ დრო.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თანამშრომელთა გასამრჯელო ხელფასი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი (მაგალითად, სამედიცინო მომსახურება და ტრანსპორტირება) დაირიცხება იმ წელს, როდესაც შესაბამისი მომსახურება გაწეულ იქნება კომპანიის თანამშრომლებისთვის. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება საპენსიო უზრუნველყოფისა თუ ანალოგიური გასამრჯელოს გადახდის მხრივ.

საფინანსო ანგარიშგების ცვლილება გამოცემის შემდეგ საფინანსო ანგარიშგების ნებისმიერი ცვლილება მისი გამოცემის შემდეგ მოითხოვს კომპანიის იმ მენეჯმენტის დასტურს, რომელმაც დაამტკიცა მოცემული საფინანსო ანგარიშგება გამოსაცემად.

4 საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არსებითი შეფასებები და მოსაზრებები

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და დათქმებს, რაც ახდენს გავლენას თანხებზე, რომლებიც აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო საფინანსო წლის მანძილზე. შეფასებები და მოსაზრებები მუდმივად ფასდება და დაფუძნებულია მენეჯმენტის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინის ჩათვლით, რომლებიც მიიჩნევა გონივრულად ამ გარემოებებში. მენეჯმენტი ასევე გამოთქვამს გარკვეულ მოსაზრებებს, გარდა იმისა, რაც დაკავშირებულია შეფასებასთან, საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მოსაზრებები, რომელთაც გააჩნია ყველაზე დიდი გავლენა თანხებზე ფინანსურ ანგარიშგებაში, და შეფასებები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის მანძილზე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირება, მოიცავს:

ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიამ განიცადა 25,752 ათასი ლარის წმინდა ზარალი იმ წელს, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (2018 წელს: 4,703 ათასი ლარი). კომპანიის ოპერაციები და ფინანსური ლიკვიდობა დამოკიდებულია კომპანიის მფლობელისაგან დახმარების გაგრძელებაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ასეთი დახმარება მისცემს კომპანიას შესაძლებლობას განაგრძოს საქმიანობა ოპერაციების არსებითი შეკვეცის გარეშე ახლო მომავალში, იხილეთ შენიშვნა 24. ასევე, კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საოპერაციო შედეგების გაუმჯობესების გეგმები: კომპანია გეგმავს შეამციროს ელექტროენერგიის დანახარჯები ელექტროენერგიისა და გაზის ჩვეულებრივი მიმწოდებლების ალტერნატული მიმწოდებლებით ჩანაცვლებით. 2020 წლის სექტემბრის მდგომარეობით, პროექტი არის აქტიურ ფაზაში და იქნება დასრულებული ოქტომბრის ბოლოს; კომპანიამ შეცვალა დათესილი ფართობების წილები: 1 ჰა-თი შემცირდა პომიდვრისა და გაიზარდა კიტრის ფართობი. კიტრის ნათესის მოსავლიანობა 1 კვ.მ-ზე უფრო მაღალია, და ამონაგები გაიზრდება. შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ასახული აქტივების ოდენობის აღდგენადობასა და კლასიფიკაციასთან დაკავშირებით რაიმე ისეთ კორექტირებას, რომელიც, შესაძლოა, იქნებოდა საჭირო, თუ კომპანია ვერ შეძლებდა საქმიანობის გაგრძელებას ფუნქციონირებადი საწარმოს სახით.

დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის დროს კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება იმის განსაზღვრით, თუ არის ტრანზაქციები შეფასებული საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, სადაც არ არის აქტიური ბაზარი ასეთი ოპერაციებისთვის. მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს ოპერაციათა ანალოგიური სახეობების ფასწარმოქმნა არამეკავშირე მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებულ მხარეთა ბალანსების პირობები გამჟღავნებულია შენიშვნაში 7.

გამოყენების უფლების ფორმით არსებული აქტივების ცვეთა. იჯარის ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი ითვალისწინებს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც წარმოქმნის ეკონომიკურ სტიმულს გაგრძელების ოფციები ჩართულია იჯარის ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული ვარაუდის საფუძველი, რომ იჯარა იქნება გაგრძელებული (ან არ იქნება შეწყვეტილი).

გაგრძელებისა და შეწყვეტის ოფციები. იჯარის გაგრძელებისა და შეწყვეტის ოფციები ჩართულია ოფისის იჯარის ხელშეკრულებაში. აღნიშნული გამოიყენება კომპანიის საქმიანობაში გამოყენებადი აქტივების მართვის თვალსაზრისით მაქსიმალური საოპერაციო მოქნილობისთვის.

იჯარის ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი ითვალისწინებს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც წარმოქმნის ეკონომიკურ სტიმულს გაგრძელების ოფციის განხორციელებისთვის. გაგრძელების ოფციები ჩართულია იჯარის ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული ვარაუდის საფუძველი, რომ იჯარა იქნება გაგრძელებული.

ძირითადი საშუალებების მარგი გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების (ქონების, წარმოების და აღჭურვილობის) მარგი გამოყენების შეფასება არის მსჯელობის საგანი, რომელიც ეფუძნება ანალოგიური აქტივების ასახვის გამოცდილებას. აქტივებში ასახული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ძირითადად მიიღება გამოყენების გზით. თუმცა სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური თუ კომერციული დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში ასახული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი აფასებს მარგი გამოყენების დარჩენილ ვადას აქტივების მიმდინარე ტექნიკური პირობებისა და იმ საღრიცხვო პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც, როგორც მოსალოდნელია, მიიღება სარგებელი კომპანიისთვის. განიხილება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მომსახურების პროგრამაზე; (გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც წარმოიქნება ბაზრის პირობების ცვლილების გამო.

4 საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არსებითი შეფასებები და მოსაზრებები (გაგრძელება)

თუ მარგი გამოყენების სავარაუდო ვადა 10%-ით განსხვავდება მენეჯმენტის შეფასებებისაგან, ცვეთაზე გავლენა წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს, უნდა იყოს გაზრდილი/შემცირებული 525 ათასი ლარით (2018 წელს: 433 ათასი ლარი).

დისკონტირების განაკვეთები, გამოყენებული საიჯარო ვალდებულებების განსაზღვრისთვის. კომპანია გამოიყენებს ნასესხები სახსრების განაკვეთს, რომელიც ეფუძნება საბაზრო განაკვეთს, დისკონტირების განაკვეთის დაანგარიშების საფუძვლის სახით იმის გამო, რომ შეუძლებელია მარტივად განისაზღვროს იჯარით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი. დისკონტირების განაკვეთის 10%-ით გაზრდა თუ შემცირება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის გამოიწვევს საიჯარო ვალდებულებების გაზრდასა ან შემცირებას 2 ათასი ლარით (2019 წლის 1 იანვარი: 4 ათასი ლარი).

5 ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 16, იჯარა (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). კომპანიამ გადაწყვიტა, რომ გამოიყენებს სტანდარტს მისი აუცილებელი გამოყენების თარიღიდან - 2019 წლის 1 იანვარი, გამარტივებული მეთოდის გამოყნებით, შესადარისი მონაცემების გადათვლის გარეშე და სტანდარტით დაშვებული გამარტივების გამოყენებით. ქონების იჯარისთვის აქტივები გამოყენების უფლების ფორმით ფასდება გადათვლისას ისეთნაირად, თითქოს ეს ახალი წესები 2019 წლის იანვრიდან. ყველა დანარჩენი აქტივი გამოყენების უფლების ფორმით შეფასებულია, მიღებისას, საიჯარო ვალდებულებების თანხით.

ფასს 16 პირველად გამოყენებისას, კომპანია გამოიყენებდა სტანდარტით დაშვებულ შემდეგ პრაქტიკულ ხერხებს:

- წინა შეფასებებზე დაყრდნობა, თუ იყო იჯარა წაგებიანი, გაუფასურების გადახედვის ალტერნატივის სახით – 2019 წლის 1 იანვრისთვის ადგილი არ ჰქონია წაგებიან კონტრაქტებს,
- რეტროსპექტიული ანალიზის გამოყენება იჯარის ვადის განსაზღვრისას, თუ ხელშეკრულება შეიცვას იჯარის გაგრძელებისა ან შეწყვეტის ოფციებს.

კომპანიამ ასევე გადაწყვეტა, არ ჩაატაროს იმის განმეორებით შეფასება, თუ წარმოადგენს ხელშეკრულება საიჯარო ხელშეკრულებას საწყისი გამოყენების თარიღისთვის. ამის მაგივრად გადასვლის თარიღებამდე დადებული ხელშეკრულებებისთვის კომპანია ეყრდნობა თავის შეფასებას, განხორციელებულს ასს 17-ის, „იჯარა“, და ფასკ 4-ის, „შეთანხმებაში იჯარის პირობების არსებობის განსაზღვრა“ გამოყენებით.

ნასესხები სახსრების მოზიდვისთვის ნაზარდი საშუალო შეწონილი განაკვეთი, რომელსაც კომპანია გამოიყენებს 2019 წლის 1 იანვრისთვის არსებული საიჯარო ვალდებულებებისადმი, შეადგენდა 7.70%-ს აშშ დოლარში დენომინირებული ვალდებულებებისთვის.

საოპერაციო იჯარის ვალდებულებების შეჯერება, გამჟღავნებული შენიშვნაში 16, აღიარებული ვალდებულებებისთვის, წარმოებს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2018 / 1 იანვარი 2019
სულ მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები საოპერაციო იჯარაზე ვადამდელი შეწყვეტის უფლების გარეშე* 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	236
- დისკონტირების ეფექტი დღევანდელ ღირებულებაზე	40
სულ იჯარის ვალდებულები აღიარებული 2019 წლის 1 იანვრისთვის	**196**
მათ შორის:	
მოკლევადიანი იჯარის ვალდებულებები	33
გრძელვადიანი იჯარის ვალდებულებები	163

5 ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

საალრიცხვო პოლიტიკის ცვლილება შეეხო 2019 წლის 1 იანვრისთვის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების შემდეგ მუხლებს:

ათასი ლარი	შენიშვნები	ფასს 16-ის მიღების გავლენა
აქტივის გამოყენების უფლების ფორმით ზრდა	5,9	*196*
საიჯარო ვალდებულებების ზრდა	5,9,16	196

შემდეგი გადასინჯული სტანდარტები შევიდა ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ არ ახდენს კომპანიაზე რაიმე არსებით გავლენას:

- ფასიკ 23 „გაურკვევლობა მოგების გადასახადის დაბეგვრის მხრივ“ (გამოცემულია 2018 წლის 7 ივნისს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ).
- ნეგატიური კომპენსაციის ვადამდელი დაფარვის თავისებურებები - ფასს 9-ის ცვლილებები (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ).
- „ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში გრძელვადიანი წილები“ ასს 28-ის შესწორებები (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ).
- ფასს ყოველწლიური გაუჯობესება 2015-2017 წლების ციკლისთვის - ფასს 3, ფასს 11, ასს 12 და ასს 23-ის ცვლილებები (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ).
- „გეგმის ცვლილება, შეკვეცა თუ დაფარვა“ ასს 19-ის ცვლილებები (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ).

6 ახალი სააღრიცხვო განცხადებები

გამოცემულ იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც აუცილებელია 2020 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებსაც კომპანია არ გამოიყენებდა ვადამდე ადრე.

აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოსა შორის –ფასს 10 და ასს 28-ის ცვლილებები (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ განსაზღვრული თარიღისთვის ან ამ თარიღის შემდგომ). ეს ცვლილებები აღმოფხვრას ინვესტორსა და მისი ასოცირებული კომპანიასა თუ ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვისა თუ შეტანის მხრივ ფასს 10 და ასს 28-ის მოთხოვნებს შორის წინააღმდეგობას. ცვლილებების ძირითადი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ სრული ამონაგებისა ან ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ოპერაცია გავლენას ახდენს ბიზნესზე. ნაწილობრივი ამონაგებისა ან ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ოპერაცია დაკავშირებული იმ აქტივებთან, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, მაშინაც კი, თუ ეს აქტივები მიეკუთვნება შვილობილ კომპანიას. კომპანია არ მოელის ცვლილებების რაიმე გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 „სადაზღვევო კონტრაქტები“ (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდგომ). ფასს 17 ანაცვლებს ფასს 4-ს, რომელიც ანიჭებდა კომპანიას უფლებას დაზღვევის ხელშეკრულებების აღრიცხვას არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებისთვის რთული იყო ანალოგიური სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შედარება. ფასს 17 წარმოადგენს ერთიან პრინციპზე დაფუძნებულ სტანდარტს ყველა სახის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის, მათ შორის გადაზღვევის კონტრაქტებისა, რომლებიც გააჩნია მზღვეველს. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებათა ჯგუფის აღიარებასა და შეფასებას შემდეგნაირად: (i) მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება რისკის გათვალისწინებით (შესრულებული ფულადი ნაკადები), რაც მოიცავს მთელ არსებულ ინფორმაციას ფულადი ნაკადების გადახდის შესახებ ისეთნაირად, რომ შეესაბამებოდეს დაკვირვებულ საბაზრო ინფორმაციას; დამატებული (თუ ეს მნიშვნელობა არის ვალდებულება) ან გამოკლებული (თუ ეს მნიშვნელობა არის აქტივი); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას კონტრაქტების ჯგუფში (საკონტრაქტო მომსახურების მარჟა). მზღვეველი აღიარებს მოგებას დაზღვევის ხელშეკრულებათა ჯგუფიდან იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ის ახორციელებს სადაზღვევო დაფარვას და თავისუფლდება რისკისგან. თუ კონტრაქტების ჯგუფი არის ან ხდება ზარალიანი, კომპანიამ უნდა აღიაროს ზარალი დაუყოვნებლივ. კომპანია არ მოელის ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური ჩარჩოს ცვლილებები (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). გადასინჯული კონცეპტუალური ჩარჩო მოიცავს შეფასების ახალ თავს; ფინანსური შედეგების ანგარიშების სახელმძღვანელოს; გაუმჯობესებულ განსაზღვრებსა და რეკომენდაციებს, კერძოდ, ვალდებულებების განსაზღვრას, ასევე ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში განმარტებებს, როგორიცაა მენეჯმენტის როლი, წინდახედულობა და შეფასების გაურკვევლობა ფინანსურ ანგარიშგებაში.

6 ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

ბიზნესის განსაზღვრა - ფასს 3-ის ცვლილებები (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და შედის ძალაში შენაძენებისთვის იმ წლიური საანგარიშო პერიოდის დაწყებიდან, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებებში გადასინჯულია ბიზნესის განსაზღვრა. ბიზნესს უნდა ჰქონდეს ამოსავალი მონაცემები და არსებითი პროცესი, რომელთაც ერთობლივად შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი შედეგების შექმნის უნარში. ახალი სახელმძღვანელო უზრუნველყოფს შეფასების საფუძველს, თუ როდის არსებობს ამოსავალი მონაცემები და არსებითი პროცესი, მათ შორის ადრეულ სტადიაზე მყოფი კომპანიებისთვის, რომლებმაც არ წარმოქმნა ამოსავალი მონაცემები. თუ არ არსებობს ამოსავალი მონაცემები, ბიზნესის სახით კლასიფიკაციისთვის პირებს ესაჭიროება ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. ტერმინის „ამოსავალი მონაცემები“ განსაზღვრა ვიწროვდება, რათა მოხდეს კონცენტრირება მომხმარებლებისთვის მიწოდებულ საქონელსა და მომსახურებაზე, რომლებსაც მოაქვს საინვესტიციო შემოსავალი და სხვა შემოსავალი, და ის გამორიცხავს შემოსავლებს უფრო დაბალი დანახარჯების ფორმით ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე აღარ არის საჭირო იმის შეფასება, თუ შეუძლია ბაზრის მონაწილეებს ჩაანაცვლონ არარსებული ელემენტები ან მოახდინონ შეძენილი საქმიანობის სახეობების და აქტივების ინტეგრირება. სუბიექტს შეუძლია გამოიყენოს „კონცენტრაციის ტესტი“. შეძენილი აქტივები არ წარმოადგენს ბიზნესს, თუ შეძენილი მთლიანი აქტივების მთლიანი რეალური ღირებულება კონცენტრირებულია ერთ აქტივში (ან ანალოგიური აქტივების ჯგუფში). კომპანია არ მოელის ცვლილებების რაიმე გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

არსებითობის განსაზღვრა - ასს 1 და ასს 8-ის ცვლილებები (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და შედის ძალაში იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებები განმარტავს არსებითობის განსაზღვრასა და მისი გამოყენების წესს განსაზღვრის სახელმძღვანელოში ჩართვით, რაც მანამდე იყო მითითებული ფასს-ის სხვა ადგილას. გარდა ამისა, განსაზღვრის განმარტებები გაუმჯობესებულია. და ბოლოს, ცვლილებები უზრუნველყოფს არსებითობის შესაბამისობას ფასს-ის ყველა სტანდარტში. ინფორმაცია არის არსებითი, თუ მისი გამოტოვებას, დამახინჯებასა თუ დაფარვას შეუძლია გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ღებულობენ ფინანსური ანგარიშგების პირველადი მომხმარებლები ამ ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტულ ანგარიშვალდებულ ერთეულზე. კომპანია არ მოელის ცვლილების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საბაზისო საპროცენტო განაკვეთების რეფორმა - ფასს 9, ასს 39 და ფასს 7-ის ცვლილებები (გამოცემულია 2019 წლის 26 სექტემბერში და შედის ძალაში წლიური პერიოდისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებები გამოწვეულია საბაზისო საპროცენტო განკვეთების ცვლილებებით, როგორიცაა LIBOR და სხვა ბანკთაშორისი განაკვეთები („IBOR“). ცვლილებები წარმოადგენს ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებისაგან დროებით გათავისუფლებას ჰეჯირების იმ ურთიერთობებისთვის, რომელთაც უშუალოდ ეხება IBOR რეფორმა. ფულადი ნაკადების ჰეჯირების აღრიცხვა, ფასს 9 და ასს 39 შესაბამისად, მოითხოვს, რომ მომავალი ჰეჯირებადი ფულადი ნაკადები იყოს „დიდწილად შესაძლებელი“. თუ ეს ფულადი ნაკადები დამოკიდებულია IBOR-ზე, ცვლილებებით გათვალისწინებული გათავისუფლება მოითხოვს, რომ კომპანიამ დაუშვას, რომ საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ეფუძნება ჰეჯირებული ფულადი ნაკადები, არ შეიცვლება რეფორმის შედეგად. ასს 39 და ფასს 9 მოითხოვს პერსპექტიულ შეფასებას ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მოსალოდნელია, რომ ფულადი ნაკადები IBOR და IBOR ჩანაცვლების განაკვეთებით მთლიანობაში იქნება ეკვივალენტური, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს ნებისმიერი არაეფექტურობა, ასე შეიძლება არ მოხდეს რეფორმის დროის მიახლოებისას. ცვლილებების თანახმად, კომპანიას შეუძლია დაუშვას, რომ საბაზისო საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ეფუძნება ფულადი ნაკადები ჰეჯირებულ ობიექტზე, ჰეჯირების ინსტრუმენტი თუ ჰეჯირების რისკი, არ შეიცვლება IBOR რეფორმის შედეგად. IBOR-ის რეფორმამ შეიძლება ასევე გამოიწვიოს ის, რომ ჰეჯირება გასცდება 80-125%-ის დიაპაზონს, რომელიც მოითხოვება რეტროსპექტული ტესტით ასს 39 თანახმად. თუმცა ასს 39-ში შეტანილ იქნა ცვლილება, რომელიც გულისხმობს რეტროსპექტული ეფექტურობის ტესტთან მიმართებაში გამონაკლისს, ისე რომ ჰეჯირება არ წყდება IBOR-თან დაკავშირებული გაურკვევლობას პერიოდის განმავლობაში მხოლოდ იმიტომ, რომ რეტროსპექტული ეფექტურობა სცდება ამ დიაპაზონის ფარგლებს. ამავე დროს, ჰეჯირების აღრიცხვის სხვა მოთხოვნები, პერსპექტიული შეფასების ჩათვლით, კვლავინდებურად შესასრულებელია. ჰეჯირების ზოგიერთ შემთხვევებში ჰეჯირებული ობიექტი ან ჰეჯირების რისკი წარმოადგენს IBOR რისკის კომპონენტს, რომელიც არ არის დათქმული ხელშეკრულებაში. ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენებისთვის ფასს 9 და ასს 39 მოითხოვს, რომ აღნიშნული რისკის კომპონენტი იყოს ცალკე იდენტიფიცირებული და ექვემდებარებოდეს სანდო შეფასებას. ცვლილებების თანახმად, რისკის კომპონენტი უნდა იყოს ცალკე იდენტიფიცირებადი მხოლოდ საწყისი ჰეჯირების დროს და არა მუდმივ საფუძველზე. მაკროჰეჯირების კონტექსტში, როდესაც კომპანია ხშირად აღადგენს ჰეჯირების ურთიერთობას, შეღავათი გამოიყენება იმ მომენტიდან, როცა ჰეჯირებული ობიექტი თავიდანვე განსაზღვრულ იქნა ამ ჰეჯირების ურთიერთობების ფარგლებში. ჰეჯირების ნებისმიერი არაეფექტურობა კვლავინდებურად იქნება ასახული, აას 39 და ფასს 9-ის თანახმად, მოგება-ზარალში. ცვლილებები ადგენს გამომწვევ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავს, თუ როდის წყდება შეღავათი, რაც მოიცავს გაურკვევლობას, რომელიც წარმოიქმნება, თუ საბაზისო საპროცენტო განაკვეთების რეფორმა აღარ ტარდება. ცვლილებები მოითხოვს, რომ კომპანიებმა წარუდგინონ ინვესტორებს დამატებითი ინფორმაცია მათი ჰეჯირების იმ ურთიერობების შესახებ, რომელზედაც უშუალო გავლენას ახდენს მოცემული გაურკვევლობა, ჰეჯირების იმ ინსტრუმენტების ნომინალური თანხის ჩათვლით, რომელთა მიმართებაში გამოიყენება შეღავათები, ნებისმიერი არსებითი დაშვება თუ მოსაზრება შეღავათების გამოყენებისას და ინფორმაციის ხარისხობრივი გამჟღავნება იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა IBOR რეფორმამ კომპანიაზე და როგორ მართავს ის გარდამავალ პროცესს. კომპანია არ მოელის ცვლილებების რაიმე გავლენას მის საფინანსო საქმიანობაზე.

6 ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ზემოთ, მოსალოდნელია, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოხდენს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიან – ასს 1-ის ცვლილებები (გამოცემულია 2020 წლის

23 იანვარს და შედის ძალაში წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ). ეს ცვლილებები, მოქმედების ვიწრო სფეროთი, აზუსტებს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი იმ უფლებებიდან გამომდინარე, რომლებიც არსებობს საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები არის გრძელვადიანი, თუ კომპანიას აქვს არსებითი უფლება საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის გადადოს დაფარვა, როგორც მინიმუმ, თორმეტი თვით. სახელმძღვანელო აღარ მოითხოვს, რომ ასეთი უფლება იყოს უპირობა. მენეჯმენტის მოლოდინი იმის თაობაზე, თუ გამოიყენებს მომავალში დაფარვის გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია იცავს ყველა შესაბამის პირობას საანგარიშო წლის ბოლოსთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი, თუ პირობა ირღვევა საანგარიშო თარისთვის ან უფრო ადრე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ პირობის დათმობა მიღებულია კრედიტორისგან საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, თუ სესხის პირობა ირღვევა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. გარდა ამისა, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციისადმი მოთხოვნების დაზუსტებას, რომლის დაფარვაც კომპანიას შეუძლება მისი კაპიტალში კონვერტირებით. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება როგორც ვალდებულებების დაფარვა ფულადი სახსრებით, ეკონომიკურ სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით ან კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. არსებობს გამონაკლისი ისეთი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება იყოს კონვერტირებული კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერტაციის ოფცია კლასიფიცირდება როგორც წილობრივი ინსტრუმენტი, რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკეული კომპონენტის სახით.

შემოსავლები სავარაუდო გამოყენებამდე, წაგებიანი ხელშეკრულება - კონტრაქტის შესრულების ღირებულება, კონცეპტუალურ ჩარჩოზე მითითება - ასს 16-ის, ასს 37-სა და ფასს 3-ის ვიწრო სფეროს ცვლილებები და 2018-2020 წლების ფასს-ების გაუმჯობესებები - ფასს 1-ის, ფასს 9-ის, ფასს 16-სა და ასს 41-ის ცვლილებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და შედის ძალაში 2022 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ასს 16-ის ცვლილება უკრძალავს კომპანიას გაქვითოს ძირითადი საშუალებების მუხლის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავლები, მიღებული ამ ობიექტების გაყიდვიდან მაშინ, როცა კომპანიას აპირებს გამოიყენოს ეს აქტივი დანიშნულებისამებრ. ასეთი ობიექტების გაყიდვიდან შემოსავლის, მათ წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებთან ერთად, აღიარება ახლა ხდება მოგებასა ან ზარალში. კომპანია გამოიყენებს ასს 2-ს ამ ობიექტების ღირებულების შეფასებისთვის. ღირებულება არ უნდა მოიცავდეს შემოწმებული აქტივის ცვეთას, ვინაიდან იგი არ არის მზად დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. ასს 16-ის ცვლილება ასევე განმარტავს, რომ კომპანია „ამოწმებს, თუ ფუნქციონირებს აქტივი სათანადოდ“, როდესაც აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ მახასიათებლებს. აქტივის ფინანსურ მაჩვენებლებს არ აქვს კავშირი ამ შეფასებასთან. შესაბამისად, აქტივი შეიძლება ფუნქციონირებდეს მენეჯმენტის განზრახვის შესაბამისად და ექვემდებარება ცვეთას მანამდე, სანამ მიაღწევს საოპერაციო საქმიანობის იმ დონეს, რომელსაც მოელის მენეჯმენტი.

ასს 37-ის ცვლილება განმარტავს ტერმინს „კონტრაქტის შესრულების დანახარჯები“ მნიშვნელობას. ცვლილება განმარტავს, რომ კონტრაქტის შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ასეთი კონტრაქტის შესრულების დამატებით დანახარჯებს და იმ სხვა დანახარჯების მიკუთვნებას, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია შესრულებასთან. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ წაგებიან ხელშეკრულებაზე ცალკე ანარიცხის შექმნამდე კომპანია აღიარებს გაუფასურების ნებისმიერ ზარალს, რომელიც წარმოიქმნა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით და არა იმ აქტივებთან, რომლებიც განკუთვნილია ამ ხელშეკრულებისთვის.

ფასს 3-ში შეტანილია ცვლილება 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოზე მითითებისთვის იმის განსაზღვრის მიზნით, თუ რა წარმოქმნის აქტივსა თუ ვალდებულებას ბიზნესის გაერთიანებისას. ცვლილების შეტანამდე ფასს 3-ში იყო მითითება 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოზე. გარდა ამისა, ფასს 3-ში დამატებულია ახალი გამონაკლისი ვალდებულებებსა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისი მიუთითებს, რომ ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების გარკვეული ტიპებისთვის კომპანიამ, რომელიც გამოიყენებს ფასს 3-ს, უნდა მიმართოს ასს 37-ს ან ფასიკ 21-ს და არა 2018 წლის კონცეპტუალურ ჩარჩოს. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, კომპანიას მოუწევდა აღიარებინა ისეთი გარკვეული ვალდებულებები ბიზნესის გაერთიანების დროს, რომელთაც არ აღიარებდა ასს 37-ის თანახმად. შესაბამისად, უშუალოდ შეძენის შემდეგ კომპანიას უნდა შეეწყვეტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და აღიარებინა ამონაგები, რომელიც არ ასახავდა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე განმარტებულია, რომ მყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც ეს განსაზღვრულია ფასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

ფასს 9-ის ცვლილება ეხება იმას, თუ რომელი საზღაური უნდა ჩაირთოს 10%-ში შემოწმების დროს ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. დანახარჯები თუ საზღაური შეიძლება იყოს ანაზღაურებული მესამე მხარეებისთვის თუ კრედიტორისთვის. ცვლილების თანახმად, მესამე მხარეებისთვის გადახდილი დანახარჯები თუ საზღაური არ იქნება ჩართული 10%-ში შემოწმების დროს.

საილუსტრაციო მაგალითში 13, რომელიც თანდართულია ფასს 16-ს, შეტანილია ცვლილებები, იმ ილუსტრაციის მოცილების მიზნით, რომელიც ასახავს მეიჯარის გადახდებს საჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ცვლილების შეტანის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ აღმოფხვრილ იქნას საიჯარო შეღავათების მხრივ ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობა.

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

ფასს 1-ით დასაშვებია გამონაკლისი იმ შემთხვევაში, თუ შვილობილი კომპანია გამოიყენებს ფასს-ს უფრო გვიან, ვიდრე მისი მშობელი კომპანია. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით, რომელიც იქნებოდა ჩართული მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან გამომდინარე, თუ არ იქნა შეტანილი კორექტივები კონსოლიდაციის პროცედურაში და ბიზნესის ისეთი გაერთიანების გავლენის მშობელ კომპანიაზე ასახვაში, როდესაც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1-ში

შეტანილ იქნა ცვლილება, რათა კომპანიებს, რომლებიც გამოიყენებენ ფასს 1-ის ამ გამონაკლისს, შეეძლოთ ასევე შეაფასონ დაგროვილი საკურსო სხვაობები, მშობელი კომპანიის მიერ დაფიქსირებული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღზე დაყრდნობით. ფასს 1-ის ცვლილება ავრცელებს აღნიშნულ გამონაკლისს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე, რათა შეუმციროს დანახარჯები იმ კომპანიებს, რომლებიც პირველად გამოიყენებენ ფასს-ს. აღნიშნული ცვლილება ასევე იქნება გამოყენებული ასოცირებული კომპანიებისა და ერთობილი საწარმოების მიმართ, რომლებიც ასევე ისარგებლებენ ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით.

გაუქმებულ იქნა მოთხოვნა კომპანიებისთვის გაქვითონ ფულადი ნაკადი დაბეგვრისას რეალური ღირებულების შეფასების დროს ასს 41-ის თანახმად. ეს ცვლილება განკუთვნილია დაბეგვრის შემდეგ ფულადი ნაკადების დისკონტირების მხრივ სტანდარტის მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანისთვის.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელია, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები არსებითად არ მოახდენს გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საიჯარო შეღავათები, დაკავშირებული COVID-19-თან - ფასს 16-ის ცვლილებები (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და შედის ძალაში 2020 წლის 1 ივნისიდან ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები მოიჯარეებს (და არა მეიჯარეებს) ანიჭებს შეღავათს იმის შეფასებისგან არასავალდებულო გათავისუფლების სახით, თუ წარმოადგენს საიჯარო შეღავათი COVID-19-თან დაკავშირებით საიჯარო ხელშეკრულების მოდიფიკაციას. მოიჯარეებს შეუძლიათ, შეარჩიონ საიჯარო შეღავათის აღრიცხვა ისეთნაირად, თითქოს იგი არ წარმოადგენს იჯარის მოდიფიკაციას. ბევრ შემთხვევაში ეს იწვევს შეღავათის აღრიცხვას ცვლადი საიჯარო გადახდის სახით. ეს პრაქტიკული ხერხი გამოყენებადია მხოლოდ საიჯარო შეღავათებისთვის, რომლებიც წარმოიქმნება როგორც COVID-19-ის პანდემის პირდაპირი შედეგი და მხოლოდ ყველა შემდეგი პირობის დაცვისას: საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს ისეთი იჯარის ანაზღაურების გადახედვას, რომელიც არსებითად შესაბამისი ან ნაკლებია, ვიდრე უშუალოდ ცვლილებამდე არსებული საიჯარო ანაზღაურება; საიჯარო გადახდების ნებისმიერ შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ გადახდებზე, რომლებიც ექვემდებარება გადახდას არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივნისისა, და არ არსებობს რაიმე არსებითი ცვლილება იჯარის სხვა პირობებში. თუ მოიჯარე გადაწყვეტს გამოიყენოს ეს პრაქტიკული ხერხი იჯარასთან დაკავშირებით, მან უნდა გამოიყენოს ეს პრაქტიკული ხერხი თანმიმდევრულად ანალოგიური მახასიათებლების მქონე ყველა საიჯარო ხელშეკრულების მიმართ და ანალოგიურ გარემოებებში. ცვლილება უნდა გამოიყენებოდეს რეტროსპექტულად ასს 8-ის თანახმად, მაგრამ მოიჯარე არ არის ვალდებული გადათვალოს წინა პერიოდის მონაცემები ან გაამჟღავნოს ინფორმაცია ასს 8-ის 28(f) პუნქტის შესაბამისად.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელია, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები არსებითად არ მოახდენს გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, მიიჩნევა დაკავშირებულად, თუ მხარეები იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შეუძლია მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერაციული გადაწვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება უნდა იყოს მიმართული ურთიერთობების არსსა და არა სამართლებრივ ფორმაზე.

2019 წლის განმავლობაში მოწეული პომიდვრებისა და კიტრის გაყიდვებმა ერთობლივ კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოში (შპს „ქართული აგროსახლი“) შეადგინა 15,710 ათასი (2018 წელი: 10,797 ათასი).

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, დაუფარავი ნაშთები მხარეთა შორის მოიცავდა იმ პირის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიისგან (შპს „ქართული აგროსახლი“), რაც შეადგენდა 2,628 ათასს (2018 წელი: 2,580 ათასი) და გადასახდელია გაყიდვის თარიღიდან ორი თვის განმავლობაში.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებული მხარეების დაუფარავი ნაშთები მოიცავს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიის (შპს „GeoArgo“) საიჯარო ვალდებულებს 174 ათასი ლარის ოდენობით, რომელთა ვადა იწურება 2023 წელს. საპროცენტო ხარჯებმა, რომლებიც აღიარებულია წლის განმავლობაში საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებით, შეადგინა 15 ათასი ლარი.

საკვანძო მენეჯმენტის კომპენსაცია საკვანძო მენეჯმენტი მოიცავს კომპანიის დირექტორს, წარმოების ხელმძღვანელს და მთავარ აგრონომს. იმ ხელფასებმა და მოკლევადიანია პრემიებმა საკვანძო მენეჯმენტისთვის, რომლებიც ჩართულია სრულ შემოსავალში, შეადგინა 285 ათასი ლარი (2018 წელი: 246 ათასი ლარი). მოკლევადიანი ბონუსები გადახდას ექვემდებარება იმ პერიოდის დასრულების შემდეგ, როდესაც მენეჯმენტის მიერ გაწეულია შესაბამისი მომსახურება, თორმეტი თვის განმავლობაში,

8 ძირითადი საშუალებები

ცვლილებები ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში არის შემდეგი:

ათასი ლარი	მიწა	შენობები და სათბურები	საწარმო და აღჭურვილობა	CIP*	სულ
თვითღირებულება 2018 წლის 1 იანვრისთვის	2,521	29,991	4,602	5,718	42,832
დაგროვილი ცვეთა	-	(5,758)	(1,091)	-	(6,849)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვრისთვის	**2,521**	**24,233**	**3,511**	**5,718**	**35,983**
ნამატები	-	-	-	6,673	6,673
ტრანსფერები	-	9,337	1,919	(11,256)	-
გაყიდვები	-	-	-	(148)	(148)
ცვეთის დარიცხვა	-	(3,695)	(633)	-	(4,328)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	**2,521**	**29,875**	**4,797**	**987**	**38,180**
თვითღირებულება 31 დეკემბერი 2018	2,521	39,328	6,521	987	49,357
დაგროვილი ცვეთა	-	(9,453)	(1,724)	-	(11,177)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	**2,521**	**29,875**	**4,797**	**987**	**38,180**
ნამატები	-	-	-	773	773
ტრანსფერები	-	146	481	(627)	-
გაყიდვები	-	(14)	-	(97)	(111)
ცვეთის დარიცხვა	-	(4,456)	(756)	-	(5,212)
გაუფასურების დარიცხვა მოგებასა ან ზარალში	(1,701)	(17,418)	(2,378)	(789)	(22,286)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	**820**	**8,133**	**2,144**	**247**	**11,344**
თვითღირებულება 31 დეკემბერი 2019	2,521	39,460	7,002	1,036	50,019
დაგროვილი ცვეთა	(1,701)	(31,327)	(4,858)	(789)	(38,675)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	**820**	**8,133**	**2,144**	**247**	**11,344**

(*) CIP - მიმდინარე მშენებლობა.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგი აქტივები: შენობები და სათბურები 6,437 ათასი ლარის ღირებულებით (2018 წელი: 26,409 ათასი ლარი), მიწა 820 ათასი ლარის ღირებულების (2018 წელს: 2,521 ათასი ლარი), საწარმო და აღჭურვილობა საბალანსო ღირებულებით 2,347 ათასი ლარი (2018 წელი: 5,029 ათასი ლარი) დაგირავებულია ბანკში როგორც ნასესხები სახსრების გირაო. იხ. შენიშვნა 15.

გაუფასურების გამომწვევი მოვლენები და გარემოებები. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მენეჯმენტმა გამოავლინა იმის ნიშნები, რომ კომპანიის აქტივები შეიძლება იყოს გაუფასურებული, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვა არ წარმოქმნის ფულად ნაკადებს, როგორც ამას თავდაპირველად მოელოდა კომპანიის მენეჯმენტი. კომპანიამ განსაზღვრა, რომ გაუფასურების ნიშნები არსებობდა. ოპერაციების ხასიათისა და ხელმისაწვდომი საბაზრო მონაცემების არარსებობის გამო, მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, დაიქირაოს გარე დამოუკიდებელი ექსპერტი შემფასებელი - EY Georgia LLC, ანაზღაურებადი თანხის განსაზღვრისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული. კომპანიის ძირითადი საშუალებები წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთ ერთეულს (CGU), რომლის მიზანიც არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა და გაყიდვა.

გაუფასურების შემოწმების მოდელი მოიცავს მკაფიო საპროგნოზო პერიოდს 2020-დან 2025 წლების ჩათვლით მენეჯმენტის მიერ მომზადებული ბოლო ბიზნესგეგმის საფუძველზე, რის შემდეგაც გამოითვლება საბოლოო ღირებულება (მე-3 დონის რეალური ღირებულება).

გამოყენების ღირებულება იყო რეალურ ღირებულებაზე ნაკლები, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, ამიტომ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (CGU) ანაზღაურებადი ღირებულება ეფუძნება რეალური ღირებულების გაანგარიშებას, გაყიდვის დანაკარგების გამოკლებით.

8. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

საბაზრო მიდგომა გამოიყენებოდა იმ შემთხვევებში, როდესაც აქტივებთან (მიწა, ტრანსპორტი და ა.შ.) დაკავშირებით პირდაპირ თუ ირიბად იყო ხელმისაწვდომი კოტირებული საბაზრო ფასები, სხვა ძირითადი საშუალებების ბაზარი საქართველოში არ არის აქტიური და არ უზრუნველყოფს საბაზრო მიდგომის გამოყენებისთვის მტკიცებულებებს მათი რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის. შესაბამისად, სხვა ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება ძირითადად განისაზღვრებოდა ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულებით. იმ შეფასებებში გონივრული ცვლილება, რომლებიც გამოიყენებოდა ანაზღაურებადი თანხის განსაზღვრისას, არ მოახდენს არსებით გავლენას კომპანიის ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საკვანძო მოსაზრებები, რომელთაც ეყრდნობოდა მენეჯმენტი რეალური ღირებულების, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, განსაზღვრისას, არის შემდეგი:

ყველა მატერიალური აქტივი დაყოფილია 3 ჯგუფად: არასაბაზრო აქტივები, რომელთა ღირებულება უდრის ნულს, ნარჩენი (სალიკვიდაციო) ფასის მქონე აქტივები და პოტენციურად საბაზრო აქტივები, რომელთა ღირებულება შეფასებულია როგორც ღირებულება მონტაჟის, დემონტაჟის, სატრანსპორტო დანახარჯებისა და ცვეთის გამოკლებით;

ნავარაუდებია, რომ დემონტაჟი შეადგენს დანადგარის ღირებულების 70%-ს და გამოკლებულია იმ ყველა აქტივის ღირებულებიდან, რომლებიც თხოულობს მონტაჟს. ნარჩენი ღირებულება შეფასებულია სათბურის კონსტრუქციებსა და მილებისთვის, რომლებიც შეიძლება გაიყიდოს მათი მასალების ღირებულებით: ფოლადი, ალუმინი ან შუშა;

სხვა აქტივებისთვის, რომელთაც არ აქვს ალტერნატიული გამოყენება (მათი ხასიათისა და თავისებურებების გათვალისწინებით) და, დიდი ალბათობით, არ შეიძლება გაიყიდოს დემონტაჟის შემდეგ, ღირებულება მიღებულია როგორც ნულის ტოლი. ასეთი აქტივების, რომელთაც მიეკუთვნება სპეციალიზებული სასათბურე ალჭურვილობა, სასათბურე კონსტრუქციების ნაწილები და რომლებიც არ ექვემდებარება უტილიზაციას, მონტაჟისა და მომსახურების დანახარჯები კაპიტალიზებულია მშენებლობის დროს.

გაუფასურების ზარალი. CGU-ს საბალანსო ღირებულება 33,630 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა როგორც უფრო მაღალი, ვიდრე მისი ანაზღაურებადი ღირებულება 11,344 ათასი ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში აღიარებულ იქნა გაუფასურება 22,286 ათასის ოდენობით.

9 აქტივები გამოყენების უფლების ფორმით და საიჯარო ვალდებულებები

კომპანია ქირაობს ოფისს. საიჯარო ხელშეკრულება ჩვეულებრივ იდება ფიქსირებული პერიოდებით, მაგრამ შეიძლება ჰქონდეს გაგრძელების ოფცია, როგორც აღწერილია ქვემოთ

ათასი ლარი	შენობა-ნაგებობები
საბალანსო ღირებულება 1 იანვარი 2019	196
ცვეთის ანარიცხი	39
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	157

2018 წლის 31 დეკემბრამდე ძირითადი საშუალებების ყველა საიჯარო ხელშეკრულება კლასიფიცირდებოდა როგორც საოპერაციო იჯარა. 2019 წლის 1 იანვრიდან ხდება იჯარის აღიარება როგორც აქტივი გამოყენების უფლების ფორმით და შესაბამისი ვალდებულებისა იმ თარიღიდან, როდესაც საიჯარო აქტივი ხდება ხელმისაწვდომი კომპანიის მიერ გამოყენებისთვის.

კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	39	33
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	135	163
სულ საიჯარო ვალდებულებები	174	196

საპროცენტო ხარჯი, ჩართული 2019 წლის საფინანსო დანახარჯებში, შეადგენდა 15 ათას ლარს. ფულადი სახსრების მთლიანმა გადინებამ იჯარაზე 2019 წელს შეადგინა 50 ათასი ლარი.

10 მარაგები

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნედლეული	1,431	1,285
მიმდინარე სამუშაოები	74	67
სასოფლო-სამეურნეო წარმოება	36	19
სხვა	27	60
სულ მარაგები 31 დეკემბრისთვის	**1,568**	**1,431**

კომპანიის ძირითად აქტივობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა და მომავალი გაყიდვები. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება ხდება 2-3-ჯერ წელიწადში კიტრისთვის და ერთხელ - პომიდვრისთვის, და საჭიროა, შესაბამისად, დაახლოებით 1-2 თვე და 2-3 თვე შემოსავლის მიღებამდე.

2019 წელს კომპანიამ მოიწია 7,137 ტონა პომიდვრისა და კიტრის მოსავალი (2018 წელი: 6,497 ტონა).

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცვლილებები შემდეგია:

ათასი ლარი	2019	2018
სასოფლო-სამეურნეო წარმოება 1 იანვრისთვის	**19**	**53**
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალური ღირებულებიდან ამონაგები საწყისი აღიარებისას	14,995	10,848
გაყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება	(14,978)	(10,882)
სასოფლო-სამეურნეო წარმოება 31 დეკემბრისთვის	**36**	**19**

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	2,669	2,737
გამოკლებულ სხვა ფინანსური მოთხოვნები	119	119
გამოკლებული საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(119)	(119)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ფარგლებში	**2,669**	**2,737**
წინასწარი გადახდები მარაგების მიმწოდებლებისთვის	27	33
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 31 დეკემბრისთვის	**2,696**	**2,770**

საქონლის გაყიდვიდან მოთხოვნები მოიცავს 2,628 ათასი ლარის (2018 წელი: 2,580 ათასი ლარი) მოთხოვნებს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი იურიდიული პირისაგან (შენიშვნა 7), რომელიც არ არის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის არანაირი ფინანსური სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ იყო დენომინირებული აშშ დოლარში (2018 წლის 31 დეკემბერი: 119 ათასი ლარი).

კომპანია გამოიყენებს ფასს 9 გამარტივებულ მიდგომას საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომელიც გამოიყენება ფუნქციონერების მთელი პერიოდისთვის მთლიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. შეფასების ინდივიდუალური მიდგომა გამოიყენება შეფასებული საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასებისთვის, ვინაიდან კომპანიას ჰყავს ერთი მთავარი კლიენტი, შპს „საქართველოს აგროსახლი“, ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო

საანგარიშო წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა ცვლილება საკრედიტო ზარალის ანარიცხებში.

12 სხვა საგადასახადო მოთხოვნები

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
დღგ	4,914	3,708
ხელფასის დაბეგვრა	(2,260)	(1,628)
ქონების გადასახადი	(1,782)	(1,467)
სხვა გადასახადები	(204)	(134)
სულ სხვა საგადასახადო მოთხოვნები 31 დეკემბრისთვის	**668**	**479**

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ მიმართა საქართველოს შემოსავლების სამსახურს თხოვნით დაებრუნებინა დღგ, გადახდილი გაყიდულ საქონელსა და მომსახურებაზე, და წარმატებით დაიბრუნა 400 ათასი ლარის ოდენობის დღგ (2018 წელი: 2,500 ათასი ლარი).

13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაშთი საბანკო ანგარიშზე, მოთხოვნამდე	88	60
- *დენომინირებული ლარში*	230	467
- *დენომინირებული აშშ დოლარში*		
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრისთვის	**318**	**527**

საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთი 15 ათასი ლარის ოდენობით, განთავსებულია Fitch-ის "B-" რეიტინგის მქონე ბანკში (2018: 53 ათასი) და 303 ათასი ლარი განთავსებულია "BB-"-ზე დაბალი რეიტინგის მქონე ბანკში (2018 წელს: 474 ათასი).

14 სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
პერიოდის დასაწყისისთვის გამოშვებული, სრულად გადახდილი	22,810,516	19,219,489
აქციები გამოშვებული	940,000	3,591,027
გამოშვებული პერიოდის ბოლოსთვის, სრულად გადახდილი	**23,750,516**	**22,810,516**
ნებადართული აქციები - ნომინალი 1 აშშ დოლარი	**30,000,000**	**30,000,000**

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოუშვა 940,000 (2018 წელს: 3,591,027) ახალი აქცია Greenhouse Holding LLC-სა და Agroshare B.V.-სთვის 1 აქციის ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარი, სრული მოცულობით 940 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2018 წელი: 3,591 ათასი აშშ დოლარი), რაც 2,712 ათასი ლარის (2018 წელი: 9,246 ათასი ლარი) ეკვივალენტია. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, გამოშვებული კაპიტალი სრულად იქნა შეტანილი ფულადი ფორმით შესაბამისი აქციონერების მიერ.

კომპანიის სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია ლარში, აქციების გამოშვების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით. ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს აქვთ უფლება მიიღონ დივიდენდები, რომლებიც პერიოდულად გამოცხადებულია, და გააჩნიათ ერთი ხმა აქციაზე კომპანიის კრებებზე.

15 ნასესხები სახსრები

ათასი ლარი	ვალუტა	წომინალური საპროცენტო განაკვეთი	ვადა	31 დეკემბერი 2019 საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი 2018 საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	GEL	12.75%	2022	10,054	13,354
სულ ნასესხები სახსრები 31 დეკემბრისთვის				**10,054**	**13,354**

2018 წელს კომპანიამ მიიღო ახალი საბანკო სესხები ყველა დაუფარავი საკრედიტო ნაშთების დაფარვის მიზნით. ახალი საბანკო სესხები დენომინირებულია ლარში, ნომინალური საპროცენტო განაკვეთი არის კომერციული ბანკის ფიქსირებული განაკვეთი - 3.75% დამატებული 7.25% (საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ცვალებადი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი). წლის ბოლოსთვის, სებ-ის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9%-ს შეადგენდა.

16 საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებისა და კომპანიის საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების ცვლილებების ანალიზი ყოველი წარმოდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები ასახულია როგორც დაფინანსება ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში:

ათასი ლარი	საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები: ნასესხები სახსრები	საოჯახო ვალდებულებები	სულ
საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები 2018 წლის 1 იანვრისთვის	17,913	-	**17,913**
ნამატი წლის განმავლობაში	15,550	-	**15,550**
გადახდები წლის განმავლობაში	(18,784)		**(18,784)**
პროცენტების დარიცხვა	1,450	-	**1,450**
პროცენტების გადახდა	(1,715)	-	**(1,715)**
საკურსო სხვაობის კორექტირება	(1,060)	-	**(1,060)**
საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**13,354**	-	**13,354**
ახალი სტანდარტების მიღება	-	196	**196**
საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**13,354**	**196**	**13,550**
ნამატი წლის განმავლობაში	-	-	-
გადახდები წლის განმავლობაში	(3,303)	(35)	**(3,338)**
პროცენტების დარიცხვა	1,279	15	**1,294**
პროცენტების გადახდა	(1,276)	(15)	**(1,291)**
საკურსო სხვაობის კორექტირება	-	13	**13**
საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**10,054**	**174**	**10,228**

17 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2019	2018
შესყიდული კომუნალური მომსახურების ვალდებულებები	980	975
შესყიდული მარაგების ვალდებულებები	282	119
თანამშრომელთა გასამრჯელოს დარიცხული ხარჯები	89	35
31 დეკემბრისთვის	1,351	1,129

18 ანალიზი შემოსავლების კატეგორიების მიხედვით

კომპანიის შემოსავლები კლიენტების კონტრაქტებიდან შეადგენს 15,878 ათას ლარს წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (2018 წელი: 10,806 ათასი ლარი). კომპანიას აქვს ერთი მნიშნელოვანი შემოსავლის ნაკადი, რომლის აღიარება ხდება დროის კონკრეტულ მომენტში. ერთადერთ მსხვილ კლიენტს წარმოადგენს შპს „ქართული აგროსახლი“, საწარმო ერთობლივი კონტროლის ქვეშ.

შემოსავლები ანალოგიური პროდუქტებისა თუ მომსახურების თითოეული ჯგუფის მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი	2019	2018
კიტრის გაყიდვები	10,258	6,822
პომიდვრის გაყიდვები	5,323	3,950
სხვა	297	34
სულ შემოსავლები	15,878	10,806

19 სხვა ხარჯები

ათასი ლარი	2019	2018
კომუნალური მომსახურების ღირებულება	6,247	4,350
გამოყენებული თესლი და სხვა სახარჯი მასალები	2,485	2,354
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	396	463
შეკეთებისა და მომსახურების ხარჯები	189	182
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა მომსახურება	132	168
დაცვის მომსახურება	81	81
საწვავის დანახარჯები	31	39
დაზღვევის დანახარჯები	23	20
საკომუნიკაციო დანახარჯები	21	20
წარმომადგენლობითი დანახარჯები	13	11
ტრანსპორტირების დანახარჯები	6	5
საოპერაციო იჯარის დანახარჯები	-	49
სხვა	718	390
სულ სხვა ხარჯები	10,342	8,132

20 გაუთვალისწინებელი პირობითი გარემოებები და წარმოქმნილი ვალდებულებები

სასამართლო წარმოება. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში კომპანიის მიმართ შეიძლება წარდგენილ იქნას პრეტენზიები. საკუთარი შეფასებების საფუძველზე მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ პრეტენზიებთან მიმართებაში არ იქნება გაწეული რაიმე არსებითი ზარალი. 2019 წელს შპს „დონეცკის წყლის ინსტიტუტი"-მა, შპს „სტაგარ"-ის (საქართველოში დარეგისტრირებული ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებდა სათბურის მშენებლობას საწყის ეტაპზე), შეიტანა კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი 1,317 ათასი ლარის ოდენობის თანხაზე 2015 წლის 14 ივლისს შპს „სტაგარ"-სა და კომპანიას შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე კუთვნილი ანაზღაურების გადახდის მოთხოვნით. გარდა ამისა, შპს „სტაგარ"-მა მოითხოვა სათბურის განკარგვის უფლების შეჩერება. უფლების შეჩერების შესახებ სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა სასამართლოს მიერ. თავის მხრივ, 2019 წელს კომპანიამ შეიტანა სარჩელი 1,461 ათასი ლარის ოდენობით შპს „სტაგარ"-ის (დარეგისტრირებული საქართველოში) და მისი გარანტორის - Stagar LLC (დარეგისტრირებული უკრაინაში) წინააღმდეგ შპს „სტაგარ"-ის (დარეგისტრირებული საქართველოში) მიერ მომსახურების შეუსრულებლობას გამო გაწეული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით.

გაუთვალისწინებელი საგადასახადო პირობები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის ხშირი ცვლილება, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც არის არამკაფიო, ურთიერთსაწინააღმდეგო და ექვემდებარება ორმაგ ინტერპრეტაციას. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოებს არ შეუძლია რაიმე ვალდებულებების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა თუ საურავების მხრივ, თუ იმ წლის დასრულებიდან, როდესაც მოხდა დარღვევა, გასულია სამი წელი.

აღნიშნულ გარემოებებს შეუძლია შექმნას საგადასახადო რისკი საქართველოში, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ადეკვატურად უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებს, საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მისი ინტერპრეტირების საფუძველზე. თუმცა შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენა ამ ფინანსურ ანგარიშებზე, თუ ორგანოები იქნება წარმატებული მათი ინტერპრეტაციის აღსრულებაში, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

დაზღვევა. საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია არის განვითარებად ეტაპზე და ჯერ არ არის ზოგადად ხელმისაწვდომი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა, რომელიც ჩვეულებრივია მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. კომპანიას არ გააჩნია მისი საკუთრებისა თუ საქმიანობის უწყვეტობის დაზღვევით სრული დაფარვა, თუმცა ახორციელებს პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს მისი ქონებისა და აღჭურვილობის მთლიანი რისკის სადაზღვევო დაფარვას დაზიანების შემთხვევაში. კომპანიის მიერ ადეკვატური სადაზღვევო დაფარვის მოპოვებამდე, არსებობს გარკვეული აქტივების დაზიანებისა თუ დაკარგვის რისკი, რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ოპერაციებსა და საფინანსო მდგომარეობაზე.

გარემოსდაცვითი საკითხები. გარემოსდაცვითი რეგულაციები საქართველოში ვითარდება, და სახელმწიფო ორგანოების სამართლებრივი პოზიცია მუდმივად განიცდის ცვლილებას. კომპანია პერიოდულად აფასებს მის ვალდებულებს გარემოსდაცვითი რეგულაციების ფარგლებში. როგორც კი ვალდებულებები განსაზღვრულია, ხდება მათი დაუყოვნებლივ აღიარება. შეუძლებელია იმ პოტენციური ვალდებულების, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულაციების, სამოქალაქო სასამართლო პროცესისა თუ კანონმდებლობის შედეგად, შეფასება, მაგრამ ეს შეიძლება იყოს არსებითი. არსებული სააღსრულებო კლიმატის ფარგლებში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებებს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსდაცვითი ზიანის გამო.

21 კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას მდგომარეობის იმაში, რომ დაიცვას კომპანიის უნარი განაგრძოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს სახით, რათა უზრუნველყოს მოგება მესაკუთრისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, ასევე შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალის ღირებულების შემცირებისთვის. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა თუ კორექტირებისთვის კომპანიას შეუძლია მოახდინოს მესაკუთრისთვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, მესაკუთრისთვის კაპიტალის დაბრუნება ან აქტივების გაყიდვა ვალის შესამცირებლად. კაპიტალის ოდენობა, რომელსაც მართავდა კომპანია, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენდა 5,172 ათას ლარის (2018 წელი: 28,904 ათასი ლარი).

22 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ფარგლებში რისკის მართვა ხორციელდება საფინანსო რისკების, საოპერაციო რისკებისა და სამართლებრივი რისკების მხრივ. საფინანსო რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა ფასის რისკს), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდობის რისკს. საფინანსო რისკის მართვის ფუნქციის მთავარი მიზნებია რისკის ფარგლების დადგენა და იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ზემოქმედება რჩება ამ ფარგლებში. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციები მიმართულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმიზაციის მიზნით.

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს, რაც არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთმა მხარემ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსურ ზარალი მეორე მხარისთვის, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარება წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქტების გაყიდვის შედეგად საკრედიტო პირობებით, ასევე კონტრაქგენტებთან სხვა ტრანზაქციების დროს, რომელთა შედეგად წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალური დაქვემდებარება აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში შემდეგნაირად:

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 11)	2,669	2,737
- საქონლის გაყიდვიდან მოთხოვნები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 13)	318	527
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე		
სულ საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარება 31 დეკემბრისთვის	**2,987**	**3,264**

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია კომპანია არ განიცდის საკრედიტო რისკის კონცენტრაციას, ვინაიდან მთავარი არსებითი კლიენტი არის შპს „ქართული აგროსახლი", საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ანგარიშების 100% განთავსებულია მხოლოდ 2 ბანკში.

შეფასებული საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. ვინაიდან კომპანიის ერთადერთი მსხვილი კლიენტი არის ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო, ECL-ის შეფასება ხდება ინდივიდუალურად, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, პირვანდელი გადახდებისა და ოპერირების სექტორის გათვალისწინებით.

საბაზრო რისკი. კომპანია განიცდის საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან გამომდინარე (ა) უცხოური ვალუტის, (ბ) საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების და (გ) აქციების მხრივ, რომელთაგანაც ყველა ექვემდებარება ბაზარზე საერთო და სპეციფიკურ რისკებს. მენეჯმენტი აწესებს შეზღუდვებს რისკის ღირებულებაზე, რომელიც შეიძლება იყოს გაწეული, რაც კონტროლდება ყოველდღიურად. თუმცა ამ მიდგომის გამოყენება არ აფერხებს დანაკარგებს ამ ზღვრების ფარგლებში ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების დროს.

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან მიმართებაში მენეჯმენტი აწესებს ზღვრებს რისკის დონეზე ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. პოზიციები კონტროლდება. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარება საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის:

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019			31 დეკემბერი 2018		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
GEL	2,757	(11,299)	(8,542)	2,678	(14,437)	(11,759)
USD	230	(174)	56	586	-	586
EUR	-	(17)	(17)	-	(11)	(11)
სულ 31 დეკემბრისთვის	**2,987**	**(11,490)**	**(8,503)**	**3,264**	**(14,448)**	**(11,184)**

მომდევნო ცხრილში მოყვანილია მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებისადმი, რომელიც გამოიყენება საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებაში, ყველა ცვლადები რჩება მუდმივი:

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018

აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	6	59
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	(6)	(59)

ზემოქმედება გამოითვლება მხოლოდ ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც გამოხატულია ვალუტებში, განსხვავებული კომპანიის სამუშაო ვალუტისაგან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი კომპანია განიცდის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების უფრო მაღალი დონეების რყევების შედეგების ზემოქმედებას მისი ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია საპროცენტო განაკვეთების რისკების ზემოქმედების მონაცემები. ცხრილში მოყვანილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მთლიანი თანხები საბალანსო ღირებულებით, კლასიფიცირებული ადრე გადათვლილი საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთით ან დაფარვის ვადიანობის თარიღებით.

ათასი ლარი	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	უპროცენტო შენატანი	სულ
31 დეკემბერი 2019							
სულ ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	2,987	2,987
სულ ფინანსური ვალდებულებები	(293)	(1,515)	(1,909)	(6,511)	-	(1,262)	(11,490)
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის გეპი 31 დეკემბერი 2019	(293)	(1,515)	(1,909)	(6,511)	-	**1,725**	**(8,503)**
31 დეკემბერი 2018							
სულ ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	3,264	3,264
სულ ფინანსური ვალდებულებები	(263)	(1,076)	(1,965)	(10,050)	-	(1,094)	(14,448)
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის გეპი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**(263)**	**(1,076)**	**(1,965)**	**(10,050)**	**-**	**2,170**	**(11,184)**

ლიკვიდობის რისკი ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად ამოწმებს არსებულ ფულადი სახსრების რესურსებს. ლიკვიდობის რისკი იმართება კომპანიის მენეჯმენტის მიერ. მენეჯმენტი აკონტროლოს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ მცურავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დაფინანსების სტაბილური ბაზა, რომელიც, პირველ რიგში, შედგება ნასესხები სახსრებიდან და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ლიკვიდური პორტფელი, ფულადი სახსრები, შეიძლება იყოს რეალიზებული 1 დღის ვადაში, ლიკვიდობისადმი გაუთვალისწინებელი მოთხოვნების შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათი სახელშეკრულებო დარჩენილი დაფარვის ვადებით. თანხები, გამჟღავნებული ვადიანობის ცხრილებში, წარმოადგენს სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები გასხვავდება იმ თანხისგან, რომელიც ჩართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ვინიდან მდგომარეობის ანგარიშგება ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. როდესაც გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებიც არსებობს საანგარიშო პერიოდის ბოლოს. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაითვლება საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არსებული გაცვლითი კურსით.

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	მოთხოვნით და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	399	795	3,558	7,033	-	11,785
საიჯარო ვალდებულებები	4	8	38	152	-	202
სავაჭრო ვალდებულებები	1,262	-	-	-	-	1,262
სულ მომავალი გადახდები, მათ შორის ძირი თანხისა და პროცენტების გადახდები	**1,665**	**803**	**3,596**	**7,185**		**13,249**

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის არის შემდეგი:

ათასი ლარი	მოთხოვნით და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	385	377	3,816	11,512	-	16,090
სავაჭრო ვალდებულებები	1,094	-	-	-	-	1,094
სულ მომავალი გადახდები, მათ შორის ძირი თანხისა და პროცენტების გადახდები	**1,479**	**377**	**3,816**	**11,512**	-	**17,184**

ფინანსური რისკების მართვის სტრატეგიები აგრარული აქტივობებისთვის. კომპანია განიცდის რისკებს, რომლებიც წარმოიქნება ეკოლოგიური და კლიმატური ცვლილებისა და ნედლეულზე ფასების ცვლილებების გამო. სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია დაცულია მავნებლებსა და მწერებისაგან. ტარდება რეგულარული კონსულტაციები გამოცდილ აგრონომებთან. არახელსაყრელი პირობების ზემოქმედება დაყვანილია მინიმუმამდე გამოზრდისთვის ხელოვნური განათების მონტაჟით.

კომპანია არ მოელის, რომ მის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასები მნიშვნელოვნად შემცირდება ახლო მომავალში და, შესაბამისად, არ დაუდია დერივატიული და სხვა კონტრაქტები ფასების შემცირების რისკის მართვისთვის.

23 რეალური ღირებულების გამჟღავნება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი ხორციელდება რეალური ღირებულების იერარქიის დონეზე შემდეგნაირად: (i) შეფასების პირველი დონე კოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებსა და ვალდებულებისთვის, (ii) შეფასების მეორე დონე - შეფასების მეთოდები ყველა ამოსავალი მონაცემების მქონე აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, დაკვირვებადი პირდაპირ (როგორც ფასები) ან ირიბად (ფასებიდან გამომდინარე) და (iii) შეფასები მესამე დონე - შეფასები, რომლებიც არ არის დაფუძნებული დაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე (ე.ი. დაუკვირვებადი ამოსავალი მონაცემების. მენეჯმენტი გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციის დროს რეალური ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ რეალური ღირებულების შეფასება მოითხოვს დაკვირვებად ამოსავალი მონაცემებს, რაც ითხოვს მნიშვნელოვან კორექტირებას, ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. ამოსავალი მონაცემების შეფასების მნიშვნელობა ფასდება რეალური ღირებულების მთლიანობაში შეფასებით.

აქტივები და ვალდებულები, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, მაგრამ რომელთათვის გამჟღავნებულია *რეალური ღირებულება.* რეალური ღირებულება, შეფასებული რეალური ღირებულების იერარქიის დონით და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით, შემდეგია:

	31 დეკემბერი 2019				31 დეკემბერი 2018			
ათასი ლარი	დონე 1 რეალური ღირებულება	დონე 2 რეალური ღირებულება	დონე 3 რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	დონე 1 რეალური ღირებ.	დონე 2 რეალური ღირებ.	დონე 3 რეალური ღირებ.	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
სხვა ფინანსური აქტივები								

- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	2,669	2,669	-	-	2,737	2,737
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	318	-	318	-	527	-	527
სულ აქტივები	-	318	2,669	2,987	-	527	2,737	3,264
ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები	-	-	10,054	10,054	-	-	13,354	13,354
- საბანკო სესხები	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა ფინ. ვალდ. - სავაჭრო ვალდებულებები	-	-	1,262	1,262	-	-	1,094	1,094
სულ ვალდებულებები	-	-	11,316	11,316	-	-	14,448	14,448

23 რეალური ღირებულების გამჟღავნება (გაგრძელება)

რეალური ღირებულება რეალური ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეებზე ფასდებოდა ფულადი სახსრების ნაკადების დისკონტირების მეთოდით. იმ მცურავი განაკვეთების მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასებულია როგორც მათი საბალანსო ღირებულების თანაბარი. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასებულია შეფასებული მომავალი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, იქნება მიღებული დისკონტირებულად მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, ანალოგიური საკრედიტო რისკებითა და დარჩენილი დაფარვის ვადებით.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის ფინანსური აქტივების შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება ნაღდი ფულის მომავალ ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია დისკონტირებულად მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის მსგავსი რისკითა და დარჩენილი ვადიანობით. დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზირებული ღირებულით ასახული ვალდებულებები. იმ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება დაფარვის დადგენილი ვადით, რომელთათვის საბაზრო ფასი არ არსებობს, იქნა შეფასებული ფულადი სახსრების მოსალოდნელი ნაკადებით, დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის ანალოგიური საკრედიტო რისკითა და დარჩენილი ვადიანობით. სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და სხვა ფინანსური ვალდებულებების მიახლოებითი რეალური ღირებულებები დამოკიდებულია მათ მოკლევადიან დაფარვის ვადაზე.

24 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

2020 წელს კომპანიამ გამოუშვა 750 ათასი ახალი აქცია Greenhouse Holding LLC და Agroshare B.V.-სთვის ერთი აქციის ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარი, საერთო ღირებულებით 750 ათასი აშშ, რაც 2,259 ათასი ლარის ეკვივალენტურია და სრულად იქნა შეტანილი ფულადი სახსრების სახით შესაბამისი აქციონერების მიერ 2020 წლის სექტემბრისათვის.

COVID-19. 2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან პირველად დაფიქსირდა შეტყობინებები COVID-19-ის (კორონავირუსი) შესახებ. წლის ბოლოსთვის სიტუაცია მდგომარეობდა იმაში, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისთვის შეტყობინებულ იქნა უცნობი ვირუსის შეზღუდული რაოდენობის შემთხვევების შესახებ. 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა მთელ მსოფლიოში, ხოლო მისი ნეგატიური ზემოქმედება გაძლიერდა. მენეჯმენტი მიიჩნევს ამ აფეთქებას როგორც არაკორექტირებად მოვლენას სააღრიცხვო თარიღის შემდგომ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის მომენტისთვის სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, დღევანდელ დღეს კომპანიის გაყიდვებსა თუ მიწოდების ჯაჭვზე არსებითი ზემოქმედება არ არის დაკვირვებული. კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის მნიშვნელოვან ზემოქმედებას. ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან გათვალისწინებულია ყველა პროფილაქტიკური ზომა და რეკომენდაცია, დამტკიცებული დაავადებათა კონტროლის ცენტრისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომენტისთვის საგანგებო მდგომარეობა გაუქმებულ იქნა, და განახლდა ნორმალური ფუნქციონირება. თუმცა

მენეჯმენტი განაგრძობს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და გადადგამს ყველა შესაძლო ნაბიჯს ნებისმიერ შედეგების შემსუბუქებისთვის.

25 საალრიცხვო პოლიტიკა 2019 წლის 1 იანვრამდე

ის საალრიცხვო პოლიტიკა, გამოყენებადი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ შესადარის პერიოდთან მიმართებაში, რომელშიც შეტანილ იქნა ცვლილებები ფასს 16-ის, იჯარა, შესაბამისად, წარმოდგენილია ქვემოთ.

საოპერაციო იჯარა. თუ კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც არ გადასცემს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს მეიჯარისგან კომპანიაზე, იჯარის საერთო გადახდები აღირიცხება წლის მოგება-ზარალში თანაბრად იჯარის ვადის მანძილზე. იჯარის ვადა არის ვადამდელი შეწყვეტის უფლების გარეშე პერიოდი, რომელზედაც მოიჯარემ დადო აქტივის იჯარის ხელშეკრულება ნებისმიერ დამატებითი პირობებით, რომლითაც მოიჯარეს შეუძლია გააგრძელოს აქტივის იჯარა შემდგომი გადახდით თუ მის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყების ვადისთვის არსებობს გონივრული რწმენა, რომ მოიჯარე შეასრულებს ამ ოფციას.

სს საქართველოს სათბურის კორპორაცია

მმართველობის ანგარიშგება – საქმიანობის მიმოხილვა

1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, მწარმოებლურობა და მდგომარეობა

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ (“კომპანია”) დაფუძნებულია 2014 წლის 3 აპრილს საქართველოში. პროექტი იყო ერთ-ერთი ინიციატივა საქართველოს თანაინვესტირების ფონდისა („GCF“), რომელიც უზრუნველყოფს ინვესტიციებს საქართველოს ეკონომიკის სწრაფად მზარდ სექტორებში.

GCF დაფუძნებულია 2013 წელს საინვესტიციო საზოგადოებაში საქართველოში არსებული საინვესტიციო შესაძლებლობისადმი მზარდი ინტერესის საპასუხოდ. ამის შემდეგ, GCF უზრუნველყოფს თანაინვესტირებისთვის საქართველოს განვითარებად ინდუსტრიებსა და სექტორებთან წვდომის უნიკალურ შესაძლებლობას.

კომპანიას გააჩნია 5-წლიანი გამოცდილება და წარმოადგენს აგრარულ სექტორში ლიდერ კომპანიას. კომპანია აწარმოებს და ყიდის პრემიალური და მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, კიტრსა და პომიდორს. კომპანია ფლობს და ოპერირებს რთულ, მაღალინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სათბურის ობიექტს, რომელიც მდებარეობს 12 ჰექტარზე (სათბური), აღჭურვილია ხელოვნური განათებით და შეუძლია გამოზარდოს წლიურად 7,100 ტონაზე მეტი პროდუქცია. ხელოვნური განათება იძლევა მაღალხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას ზამთრის სეზონზე და არახელსაყრელი ამინდის პირობებში, რადგან სათბური ნაკლებად დამოკიდებულია მზის შუქზე. შედეგად, პროდუქციის ხარისხი და მოსავლიანობა ერთ კვადრატულ მეტრზე გაიზარდა და ხარჯები იქნა ოპტიმიზირებული.

პროდუქცია იყიდება ადგილობრივ ბაზრებზე, ჰიპერმარკეტებისა და სუპერმარკეტების ქსელებში, ექსპორტი ხორციელდება რუსეთის ფედერაციაში.

თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 232-ს, მათ შორის 170 ქალი, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2018 წელს : 228, მათ შორის 170 ქალი).

2. კომპანიის მომავალი განვითარების გეგმები

კომპანიის პროდუქციის ძირითად სახეობებს წარმოადგენს კიტრი და პომიდორი, რომლებიც წარმოდგენილია დიდი არჩევანით ყოველი სეზონისთვის. ჩვენ მუდმივად ვატარებთ ახალი ჯიშების ტესტირებას და 2020-2021 წლების სეზონი არ არის გამონაკლისი. გადაწყვეტილია, წიწაკის ახალი ჯიშების ტესტირების გაგრძელება. მაღალხარისხოვანი სხვადასხვა ტიპის ბოსტნეულის შეთავაზებით, კომპანია ჩაანაცვლებს იმპორტულ პროდუქტებს, რაც მას მომხმარებლებისთვის უფრო მიმზიდველს გახდის.

კომპანია აპირებს Horeca ბიზნესში შესვლას და ამ მიმართულებით დგამს პირველ ნაბიჯებს.

კომპანიამ წარმატებით დანერგა ISO 9001: 2015 (2018) და გაიარა Global GAP (2019 წელი) სერტიფიკაცია.

3. კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევები და საპროექტო სამუშაოები

2019 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევასა თუ საპროექტო აქტივობებში.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები. სათბური მდებარეობს გარდაბანში (თბილისიდან 50 კმ-ში), ხოლო მმართველობითი გუნდის ნაწილი განთავსებულია თბილისის ოფისში.

5. საკვანძო ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

კომპანიის საკვანძო ფინანსური ინდიკატორები შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2019	2018
შემოსავლები	15,878	10,806
წმინდა ზარალი	(26,444)	(4,703)
EBITDA*	2,387	1,283

შენიშვნა: EBITDA - მოგება პროცენტების, გადასახადების, ამორტიზაციისა და ცვეთის გადახდამდე*

<u>ძირითადი ცვლილებების განმარტება:</u>

შემოსავალი - ზრდა შემოსავალში იქნა მიღწეული ხელოვნური განათების მონტაჟისა და გამოყენების შედეგად.

წმინდა ზარალი - წმინდა ზარალზე იმოქმედა შემოსავლების ზრდამ, ცვეთის ზრდამ, კომუნალური გადასახადების მატებამ და ხელოვნური განათების დროს ელექტროენერგიის უფრო მაღალმა მოხმარებამ.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის მენეჯმენტმა გამოავლინა იმის ნიშნები, რომ კომპანიის აქტივები შეიძლება გაუფასურდეს, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოება არ წარმოქმნის ისეთ ფულად ნაკადებს, როგორც ამას თავიდან მოელოდა კომპანიის მენეჯმენტი. კომპანიამ დაადგინა, რომ არსებობს გაუფასურების ნიშნები. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული CGU 33,630 ათასი ლარის ოდენობით იქნა განსაზღვრული როგორც უფრო მაღალი, ვიდრე მისი დასაფარი თანხა 11,344 ათასი ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში აღიარებულ იქნა გაუფასურების ანარიცხი 22,286 ათასი ლარის ოდენობით.

კომპანიის საკვანძო არაფინანსური ინდიკატორები შეჯამებულია შემდეგნაირად:

	2019	2018
კიტრის მოსავალი (კილოგრამი)	5,169,901	4,462,730
პომიდვრის მოსავალი (კილოგრამი)	1,966,821	2,033,951
პერსონალის რაოდენობა	232	228

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენების შესახებ

2019 წელს კომპანიას არ განუხორციელებია საკუთარი აქციების შეძენა.

7. დამატებითი განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილ მონაცემებზე

ჩვენი ბრენდი „პლანტა“ დაკავშირებულია მაღალხარისხიან პროდუქციასთან საქართველოში, რომელიც იზიდავს კლიენტებს და ზრდის ლოიალობას. სხვა ბრენდი „ქართული მოსავალი“ თავად ახდენს პოზიციონირებას ძირითადი ბრენდის სახით. მრავალი სარეკლამო კამპანია ტარდება სავაჭრო წერტილებში, სოციალურ ქსელებსა და სატელევიზიო შოუებში (როგორიცაა, მაგალითად, „მასტერშეფი“).

სათბურის უნიკალური მდებარეობა გვაძლებს უპირატესობას ენერგომოხმარებისა და დანახარჯების შემცირების მხრივ. გარდაბანი ერთ-ერთი ყველაზე მზიანი რეგიონია საქართველოში, რაც საჭიროა მცენარეების გამოზრდისთვის. ჩვენ გაგვაჩნია დამოუკიდებელი წყალმომარაგება.

პერსონალის მუდმივი სწავლება უზრუნველყოფს მათ უნიკალურობასა და გამოცდილებას. ისინი ადგილობრივი მაცხოვრებლები არიან და მათი დაკარგვის რისკი მინიმალურია, რადგან გარდაბანში არ არის სხვა მოქმედი მსგავსი ან ასეთი მაღალტექნოლოგიური ობიექტი.

8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და მათი მართვის მექანიზმები

გაყიდვები ხორციელდება საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიის მიერ - შპს „ქართული აგროსახლი“, რომელიც, „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ მსგავსად, არის GCF-ის ერთ-ერთი პროექტი. გადახდა ხორციელდება საქონლის გაყიდვის თარიღიდან ორი თვის განმავლობაში.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, სამეწარმეო მიზანი და პოლიტიკა ფინანსურ რისკთან დაკავშირებით

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები დაკავშირებულია შემდეგთან:

	რისკებისა და გაურკვევლობების განმარტება	მენეჯმენტის პასუხი
1	უფრო იაფი იმპორტული პროდუქციის მხრიდან კონკურენცია	უფრო გემრიელი, სურნელოვანი და მაღალხარისხიანი ბოსტნეულის წარმოება მომხმარებლების მოზიდვის მიზნით. ეფექტიანი ბრენდის სტრატეგიის განხორციელება.
2	ბაზრის გაჯერება	ექსპორტის გაზრდა უკვე არსებული რუსეთის ბაზრის გაფართოებით და ახალი ბაზრების მოძიებით. კომპანიამ წარმატებით დანერგა ISO 9001:2015 და Global GAP, რაც იქნება აქტივი ევროკავშირისა და სხვა ბაზრებზე შესვლისთვის.
3	პერსონალის მხრიდან ცოდნის და გამოცდილების ნაკლებობა	გამოცდილი მმართველობითი გუნდი, მუდმივი ტრენინგი და პროფესიონალების მოწვევა საზღვარგარეთიდან მასტერკლასების ჩასატარებლად.
4	მწერებსა და მღრღნელების გავრცელების პოტენციური საფრთხე	ბიოლოგიური დაცვის დანერგვა მღრღნელებსაც და მწერების წინააღმდეგ. მუდმივი კონსულტაცია მეწინავე გამოცდილ პროფესიულ აგრონომებთან საზღვარგარეთიდან.
5	არახელსაყრელი ამინდი, მზის შუქის არასაკმარისობა	რისკი შემცირებულია ხელოვნური განათების მონტაჟით და სათბურის ადგილმდებარეობის მეშვეობით.
6	საკრედიტო რისკი	კომპანია არ განიცდის საკრედიტო რისკის კონცენტრაციას, ვინაიდან ყველაზე მნიშვნელოვანი კლიენტი არის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი იურიდიული პირი. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, კომპანიას საბანკო მიმდინარე ანგარიშების 100% გააჩნია მხოლოდ ორ ბანკში.
7	სავალუტო რისკი	სავალუტო რისკის გათვალიწინებით, მენეჯმენტმა დააწესა ვალუტის ზემოქმედების დონის მხრივ და ზოგადი შეზღუდვები. ხორციელდება პოზიციების მონიტორინგი.

2019 წლის 29 სექტემბერი

ხელმოწერილია

შოთა ჯაფარიძე

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილი

მაია წიკლაური

მთავარი ბუღალტერი

თარგმანი სწორია:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200776341
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	30.09.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	შორენა ხაინდრავა
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2725342
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	06202956627120

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 56 10 18

საქართველო, ქ. თბილისი, 30.09.2020

მე, ნოტარიუსი შორენა ხაინდრავა, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18, ვადასტურებ თარჯიმნის მაია მაწონაშვილის (დაბ. 04.03.1973წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №45ა ბ.6, პირადი №01024022563, დიპლომი უა №001618, გაც. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ 25.06.1996წ.) ხელმოწერის სინამდვილეს. მე გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ ის პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური (წინამდებარე დოკუმენტის 1 ეგზემპლარზე შესრულებული 38 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 76 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მ.31 პ.3-ის თანახმად), დღგ – 13.68 ლარი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამავე დადგენილების მ.39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 91.68 ლარი.

ნოტარიუსი
Notary

City of Tbilisi, Georgia, 30.09.2020

I, Notary Shorena Khaindrava [illegible] Notary the address: N18, D. Gamrekeli str. [illegible] **Maia Matsonashvili's** (born on 04.03.1973 [illegible] N45a, J. Shartava, Tbilisi [illegible] UA №001618 [illegible] by Tbilisi Ilia [illegible] University for Foreign Languages on 2[illegible] signature. I have warned translator that sh[illegible] the translation accuracy and has confirmed [illegible] English language properly and provides the exact translation.

Paid Fees (for confirmation of 38 signatures of a copy of the above document) 76 GEL (according to the order №507 of Georgian Government dated December 29 2011 “About Fees or carrying out Notary Acts and established amount of price by Georgian Notary Chamber, rules of pay and its terms” article 31.3), VAT – 13.68 GEL (according to the article 169 of Tax Code of Georgia) and registration fee 2 GEL (due to the performed Order by Georgian Government article 39.1). Total: 91.68 GEL

/შორენა ხაინდრავა/
/Shorena Khaindrava/